ეროვნული ბიბლიოთეკა


# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან შაბათი, 4 ივლისი 1998 №110 (645) ფასი 50 თეთრი


# იტალია — საფრანგეთი 0:0 (3:4)

# ბრაზილია — დანია 3:2

REUTERS სენ დენიდან



პენალტებისას ამჯერად ლუიჯი დი ბიაჯოს არ გაუღიმა ბედმა. არა ბარტეზს არ უყოჩაღია, იტალიელმა ბურთი ხარიხას მოარტყა და...

## მეოთხედფინალი

დღეს

**პოლანდია — არგენტინა**
მარსელი. $18^{30}$

**გერმანია — ხორვატია**
ლიონი. $23^{00}$

FRANCE 98

იტალია მსოფლიოს ჩემპიონატს გამოემშვიდობა — მსოფლიოს სამგზის ჩემპიონები ლუიჯი დი ბიაჯოს ვერგატანილმა პენალტმა შეიწირა. ზედიზედ მესამე მსოფლიოს ჩემპიონატია, იტალია პენალტების სერიით აგებს: 1990 წელს აპენინელები ნახევარფინალში დამარცხდნენ, ოთხი წლის შემდეგ სულაც ფინალი წააგეს, ახლა კი მეოთხედფინალში დახარეს თავი.

გუშინვე ოქროს თასის ოთხგზის მფლობელ ბრაზილიას დანია ტოლ-სწორად შეება, მაგრამ ნახევარფინალს მაინც ამერიკელებმა უწიეს. მატჩი დაძაბულიც იყო და საცქერლადაც საამო, გოლიც იმდენი გავიდა, გუშინდელ ორივე მეოთხედფინალს ეყოფოდა.

**ექსპერტის კომენტარი** *ვლადიმერ ბადიევი*
*საქართველოს ნაკრების მწვრთნელის თანაშემწე*



## მალდინიმ ფეხბურთი მოკლა

— იტალია — საფრანგეთის მატჩს ერთ-ერთ რუსულ არხზე ვუყურე. კომენტატორი გამუდმებით გაიძახოდა, აბსოლუტურად თანაბარი თამაშიაო. მიდი ახლა და იმ წამყვანს დაეთანხმე. მგონი, არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ საფრანგეთმა ყველა საფეხბურთო კომპონენტში დაჯაბნა ძლიერი მეტოქე. ჩეზარე მალდინიმ, როგორც ყოველთვის, თავის ტაქტიკას ამჯერადაც არ უღალატა, დაცვითი ფეხბურთი ათამაშა ფეხბურთელებს და აიმტომაც დაისაჯა. რას მიჰყავდათ საქმე პენლებამდე, ნუთუ არ იცოდნენ, რომ წააგებდნენ. იტალიელებმა გუშინ სამი ცენტრალური მცველი გამოიყვანეს, ორი საყრდენი ნახევარმცველი, ცდილობდნენ, ზიდანისთვის მოქმედების არეალი შეეზღუდათ. რა გამოვიდა აქედან?

ალბათ, სჯობდა რობერტო ბაჯო მეტხანს ეთამაშებინა მალდინის. თუ დააკვირდით, მისი მოედანზე გამოჩენა და იტალიელთა შეტევების გამწვავება ერთი იყო. რაც ბაჯომ გააკეთა, მხოლოდ დიდ ფეხბურთელებს შეუძლიათ, დელ პიერო კი ბაჯოს შემცვლელი ვერასდროს იქნება.

ქართველ გულშემატკივარს იტალია თავისთვის დამახასიათებელი, ჭკვიანური დაცვისა და ასეთივე შეტევებისათვის უყვარდა. მალდინიმ კი იტალიელთა თამაში მოკლა. ისე, არც გაემტყუნება, იგი ძველი თაობის მწვრთნელია, ერერასა და მისთანების გავლენის ქვეშაა, თანაც თავადაც მცველად თამაშობდა. ახლა ცდილობს, გუნდი მუდამ ცნობილი კატენაჩოს სისტემით ამოქმედოს. ასეთი მეთოდით კი დღევანდელ ფეხბურთში განა შეიძლება მუდამ კონტრშეტევის იმედად ყოფნა? ბევრს ვერაფერს მიაღწევ. ზოგმა შეიძლება თქვას, ფრანგებთან იტალიელმა მცველებმა და კანავარომ ძალიან ძლიერად ითამაშესო. შეიძლება ასეც არის, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ ყოველივე ფრანგების დამსახურებაა. მათი შეტევების ფონზე ჩანდა იტალიელი უკანახაზელების სიძლიერე. ფრანგებს რომ წაეგოთ, უსამართლობა იქნებოდა. მასპინძლები ნახევარფინალისტობას იმსახურებდნენ.

რაც შეეხება ღამის მატჩს, ჩემთვის პირადად მოულოდნელი იყო დანიელთა ასეთი ძლიერი თამაში. მთელი ენერგია ბრაზილიელებთან თამაშს მოახმარეს, ვფიქრობ, მაქსიმუმი გაიღეს გამარჯვებისთვის. შედეგი ლოგიკურად მიმაჩნია. ბრაზილია გამოუცნობი გუნდია, რაც გუშინ ერთხელაც დამტკიცდა. თუმცა ერთი კი ფაქტია, მათ გოლის გატანა როცა მოუნდებათ, მაშინ გაიტანენ.

დანიელებთანაც ასე იყო: გაუშვეს გოლი და ისეთი ძალებით შეუტიეს, რომ ანგარიშის გათანაბრება გარდაუვალი ჩანდა. ერთი-მეორეს მიაყოლეს, შემდეგ დამშვიდნენ. მეორე ტაიმის შუაში კი ისევ მძლავრად ათამაშდნენ და საქმე გამარჯვებამდე მიიყვანეს.

## ყველაზე საშიში, ყველაზე საჭირო

**ემზარ ზენაიშვილი**
„სარბიელის"
საგანგებო
კორესპონდენტი
პარიზიდან



ამ რეპორტაჟს ფიფასა და მსოფლიოს პირველობის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებთან ჟურნალისტთა საკმაოდ ვიწრო წრის შეხვედრით დავიწყებ. მთავარი პრესცენტრის ბრიფინგების ამ დარბაზში კი ჩემი კოლეგის, სპორტულ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტის თურქ თოგაი ბაიათლის მიწვევით აღმოვჩნდი.

ჯერ წაიკითხეს საფრანგეთის პრეზიდენტის ჟაკ შირაკის მისასალმებელი ადრესი ჟურნალისტებისადმი, შემდეგ კი ფიფასა და ორგკომიტეტის ხელმძღვანელები დაჯილდოვდნენ ჟურნალისტთა საერთაშორისო ასოციაციის საპატიო მედლებით. ჯილდოს მიღების შემდეგ ყველა მათგანი მიმართავდა აუდიტორიას. დაჯილდოების ცერემონიალი მიშელ პლატინით დაიწყო, გამომსვლელთაგან პირველიც ის იყო. ბევრი არ ულაპარაკია, ბედნიერნი ვიქნებით თუ თქვენ და ფეხბურთელებს (ასეთი იყო რიგითობა) ჩემპიონატის ჩვენეული ორგანიზაცია მოგეწონებათო.

შემდეგ ფიფას პრეზიდენტი ზეპ ბლატერი გამოვიდა და ასე დაიწყო: ბატონებო და ქალბატონებო, ჩემო ძვირფასო კოლეგებო... (შეყოვნდა...) არ შემშლია, მე სპორტულ ჟურნალისტთა შვეიცარიის კონფედერაციის წევრი ვარ და ასე რომ მოგმართეთ, ამის უფლება მაქვსო. მან მოკლედ ილაპარაკა სპორტული ჟურნალისტიკის როლზე მსოფლიოში ყველაზე პოპულარულ სახეობაში — ფეხბურთში. „მე ყველა ჟურნალისტს პატივს ვცემ, მაგრამ თქვენ, რომლებიც წერთ, ყველაზე საშიში და ყველაზე საჭირო ხალხი ხართ. მოდით, ვიმეგობროთ." თანაც წინასწარ ბოდიში მოიხადა — აქ ბევრი ჟურნალისტია აკრედიტებული, ყველას შეიძლება ფინალურ მატჩზე დასწრების საშუალება არ მიეცესო.

ლენარტ იუჰანსონმა იმით დაიწყო, რომ თქვა — ჟურნალისტებს რა შეგიძლიათ, ჩემზე უკეთ ვინ იცის. დიდი ოსტატები ხართ — მე რომ „A"-ს ვიტყვი, თქვენ „Z"-ს წერთ. მაგრამ მე ყოველთვის კარგი ურთიერთობა მქონდა თქვენს დიდ ოჯახთან, როცა ფეხბურთელი ვიყავი მაშინაც და ახლაც. მხოლოდ ერთი ნაკლი მაქვს — ჯერჯერობით თქვენი ასოციაციის წევრი არ ვარო.

შემდეგ ისევ მიშელ პლატინის მოუწია გამოსვლამ მისი ერთი ორგკომიტეტელი კოლეგის დაჯილდოების გამო. მან ღიმილით თქვა, ფიფას პრეზიდენტივით ჟურნალისტთა ოჯახის წევრი არ ვარ, მაგრამ, მერწმუნეთ, ჩემი საფეხბურთო კარიერის და ახლანდელი საქმიანობის მანძილზე ბევრი ჟურნალისტი დავავაჟკაცე და პროფესიულ წინსვლაშიც დავეხმარეო. ამ სიტყვებს დარბაზის გამოცოცხლება და სიცილი მოჰყვა.

იხილეთ მეშვიდე გვერდი

# ბრაზილია დანი(ი)ს პირზე

მატჩი №58. 3 ივლისი. ნანტი. სტად დე ლა ბოჟუარი. 35 500 მაყურებელი

## ბრაზილია 3:2 დანია

0:1 იორგენსენი (2); 1:1 ბებეტო (11); 2:1 რივალდო (26); 2:2 ბ. ლაუდრუპი (50); რივალდო (60)

ნამდვილად ასე და ისე მოხდაო, თავს ვერავინ დადებს. ერთმა ამა თუ იმ ეპიზოდს შეიძლება ერთნაირად შეხედოს, მეორემ — განსხვავებულად აღიქვას, ჩვენ ჩვენსას ვიტყვით. თამაშის დაწყებამდე, ჰიმნების დროს, ბრაზილიელი ფეხბურთელები თითქოს უდარდელნი გვეჩვენენ. თითქოს მათ კონცენტრაცია აკლდათ, არ ჰგავდნენ ხალხს, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალურ შეხვედრას თამაშობს.

იქნებ ეს იმის ბრალიც იყო, რომ ბრაზილიელები მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალში უამრავჯერ ყოფილან. სიმაღლეზე მხტომელები ხშირად ტოვებენ შეჯიბრების საწყის ეტაპს, ძლიერები მაშინ ერთვებიან, როდესაც თამასა მათ. საკადრის მანძილზეა მიწიდან აწეული. ვინძლო ბრაზილიელებსაც ეთაკილებოდათ ჯგუფური ტურნირი თუ ჩილესთან და დანიასთან თამაში, ფიქრობდნენ, ამათ ხომ ასკინკილითაც მოვუგებთო, მაგრამ, აბა, სად ფეხბურთი და სად მძლეოსნობა. სიმაღლეზე მხტომელს მეტოქედ საკუთარი თავი ჰყავს, ფეხბურთელს — ადამიანი.

დანიელები ის ადამიანები გახლავან, ბურთაობა რომ ეხერხებათ. ისინი მართალია ტეტრაკამპიონებისგან განსხვავებულ სტილს წარმოადგენენ, მაგრამ თამაში იციან. მათ არ შეეშლებათ ტაქტიკური ვარიანტის არჩევაა. ისინი არ შეშინდებიან და, ბოლოს და ბოლოს, გუნდში ძმები ლაუდრუპები ჰყავთ, ლაუდრუპები კი, ბოდიში მოგვითხოვია და ბარე ორ სეზარ სამპაიოს არ დაუდებენ ტოლს.

მოკლედ, მსოფლიოს ჩემპიონები მატჩისთვის ფსიქოლოგიურად ცუდად მომზადებულნი გვეჩვენენ, დანია კი...

ყოჩაღ, დანია! ყოჩაღ, რადგან მან ლაღი, ვაჟკაცური და მაღალი დონის ფეხბურთი ითამაშა. დანიას შიშისგან თავდაცვის ყრუ კედელი არ აუგია. ალბათ, ასეთი იყო ლოგიკა: ჩვენ უნდა ვითამაშოთ ის, რაც გვეხერხება, რაც ვიცით, რაშიც ნამდვილად ძლიერნი ვართ და ასე უფრო მივაღწევთ შედეგს, ვიდრე ტაქტიკის თავიდან ბოლომდე მეტოქის მიხედვით განსაზღვრის შემთხვევაში. ერთი წუთით წარმოვიდგინოთ, რომ დანიელები საკუთარ საჯარიმოსთან თუნდაც ათი-თხუთმეტი მეტრით წინ გამაგრებულიყვნენ და იმედი სწრაფ კონტრშეტევაზე დაემყარებინათ, განა ეს საკუთარი თავის ღალატი არ იქნებოდა?

იქნებ მეტადაც წაეგოთ. არაა გამორიცხული, გოლიც ვერ გაეტანათ. არადა, ამ ჩემპიონატზე 0:0-ის მაძებარი გუნდები მარცხდებიან. დანიამ სხვა გზა ირჩია და მართალია მაინც დამარცხდა, მაგრამ ჯერ ერთი, ძალიან ძლიერ გუნდთან, მეორეც, ღირსეულად, ვაჟკაცურად... უფრო სწორედ კინაღამ არ დამარცხდა.

მაშ რა დააკლდა ჩრდილოევროპულ გუნდს ნახევარფინალამდე? ალბათ, რამდენიმე სანტიმეტრი, როდესაც ბურთი ბრაზილიელთა კარის ხარიხას მოხვდა, ალბათ ერთი წამი, როდესაც მეორე ტაიმში საჯარიმოში შესულმა მარკ რიპერმა ჩინებული მომენტი გაუშვა ხელიდან, რადგან მცველმა შეწინააღმდეგება მოასწრო და ალბათ შმაიხელის ახალგაზრდობა. გახსოვთ, როდესაც დანიის ნაკრებისა და ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის" მეკარე პეტერ შმაიხელი საუკეთესო ფორმაში იყო, ასეთ გოლებს, ბრაზილიასთან რომ გაუშვა, არ უშვებდა.

და კიდევ დანიას იღბალმა უმტყუნა. დიახ, მან მეორე წუთზევე გახსნა ანგარიში. თითქოს მეტი რაღა იღბალი უნდა ინატროს კაცმა, მაგრამ ნებისმიერი, ვინც ბრაზილიის ნაკრებს გადაეყრება, ალბათ მაინც უიღბლოა.

დანიელებმა ანგარიში მართალია იმთავითვე გახსნეს, მაგრამ ისინი ეთამაშებოდნენ გუნდს, რომელიც შეხვედრაში ორ-სამ ისეთ კომბინაციას აუცილებლად ჩაწნავს, რომ თუ იღბალმა მართლა ზურგი არ აქცია, გაათანაბრებს და მაყურებელს შთაბეჭდილებას დაუტოვებს, თიქოს ოთხმოცდაათივე წუთის განმავლობაში რომ მოენდომებინა, დიდი ანგარიშით გაიმარჯვებდა.

ამ აზრისგან შორს ვართ. უფრო სწორედ, სულაც არ გვგონია, ბრაზილიელები იმდენად უგუნურნი იყვნენ, რომ მსოფლიოს პირველობის მერვედფინალში გაშვებული პირველი გოლის მერე ალაგ-ალაგ მოენდომებინათ. მოინდომეს კიდეც და რომ ნახეს, საქმე მთლად ისე იოლად არ იყო, თავიდან რომ ეგონათ, ცხრა პირი ოფლიც მოიდინეს, მაგრამ ჯერ ერთი სხვაა მატჩის დილიდანვე „საომარი" განწყობით რომ ხარ (ბრაზილიელთა ფსიქოლოგიური მომზადების ხარისხში თავიდანვე ეჭვი შევიტანეთ), მეორეც, ერთი წუთით არ გვსურს ლაუდრუპთა გუნდის მონდომება და ოსტატობა წყალში ჩავყაროთ.



REUTERS ნანტიდან

რობერტო კარლოსი მალაყებსაც ნაჩვევია

მოკლედ, დანიელთა პირველი გოლიდან ცოტა ხნის შემდეგ მსოფლიოს ბოლო ორი წლის საუკეთესო ფეხბურთელმა რონალდომ მოედნის სიღრმიდან საუცხოო პასი მიაწოდა ბებეტოს. ბებეტო მეკარესთან პირისპირ გავიდა და ანგარიში გაათანაბრა.

შემდეგ ისევ რონალდოს პასმა გაჭრა. ახლა რივალდომ გაიტანა გოლი.

და მსოფლიო დაიბნა. კარგ ფორმაშია თუ არა რონალდო? ერთი ფაქტია, ასეთ რონალდოს, ზოგ თამაშში ორ საგოლე პასს რომ აწვდის, ზოგში კი სულ მცირე, ერთი გოლი გააქვს, ყველა ინატრებდა. ამაზე მეტი კი... რა სჯობია ამაზე მეტს. ისე, მაინც და მაინც ფინტი თუ არ შეასრულა, ვერაა დიდი ფეხბურთელი?

მაინც, ბატონებო, მაინც. მსოფლიო რონალდოსგან მეტს ელის. როგორც ერთი ინტერვიუდან გახდა ცნობილი, თავად ზაგალოც არაა მთლად კმაყოფილი.

რაც შეეხება ჟიუსტ ფონტენის რეკორდს (13 გოლი ერთ ჩემპიონატში), რომელსაც ბრაზილიელი ვარსკვლავი ამ გაზაფხულზე ემუქრებოდა, ალბათ ხელუხლებელი დარჩება და მუქარისთვის ნურც ყმაწვილკაცს განვსჯით მკაცრად.

მეორე ტაიმში ბრაზილიელთა საჯარიმოსთან დანიელთა პირველი გოლის ავტორმა, მარტინ იორგენსენმა მიიღო ბურთი და პასი ჩააწოდა. რობერტო კარლოსს მოგერიება სურდა, მაგრამ მაკრატელა გაუხუნდა და ბრაიან ლაუდრუპმა ანგარიში გაქვითა. ერთი ხნის შემდეგ რივალდომ წამოიწყო შეტევა. მას გზა არავინ გადაუღობა და ბარსელონელმაც დასარტყმელი ხელსაყრელი პოზიცია რომ შენიშნა, არ დააყოვნა, გოლი გაიტანა.

თამაშის ბოლო ნაწილი ევროპელთა უპირატესობისა იყო. ყოჩაღმა დანიელებმა ბრაზილიელებს თავდაცვის ლაზათიანი მეცადინეობა ჩაუტარეს, მაგრამ ტეტრაკამპიონებმა გაუძლეს და სრულიად სამართლიანად გაიკვალეს გზა ნახევარფინალისკენ.

**ილია ბაბუნაშვილი**

### მატჩის შემდეგ

**კაფუ**, ბრაზილიის ნაკრების მცველი: ჩვენ ვიმსახურებდით ამ გამარჯვებას. მეტოქეზე მეტი სახიფათო მომენტი ჩვენ შევქმენით და ვფიქრობ, ნახევარფინალში რომ ვერ გავსულიყავით უსამართლობა იქნებოდა. სამწუხაროდ, მე ზედიზედ მეორე შეხვედრაში მივიღე ყვითელი ბარათი და მომდევნო შეხვედრის გამოტოვება მომიწევს, მაგრამ ჩემი აზრით, დღეს გასაფრთხილებელი ნამდვილად არ ვიყავი, მსაჯმა დროის გაყვანა დამაბრალა, ასეთი რამ კი სიცოცხლეში არ გამიკეთებია.

**ლეონარდო**, ბრაზილიის ნაკრების ნახევამცველი: მეორე წუთზე ჩამორჩენა დიდად გასაკვირი ამბავი გახლდათ. ძალიან ძნელი შეხვედრა ჩავატარეთ. მასში ყველაზე მნიშვნელოვანი ყურადღების მოკრება იყო. ჩვენ დიდებული თამაში არ გამოგვივიდა, რადგან იოლი მატჩები რა ხანია, აღარ არსებობს. თუ ერთიანად ორივე გუნდის მოქმედებას განვიხილავთ და ამ კუთხით შევეცდებით შეხვედრის შეფასებას, უნდა ითქვას, რომ საუცხოო ფეხბურთი გაჩაღდა. მართალია, მაყურებელი ჩვენგან გამუდმებით სანახაობას ელის, მაგრამ დაძაბული მატჩების დროს სპექტაკლის მოწყობა ძნელია.

**ბო იოჰანსონი**, დანიის ნაკრების შვედი მწვრთნელი: ბრაზილიამ ფანტასტიკურად ითამაშა, ჩვენ კი როგორც მსოფლიოს საუკეთესო გუნდმა. ეს კომპლიმენტია, რომელიც მომავალზე მეტყველებს. ვამაყობთ დღევანდელი შეხვედრით და იმავდროულად გვწყინს, რომ ვერ გავიმარჯვეთ. არადა, ჩემს ფეხბურთელებზე მოგება ალალი იქნებოდა. ჩვენ ბრაზილიისა არ გვეშინოდა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გუნდს მსოფლიო კლასის ფეხბურთელები ჰყავს. თამაშის ბოლოს ცოტა დავიღალეთ, მაგრამ ამდენს ჩვენს გარდა ბევრი მოახერხებდა? გვინდოდა, პირველივე წუთებიდან შეგვეტია. სამწუხაროა, რომ ისეთმა დიდმა ფეხბურთელმა, როგორიც მიქაელ ლაუდრუპია, პირველობა უნდა დატოვოს. დანიის ნაკრებმა ჩემპიონატი ჩინებულად ჩაატარა.



REUTERS ნანტიდან

რივალდომ დანიელებს ორი გოლი გაუტანა

**ბრაზილია**

1. ტაფარელი

2. კაფუ 3. ალდაირი 4. ჟუნიორ ბაიანო 6. რობერტო კარლოსი

5. სეზარ სამპაიო 8. დუნგა

18. ლეონარდო 10. რივალდო

9. რონალდო 20. ბებეტო

18. მიოლერი 11. ბ. ლაუდრუპი

10. მ. ლაუდრუპი

7. ნილსენი 6. ჰელვეგი 21. იორგენსენი

5. ჰაინცე 4. ჰოგი 3. რიპერი 12. კოლდინგი

1. შმაიხელი

**დანია**

შეცვლა: **ნილსენი — 15. ტოფტინგი (46), ბებეტო — 19. დენილსონი (64), მიოლერი — 19. სანდი (67), ლეონარდო — 11. ემერსონი (72), ჰელვეგი — 2. შიონბერგი (87), რივალდო — ზე რობერტო (88)**

გაფრთხილება: **რობერტო კარლოსი, ალდაირი, კაფუ, ჰელვეგი, კოლდინგი, ტოფტინგი**

მთავარი მსაჯი: **ჯამალ ჰანდური (ეგვიპტე)**

### მატჩის სტენოგრამა

2 წუთი. ბრაზილიელთა საჯარიმოს მაჯვენა ფრთასთან ჯარიმა დაინიშნა, მიოლერმა ბრაზილიელებს ცოცხალი კედლის აღმართვა არ დააცალა ბრაიან ლაუდრუპს ისე უპასა. ამან თავის მხრივ იორგენსენს მიაწოდა, რომელმაც დანიელები დააწინაურა.

4. შმაიხელმა რობერტო კარლოსის შორეული და ძლიერი დარტყმა აიღო.

11. ბებეტომ რონალდოს დიდებული გრძელი პასი საჯარიმო ხაზიდან გოლად გარდასახა.

26. ასისტენტობა ისევ რონალდომ გასწია. კარს მარცხნიდან მიახლოვებულ რივალდოს შმაიხელი გამოუხტა და ამან ბურთი გადატარებით კარში ჩაუსვა.

38. რონალდოს ახლოდან თავური დარტყმით კარს ააცილა.

49. იორგენსენის დაგორებული ბურთი ტოფტინგმა შორეული დარტყმით ტაფარელის კარს ააცილა.

50. ჟუნიორ ბაიანოსა და მიოლერის ბრძოლაში აჭრილი ბურთის მოგერიება რობერტო კარლოსმა მაკრატელათი დააპირა, მაგრამ ფეხი აუცდა და ბრაიან ლაუდრუპმა ახლო კუთხეში დარტყმულით ანგარიში გაათაბრა.

60. საჯარიმოს მისადგომებიდან რივალდოს დარტყმულ ბურთს შმაიხელი ვერ მიწვდა.

70. ჯარიმის გათამაშება ამჯერად მიქაელ ლაუდრუპმა დააჩქარა, ჟუნიორ ბაიანოს ბურთი თავზე გადაუტარა, მაგრამ ებე სანდს ტაფარელიმ დაასწრო.

78. ბრაზილიელთა საჯარიმოში შექმნილი მორიგი არეულობისას ჰელვეგის მწვავე პასი რიპერმა კარს ააცილა.

88. ტაფარელის კარს ისევ რიპერმა შეუტია, მაგრამ მცველებთან საჰაერო დუელში მოგებული და თავით დარტყმული ბურთი ხარიხას დასცა.

89. შმაიხელმა კაფუს დარტყმა მოიგერა.

# ARIVEDERCI, AZZURI!

## წინ, საფრანგეთო! წინ ფინალია!

მატჩი №57. 3 ივლისი. სენ დენი. სტად დე ფრანსი. 77 000 მაყურებელი

## იტალია 0:0 (3:4) საფრანგეთი

პენალტების სერია 3:4 (0:1 ზიდანი, 1:1 რ. ბაჯო, 1:1 ლისარასუ, 1:1 ალბერტინი, 1:2 ტრეზეგე, 2:2 კოსტაკურტა, 2:3 ანრი, 3:3 ვიერი, 3:4 ბლანი, 3:4 დი ბიაჯო)

...1990 წელი. მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალი. იტალია — არგენტინა. ძირითადი და დამატებითი დრო გამარჯვებულს ვერ ავლენს, პენალტების სერიაში კი რობერტო დონადონი, შემდეგ კი ალდო სერენა, იტალიას ღუპავენ.




REUTERS სენ დენიდან

რობერტო ბაჯოს (მარცხნივ) გამოჩენა და მასპინძელთა მცველების შესამჩნევი აფორიაქება ერთი გახლდათ

საბოლოოდ 3:4 არგენტინელთა სასარგებლოდ.

...1994 წელი. მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი. იტალია — ბრაზილია. ლოს ანჯელესშიც იგივე განმეორდა, რაც ოთხი წლის წინ ტურინში. ფრანკო ბარეზი, დანიელე მასარო, სულ ბოლოს კი რობერტო ბაჯო იტალიას მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხე ტიტულს უკარგავენ. საბოლოოდ 2:3 ბრაზილიელთა სასარგებლოდ.

...1998 წელი. მსოფლიოს ჩემპიონატის მეოთხედფინალი. იტალია — საფრანგეთი. ძალიან დაძაბული, მაგრამ უგოლო ორსაათიანი ბურთაობის შემდეგ კვლავ პენალტების სერია. დემეტრიო ალბერტინი და ლუიჯი დი ბიაჯო შანსს ვერ იყენებენ. საბოლოოდ 3:4 ფრანგთა სასარგებლოდ. იტალია მსოფლიოს ჩემპიონატს ეთხოვება. კვლავ პენალტების სერიაში.

დაძაბულობა პიკს აღწევს, როცა „რომას“ ნახევარმცველი ლუიჯი დი ბიაჯო მეხუთე პენალტის დასარტყმელად ბურთს უახლოვდება. გამორბენი, დარტყმა... ნახევარფინალში საფრანგეთი გადის. ძნელია სიტყვებით გადმოსცე ის ტკივილი, რაც დი ბიაჯომ „სკუადრა ადზურას“ და იტალიელთა ქომაგებს, უნებურად, მაგრამ მაინც მიაყენა. ჩეზარე მალდინის გუნდისთვის მეოთხედფინალი გადაულახავ ზღუდედ იქცა — გუნდს ერთი თამაში არ წაუგია, მაგრამ მაინც დამწუხრებული შინ, აპენინებზე ბრუნდება. იტალია მსოფლიოს ჩემპიონატს გამოეთხოვა.

პირველი წუთებიდანვე გაირკვა მეტოქეთა ტაქტიკა — მაქსიმალურად ყურადღებიანი თამაში დაცვაში და შიგადაშიგ, შემთხვევის ხელში ჩაგდებისთანავე შეტევა, თუმცა თავდასხმისასაც დაცვაზე მიყურადება. საკუთარ კართან ძლიერი თამაში იტალიელებს სისხლში აქვთ გამჯდარი. ამასთანავე გუნდს ისეთი მწვრთნელი ჰყავს, თავდაცვის უკლებლივ ყველა საიდუმლო ბრწყინვალედ რომ მოხსენება. ყველაფერი ამის გათვალისწინებით სულაც არ იყო გასაკვირი, რომ აპენინელებმა მოედნის დიდი ნაწილი შეგნებულად დაუთმეს ფრანგებს და კონტრშეტევების იმედად დარჩნენ. წინ ჯერ კიდევ ჩემპიონატის ბომბარდირთა ერთ-ერთი ლიდერი კრისტიან ვიერი და ალესანდრო დელ პიერო დარჩნენ. აქვე უპრიანი იქნება აღვნიშნო, რომ დელ პიეროს ამ თამაშში ერთი, ასე თუ ისე ხეირიანი გადაცემის გარდა, სხვა არაფერი გაუკეთებია. მცველებთან რომ აღარაფერი ვთქვა, ერთ მოწინააღმდეგესთან ორთაბრძოლისასაც მუდამ დამარცხებული რჩებოდა. ერთი სიტყვით, წინ გადასროლილი დელ პიერო და ვიერი, უკან კი აუღებელ ციხესიმაგრედ, სალ კლდედ ქცეული იტალიური დაცვა, ცნობილი „კატენაჩოს“ ერთ-ერთი საუკეთესო მაგალითი — ყველაფერი ის, რასაც იტალიელთა ტაქტიკა მოიცავდა.

ბევრი რომ არ გავაგრძელო, ჩადგნენ იტალიელები დაცვაში და ფრანგთა შეტევებს უცდიდნენ, რათა უმალ კონტრშეტევა განეხორციელებინათ, მაგრამ განა ემე ჟაკე საფრანგეთის უპირველესი გუნდის მწვრთნელი იქნებოდა, მეტოქის ეს ფანდი ეს არ გაეთვალისწინებინა? თავდასხმისასაც კი, რომელიც მაქსიმუმ საჯარიმოში შეჭრით მთავრდებოდა, ფრანგები გაათმაგებული სიფრთხილით მეურვეობდნენ მეტოქეს. ამიტომა იყო, რომ ორიოდ სახიფათო მომენტის გარდა მთელი ორი საათის განმავლობაში საგოლე სიტუაცია არ შექმნილა.

ფრანგთაგან განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ ემანუელ პეტი და ლილიან ტურამი. ამ ორმა უკანახაზელმა უდიდესი შრომა გასწია ნაკრების საკეთილდღეოდ და გარჯა დაუფასდათ კიდეც. ტურამი და პეტი იმ დღეს ფრანგთაგან საუკეთესონი იყვნენ, თუმცა ისინი, როგორც სხვა ფრანგი ფეხბურთელები, ერთი თანაგუნდელის ჩრდილში მოექცნენ.

ზინედინ ზიდანი — კაცი, რომელიც ასე ძალიან აკლდა მასპინძელთა ნაკრებს პარაგვაელებთან მერვედფინალში და ფეხბურთელი, რომლის ბრწყინვალე თამაშის წყალობით იტალიელები ასე თუ ისე, მაგრამ მაინც პალიუკას კარს გახლდნენ მიჯაჭვულნი. ჟაკეს ჩანაფიქრით ზიდანისთვის პარტნიორობა თავდასხმაში თავდაპირველად საფრანგეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირს, „ოსერის“ ფორვარდ სტეფან გივარშს უნდა გაეწია, მაგრამ თავდასხმა კი არა, სწორედ გივარში აღმოჩნდა ფრანგთა შეტევების მუხრუჭი. შემდეგ წინ დავიდ ტრეზეგე და ტიერი ანრიც გამოჩნდნენ, თუმცა ზიდანის შრომას ესენიც წყალში ყრიდნენ. ის, რომ ფრანგებმა გოლი ვერ გაიტანეს, სწორედ თავდამსხმელთა უნიათობის ბრალია, ამასთანავე იტალიური დაცვის და პალიუკას ჩინებულ თამაშის.

შეხვედრა სულ რაღაც რამდენიმე წუთის დაწყებული გახლდათ, „ინტერის“ კარის მცველმა ჯანლუკა პალიუკამ ფრანგთა პირველ ტაიმში ალბათ ყველაზე სახიფათო იერიში ბრწყინვალე ნახტომით რომ გააუვნებელა. ზიდანის სუსტი, მაგრამ ძალიან სახიფათოდ დარტყმული ბურთი პალიუკამ კუთხურზე მოიგერია. მეორედ კი მეკარემ „სკუადრა ადზურა“ დამატებით დროში იხსნა — ლისარასუს პასით ჯორკაეფი თანაკლუბელთან პირისპირ დარჩა, თუმცა ბურთი პალიუკას მკერდს მოხვდა და კვლავ კუთხურზე გადავიდა.

საფრანგეთის ქომაგები ბევრჯერ არც იტალიელებს აუფორიაქებიათ — პირველ ნახევარში დი ბიაჯოს თავური ასცდა კარს, მერე დელ პიეროს პასით ვიერიმ დაარტყა უძლიერესად, მაგრამ ბარტეზმა უკუაგდო ბურთი, შეხვედრის მიწურულს კი რობერტო ბაჯოს პასით დი ბიაჯოს სულ ცოტა დააკლდა, რომ კამერუნელებთან გატანილი გოლის დარი ახლაც შეეგდო.

და კვლავ რობერტო ბაჯო, მსოფლიოს ყველა დროის ალბათ ერთ-ერთი უძლიერესი ფეხბურთელი, მოთამაშე, რომელიც სხვა ბევრი შესანიშნავი ფეხბურთელის დარად, ალბათ ისე დაასრულებს კარიერას, მსოფლიოს ჩემპიონობას ვერ ეღირსება. მობურთალი, რომლესაც კატეგორიულად იგნორირებდა ჩეზარე მალდინი, გაჭირვების დროს, ძირითადად შეხვედრის მიწურულს კი კვლავ უხმობდა. ახლაც ასე მოხდა — შევიდა თუ არა რობერტო ბაჯო არაფრისმაქნისი დელ პიეროს ნაცვლად, ფრანგ მცველებსაც საქმე მოემატათ. თხუთმეტი წუთის განმავლობაში ფაბიენ ბარტეზის კარს იტალიელნი, ასე თუ ისე სახიფათოდ სამჯერ დაემუქრნენ, ამდენი მომენტი კი გუნდს მანამდე ნათამაშევ ერთ საათში არ შეუქმნია.

ზემოთ ალესანდრო დელ პიერო ვახსენე — „იუვენტუსის“ ლიდერია, სერია A-ში ბრწყინვალედ თამაშობს, თუმცა იქ, სადაც ყველაზე საჭირო გახლდათ მთელი ძალით წარმოჩინება, მან ვერაფერი მოახერხა. არათუ ამ შეხვედრაში, სხვა მატჩებშიც იგი აშკარად სუსტად გამოიყურებოდა. როგორც ჩანს, იგი ნაკრებში ვერ თამაშობს ისე, როგორც კლუბში.

თუმცა რა დროს დელ პიეროა, მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალისტი გაირკვა.

საფრანგეთი მსოფლიოს ჩემპიონატის ნახევარფინალში გავიდა. 1982 და 1986 წლებში მიშელ პლატინი და ბრწყინვალე სამფეროვანთა ნაკრები ორჯერ იყვნენ ნახევარფინალში, თუმცა შემდეგ გფრ-ს გუნდს შეხვდებოდნენ და ფინალის გზიდან იხევდნენ. იმ ტურნირებზე საფრანგეთი ძალიან ლამაზი ფეხბურთით გამოირჩეოდა. ახლანდელი ნაკრები თვალსასეირო თამაშით ვერ დაიკვეხნის, მაგრამ მაინც ძლიერ გუნდად რჩება, თუმცა, არაა გამორიცხული, ზემოხსენებული ჩემპიონატების არასასიამოვნო ტრადიცია განმეორდეს. საფრანგეთი ნახევარფინალში ხომ გერმანია — ხორვატიის წყვილის გამარჯვებულს ხვდება, ასე რომ...

პირველი პენალტი ფრანგთა ლიდერმა ზინედინ ზიდანმა შეასრულა. წყნარად, აუღელვებლად გადაგზავნა ბურთი პალიუკასგან საწინააღმდეგო კუთხეში. მერე კი... მერე ბურთთან რობერტო ბაჯო მივიდა, ფეხბურთელი, რომელიც ნაკრებიდან არიგო საკიმ სწორედ ვერგატანილი პენალტისთვის დაითხოვა. უდიდესი ფსიქოლოგიური ზეწოლის მიუხედავად, რასაც თან ფრანგ გულშემატკივართა ყურისწამღები ყვირილიც ერთვოდა, რობერტო ბაჯომ პენალტი გოლად აქცია — 1:1. იტალია მაინც დამარცხდა — გამოექანა დი ბიაჯო და კინაღამ ჩამოვარდა კარის ხარიხა.

საფრანგეთი ნახევარფინალში გავიდა, ეჭვგარეშეა, დამსახურებულად. იტალია კი აპენინებზე გაბრუნდა, გამოეთხოვა უდიდეს საფეხბურთო ტურნირს.

გუნდი რომელიც, ფეხბურთში შეტევას უარყოფდა უბრალოდ არც შეიძლებოდა შორს წასულიყო. აკი ასეც მოხდა.

... და მაინც, როდემდე?

**ლაშა გოდუაძე**

იტალია

| | | | |
|---|---|---|---|
| | 12. პალიუკა | | |
| 4. კანავარო | 5. კოსტაკურტა | 2. ბერგომი | 3. მალდინი |
| 17. მორიერო | 11. დ. ბაჯო | 14. დი ბიაჯო | 7. პესოტო |
| | 21. ვიერი | 10. დელ პიერო | |
| | 10. ზიდანი | 9. გივარში | |
| | 6. ჯორკაეფი | | |
| 17. პეტი | 7. დეშამპი | 19. კარემბუ | |
| 3. ლისარასუ | 8. დესაი | 5. ბლანი | 15. ტურამი |
| | 16. ბარტეზი | | |

საფრანგეთი

შეცვლა: **დინო ბაჯო — 9. ალბერტინი (53), კარემბუ — 12. ანრი (65), გივარში — 20. ტრეზეგე (65), დელ პიერო — 18. რობერტო ბაჯო (67), პესოტო — 15. დი ლივიო (90)**

გაფრთხილება: **გივარში, დეშამპი, დელ პიერო, ბერგომი, კოსტაკურტა**

მთავარი მსაჯი: **ჰიუ დალასი (შოტლანდია)**

### მატჩის შემდეგ

**ემე ჟაკე**, საფრანგეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი: „არ შევცდები, თუ ვიტყვი, რომ საფრანგეთის ნაკრებმა დამსახურებული გამარჯვება მოიპოვა. ბიჭებმა თავი დადეს და მართლაც ბრწყინვალედ ითამაშეს. ჩვენ მთელი მატჩის განმავლობაში ვდომინირებდით მინდორზე — ბურთიც უფრო დიდხანს გვეჭირა, დაცვაშიც უშეცდომოდ ვმოქმედებდით და სახიფათო მომენტებიც მეტი შევქმენით. აქედან გამომდინარე, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, შედეგი ლოგიკური იყო — უძლიერესმა გაიმარჯვა. ამ წუთისთვის თავი მსოფლიოში უბედნიერეს კაცად მიმაჩნია.“

**ჩეზარე მალდინი**, იტალიელთა თავკაცი: „ძლიერ დაღონებული ვარ მარცხით, ბიჭებმა მართლაც კარგად იასპარეზეს, მაგრამ ფორტუნა დღეს ფრანგების მხარეს იყო. მიუხედავადჟ წაგებისა, ჩვენ საფრანგეთს თავაწეულები ვტოვებთ. ტურნირის დარჩენილ ნაწილში რა მოხდება, არ ვიცი, მხოლოდ ერთის თქმა შემიძლია, ფრანგებს ძალიან ძლიერი ნაკრები ჰყავთ.“

**მარსელ დესაი**, საფრანგეთის ნაკრების მცველი: „ჩვენ მთელი შეხვედრა უმაღლეს დონეზე ჩავატარეთ და ამიტომაც ვფიქრობ, რომ დამსახურებულად მოვიგეთ. იტალიელები ყოველთვის ამტკიცებენ, თითქოს მათი ლიგა მსოფლიოში უძლიერესია და საუკეთესო ფეხბურთელები ჰყავთ, მაგრამ დღევანდელმა დღემ ყველაფერი ცხადყო, თვალნათლივ გამოჩნდა, რომელი გუნდია უფრო მაღალი დონის.“

**ჟაკ შირაკი**, საფრანგეთის პრეზიდენტი: „მთელი თამაშის განმავლობაში მეტად დაძაბული ვიყავი, ახლა კი ჩემს ბედნიერებას საზღვარი არა აქვს. ბიჭები ბრწყინვალედ გაისარჯნენ და სამართლიანადაც გავიდნენ ნახევარფინალში. ეს ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი იყო, რაც კი საფრანგეთის ნაკრებს ოდესმე, თუნდაც სადმე ჩაუტარებია.“




REUTERS სენ დენიდან

ორი 17-ის ორთაბრძოლა: პეტიც (მარჯვნივ) და მორიეროც ერთ-ერთი საუკეთესონი გახლდნენ

### მატჩის სტენოგრამა

3 წუთი. კუთხურიდან გადმოვარდნილი ზიდანმა არაზუსტად დაარტყა.

5. ჯორკაეფის პასით კვლავ ზიდანი დაემუქრა იტალიელთა კარს, პალიუკამ კუთხურზე მოიგერია.

5. კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ პეტიმ ბურთი კარისკენ გაგზავნა, მეკარემ იტალიის ნაკრები იხსნა.

9. მორიერომ მცველი ჩამოიშორა და საჯარიმოში ჩააწოდა, ვიერიმ ახლო მანძილიდან თავური ააცილა.

24. მცველების შეცდომის შედეგად ჯორკაეფი კარგ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაგრამ კარემბუმ ხელი შეუშალა.

25. გივარშის შორიდან გასროლილი კარს ასცდა.

31. კარემბუს პასი ზიდანმა ტექნიკურად დაიმორჩილა, თუმცა უზუსტოდ დაარტყა.

33. ვიერი—დელ პიერო—ვიერის კომბინაცია ამ უკანასკნელის ძლიერი დარტყმით დასრულდა, ბარტეზიმ ბურთი მუშტებით მოიგერია.

35. მალდინის პასით ვიერის გოლის გატანის შანსი ჰქონდა, მაგრამ ბარტეზიმ დაასწრო.

45. ჯორკაეფმა დეშამპთან კედელი გაითამაშა, პალიუკასთან პირისპირ აღმოჩნდა, თუმცა იჩქარა და დარტყმა არ გამოუვიდა.

51. გივარშიმ თავური დარტყმა კარს ააცილა.

65. ზიდანის კარგი პასით კარემბუმ ხელსაყრელი მომენტი ვერ გამოიყენა, ბურთი კარს გადააცილა.

67. ანრის მოჭრილი დარტყმა ოდნავ არაზუსტი გამოდგა.

82. რობერტო ბაჯომ დი ბიაჯოს კარგად უპასა, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერ გამოიყენა.

89. რობერტო ბაჯოს კარის გასწვრივ ჩაწოდებული მცველმა მოიგერია, პესოტოს დამატებული კი ბარტეზის იოლი ლუკმა გახდა.

90. საჯარიმოში შეჭრილ ვიერის დესაიმ დაასწრო და მდგომარეობა განმუხტა.

101. ლისარასუ კარგად გასცდა კანავაროს, მაგრამ სუსტად დაარტყა და პალიუკას ბურთის აღება არ გასჭირვებია.

102. ალბერტინის პასით რობერტო ბაჯო შეუჩერებლივ ურტყამდა, ბურთმა სანტიმეტრებში ჩაუქროლა კარის ძელს.

116. ლისარასუს გადაცემა ანრიმ ვერ გამოიყენა, მცველებმა მოიგერიეს.

117. კუთხურიდან ჩაწოდების შემდეგ პალიუკა გამოსვლაზე შეცდა, მაგრამ დამმატებელი არავინ აღმოჩნდა.

118. ანრის ძლიერ დარტყმას კოსტაკურტა გადაეფარა.

119. ჯორკაეფმა ანრის კარგი პასი ვერ შეიშნოვა და ერთი-ერთზე დარჩენილმა ბურთი პალიუკას გაარტყა.

# როცა გაუჩოები ეძებენ ტიტებს

## მატჩი №59. ჰოლანდია — არგენტინა. მარსელი. 18:30

მარსელის „ველოდრომი“ კვლავ დიდი შერკინების ალაგი ხდება. ზღვისპირა ქალაქის მინდორზე მეოთხედფინალია: მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი და ორგზის ვიცე-ჩემპიონი არგენტინა მსოფლიოს ორგზის ვიცე-ჩემპიონ ჰოლანდიას ხვდება. ესეც ინგლის — არგენტინის შეხვედრა არ იყოს, არ არის ერთი უბრალო რამ, რომ დაერქვას. ჰოლანდიელები და არგენტინელები კვლავ ერთმანეთს ხვდებიან. უკვე მესამედ, მსოფლიო ჩემპიონატების ისტორიაში.

ხმაური დიდია. ბუენოს აირესიდან ყვირის დიეგო არმანდო მარადონა: „მე კვლავ გავიმეორებდი იმას, რაც ოთხმოცდაექვს წელს გავაკეთე. „ღმერთის ხელს“ ვგულისხმობ. ამბობენ, რომ თითქოს მე მოვიბოდიშე. არასოდეს არ გამიკეთებია ასეთი რამ. იმიტომ, რომ ბურთის ხელით უჩუმრად გატანა ჯერ კიდევ ბავშვობაში, ქუჩაში თამაშისას გამიჯდა სისხლში. მე არ ვამბობ, რომ ამას მაინცდამაინც ინგლისელებს გავუკეთებდი. გავუკეთებდი იმას, ვინც გზად შემხვდებოდა. თუ გნებავთ, ნებისმიერ გუნდს, იმიტომ რომ ეს ჩემს ხასიათშია. ეს იმათ ხასიათშია, ვინც ჩემი არ იყოს, ქუჩაში ისწავლა ფეხბურთი. ამიტომ, ამის გამო მობოდიშება სისულელეა. მით უმეტეს, რომ გაიმარჯვებ“.

რა კავშირია დიეგოს ეს განცხადება დღევანდელ მატჩთან?

დიდ არაფერ კავშირში უნდა იყოს. ოღონდ, ერთი ეგაა, რომ „ღმერთის ხელის“ ისტორიის წამოტივტივება თითქოს ახსენებს დღევანდელ არგენტინელებს, რომ უამრავ საუცხოო სათამაშო თვისებასთან ერთად, მათ არსენალში ისეთი ეშმაკური იარაღიცაა, როგორიც წესის მოხერხებული და შეუმჩნეველი დარღვევაა. არგენტინელები ყოველთვის კარგად ფლობდნენ ასეთ იარაღს და თუმცა დანიელ პასარელას გუნდში აქცენტი სულაც არ კეთდება ასეთ რამეზე, არგენტინელებს ხსენებული ფანდები სისხლში აქვთ და მათი გამოყენებაც შეუძლიათ.

სადღეისოდ, დანიელ პასარელა იმ დროს თუ იხსენებს, როცა ზუსტად ოცი წლის წინათ, 1978 წლის 25 ივნისს გადაჭედილ „რივერ პლეიტზე“ როგორც კაპიტანი გაუძღვა არგენტინის ნაკრებს. ამ გაძღოლიდან სრულ ორ საათსა და ორმოც წუთში კი პასარელამ თავი ასწია და არგენტინის პირველად გაჩემპიონების ამბავი ისტორიად აქცია. იყო ასეთი დროც. წამი სიდიადისა, ჰოლანდიელთა დამარცხებისა.




სარბიელის არქივიდან

1974 წელი. იოჰან კრუიფი არგენტინელთა მეკარე დანიელ კარნევალის ატყუებს და ბურთს აგდებს კარში

მაგრამ იყო სხვაგვარი დროც, ოთხი წლით ადრე.

გერმანიის მსოფლიო ჩემპიონატზე, 1974 წელს, ჩასულმა არგენტინის ნაკრებმა აღმოაჩინა, რომ მსოფლიო ფეხბურთი შორს წასულა, უფრო სწორად კი, ევროპაში თამაშის სხვაგვარი გზა აურჩევიათ. მაშინ არგენტინელთა რიგებში იყვნენ ნაღდი ვარსკვლავები მიგელ ანხელ ბრინდიზი, ექტორ იასალდე, რობერტო პერფოუმო და, რა თქმა უნდა, კარლოს ბაბინგტონი, მაგრამ თვით ამ საუცხოო ფეხბურთელებსაც ბევრი არაფერი ესაქმებოდათ მსოფლიო ჩემპიონატზე, რადგან, როგორც კლასიკოსი იტყოდა, აქ სხვა ხალხის ჟრიამული იმსოდა. არგენტინელთა გამოსვლის ეგზოტიკას კი ქმნიდა კოჭებამდე თმამოშვებული ფორვარდი რუბენ აიალა — მადრიდის „ატლეტიკოს“ ფეხბურთელი.

ჩემპიონატის გმირი იყო ჰოლანდიის ნაკრები, რომელსაც თავკაცობდა „ტოტალური ფეხბურთის“ შემქმნელ-განმახორციელებელი კაცი, მარინუს მიხელსი. ქვეჯგუფიდან გამომძვრალი არგენტინელები ისეთ ჯგუფში მოხვდნენ (მაშინ მეოთხედფინალები და ნახევარფინალები ორ ოთხგუნდა ჯგუფში იმართებოდა წრიულად), რომ პირველსავე თამაშში მთელის სიმწარით იწვნიეს ტოტალური ფეხბურთის ძალა. ჯგუფის პირველი მატჩი არგენტინის ნაკრებს გელზენკირხენში ჰქონდა ჰოლანდიელთა წინააღმდეგ და მათ პრეტენზიასაც აქ დაესვა წერტილი. წაგება სამარცხვინო იყო — 0:4. მაგრამ ძალა აღმართს ხნავდა. კრუიფს და მის ამხანაგებს ჩვეულებრივი თამაშით ვერ გააჩერებდი. ჰოლანდიამ მოიგო კრუიფის (ორი) რუდი კროლისა და ჯონი რეპის გოლებით. ბრძოლა არ შედგა, რადგან სტაგნაციურ არგენტინულ ფეხბურთს ნაღდად არ შეეძლო რაიმე დაეპირისპირებინა რევოლუციური ჰოლანდიური ფეხბურთისთვის.

ამ ჩემპიონატზე არგენტინელთა იმედი ის თუ იყო, რომ მომავალი, 1978 წლის მსოფლიო ჩემპიონატი მათ სამშობლოში უნდა გამართულიყო. გერმანული ფიასკოს შემდეგ, რა თქმა უნდა, თანამდებობა დატოვა არგენტინელთა მწვრთნელმა ლადისლაო კაპმა. ამ დროიდან ცოტა ხნის შემდეგ არგენტინის ნაკრების მწვრთნელად ლუის სესარ მენოტი დაინიშნა — ახლო წარსულის პოპულარული და ელეგანტური ნახევარმცველი, ერთხანს პელეს თანაგუნდელი „სანტოსის“ კლუბში.

მენოტი ახალგაზრდა კაცი იყო. არგენტინაში კი სწრაფად კვდებოდა ოსვალდო სუბელდიას ეპოქა. ბოლოს ეს ლეგენდარული ავი გენიოსი კლუბ „სხურანიდან“ გააძევეს ფეხბურთელთა მოთხოვნით, ულირსი რამეების კეთებას გვაიძულებსო. ამ დროს ბუენოს აირესის კლუბებში მოღვაწეობდა ბრაზილიელი ვალდირ პერეირა — დიდი, რომელიც შემტევ ფეხბურთს ქადაგებდა. მენოტიც ამ განწყობის და ფიქრების კაცი იყო.

ოთხი წლის თავზე, როცა დიქტატორულმა არგენტინამ მსოფლიო ჩემპიონატს გაუღო კარი, მენოტის უკვე ჰყავდა თავისი გუნდი. კაპის ნაკრებიდან ამ გუნდში დარჩენილიყო სამად სამი კაცი, მცველი რენე ჰაუსმანი და იმ ნაკრების ორი დუბლიორი მეკარე უბალდო ფილოლი და თავდამსხმელი მარიო კემპესი, რომელსაც, თურმე ჩემპიონატის გმირობა ეწერა.

რთული გზით მოვიდა არგენტინაში ჰოლანდიის ნაკრები. გუნდს უკვე სხვა მწვრთნელი ჰყავდა — ავსტრიელი ერნსტ ჰაპელი. ჰაპელი ჰოლანდიურ ფეხბურთში დიდხანს მომუშავე კაცი იყო, სწორედ ამ ავსტრიელით მოიპოვეს ჰოლანდიელებმა პირველი საერთაშორისო ჯილდო — ჩემპიონთა თასი. სწორედ მან შექმნა დიდი „ფეიენოორდი“, რომელმაც ეს თასი მოიგო. მაგრამ ჰაპელი მიხელსი არ გახლდათ. მისი შემოქმედებითი გაქანება უფრო მკაცრი ნახაზითა და სიხისტით შემოიფარგლებოდა. ჰაპელი ხასიათითაც მკაცრი კაცი იყო. მან შეინარჩუნა ოთხი წლის წინანდელი გუნდის ბირთვი და ახალი ხალხიც შემოიყვანა ძირითადში, მაგრამ ჰოლანდიის ნაკრებს აკლდა მთავარი — იოჰან კრუიფი. დიადმა ჰოლანდიელმა თვითონ თქვა უარი ჩემპიონატში თამაშზე. ის მაშინ შეერთებულ შტატებში, ვაშინგტონში თამაშობდა — გაკოტრებული სიმამრის მდგომარეობის გამოსწორებას ცდილობდა.

რატომ ვყვებით ყოველივე ამას?

იმიტომ, რომ დანიელ პასარელას სწორედ ეს ახსენდება.

შეუძლებელია, არ გაახსენდეს.

მერე მითქმა-მოთქმაც ატყდა. უბრალოდ, არგენტინა ისეთი ქვეყანა იყო, რომ არ შეიძლებოდა, ლაპარაკი არ ამტყდარიყო. ატყდა ასეთი ლაპარაკი არგენტინა — პერუს მატჩის შემდეგაც. ეს მატჩი არგენტინელებს ოთხი ბურთის სხვაობით უნდა მოეგოთ და 6:0 კი მოიგეს. ატყდა ლაპარაკი ფინალის შემდეგაც. არგენტინელებმა მოედანზე გამოსვლა დააგვიანესო, მსაჯმა ჰოლანდიელებს თავიდანვე გაუფუჭა გუნებაო. ეს ფინალი იყო, თანაც ქვეყანაში, რომელსაც გენერლები მართავდნენ. იმათ, ვინც არგენტინას უჭერდა მხარს, ჰოლანდიელთა უხეშობაზე დაიწყეს ლაპარაკი (ამ მატჩში რუდი კროლმა ცხოვრებაში პირველად მიიღო ყვითელი ბარათი), ჰოლანდიელთა ქომაგებმა კი პასარელას იდაყვების ქნევა და რობ რენსენბრინკის მიერ ძირითადი დროის ბოლოწუთს ძელს მორტყმული ბურთი გაიხსენეს.



სარბიელის არქივიდან

1978 წელი. მარიო კემპესს პირველი გოლი გააქვს ჰოლანდიელთა მეკარის იან იონგბლადის კარში

სადაც ფეხბურთია, დიდი დავა-კამათიც იქვეა.

ის მატჩი კი, საუცხოო ფინალი, დიდ ფეხბურთად რჩება. დიდ ფეხბურთად რჩება მარიო კემპესისა და დანულ რიკარდო ბერტონის თამაში იმ მატჩში. დიდ ფეხბურთად რჩება ოზი არდილესისა და ლეოპოლდო ლუკეს გარჯა, და ასევე დიდი ფეხბურთია, იოჰან ნეესკენსის, იმავ რენსენბრინკისა და ძმებ ვან დერ კერკჰოფების თამაშიც.

ამ შეხვედრაში იყო ოთხი ულამაზესი გოლი. განუმეორებელი დამატებითი დრო. ჰაერში გათამაშებული კედელი. ბოლო წუთს, საყაიმო ანგარიშისას მასპინძელთა ძელს მოხვედრილი ბურთი. მანამდე კი, ორ ჰოლანდიელს შორის გამძვრალი კემპესის ფეხი და გოლი. მერე, „როდას“ ფეხბურთელის, ხუმარა შემცვლელის, დირკ ნანინგას მკვდარი თავური. სულ კი 3:1, არგენტინელთა სასარგებლოდ.

ეს დიდებული თამაში იყო და არგენტინელებმა ერთიათად მოიოხეს გული ოთხი წლის წინანდელი შერცხვენისთვის. ჰოლანდია კი ეგრეც ვერ გახდა მსოფლიოს ჩემპიონი.

ამის შემდეგ ეს გუნდები აღარ შეხვედრილან მსოფლიო ჩემპიონატებზე. თეთრ-ცისფერი ქაღალდის თოვლით გადაპენტილი „რივერ პლეიტის“ მინდორი კი სამუდამოდ დარჩა დიდი, განუმეორებელი თამაშის ერთ-ერთ სიმბოლოდ.

ეს მართლაც ზღაპრული შეხვედრა იყო.

და, აი, გავიდა ოცი წელიწადი. ოცი წლის შემდეგ ეს გუნდები კვლავ ერთმანეთის პირისპირ დგანან და ერთადერთი, ვინც იმ ოცი წლის წინანდელ ამბავთანაა დაკავშირებული დღევანდელ დღეს, ისევ არგენტინელთა მწვრთნელი დანიელ პასარელაა.

ჰოლანდიელებთან შესახვედრად რომ ემზადებოდა პასარელა-მწვრთნელი, პირდაპირ თქვა: ნარინჯისფერთა დღევანდელი გუნდი, კრუიფის ეპოქის ჰოლანდიელთა ნაკრებს მახსენებსო. პასარელას იმთავითვე გამოურჩევია ჰოლანდიელები, ყველაზე აზრიან და კარგ ფეხბურთს თამაშობენო.

„მსოფლიოს ჩემპიონატზე არ არის მეორე გუნდი, ჰოლანდიელთა დარად რომ ეხერხებოდეს ბურთის გათამაშება“, — ამბობს პასარელე — „პრაქტიკულად ყოველ ჰოლანდიელს შეუძლია საგოლე პასის მოხერხება. ეს აბნევს მათ მეტოქეებს და ჰოლანდიელებს გამარჯვებისკენ უხსნის გზას“.

ჰოლანდიელთა ქება ქებად, მაგრამ პასარელას თავისი საზრუნავი აქვს მეოთხედფინალის წინ. ინგლისელთა წინააღმდეგ მატჩში არგენტინის ნაკრებს გვარიანი ხინჯიც გამოაჩნდა. პასარელას ტაქტიკამ არ გაამართლა, არგენტინელთა ფარღალალა დაცვა კი ცხრა ინგლისელმა დატანჯა. ვერ აყვნენ არგენტინელები ინგლისელთა სისწრაფესაც.

„მე პირადად იგივეს ველი“, — ამბობს ნახევარმცველი ხუან სებასტიან ვერონი — „განსხვავება ისაა, რომ ჰოლანდიელები უკეთესად თამაშობენ ფეხბურთს, ვიდრე ინგლისელები“.

„ჩვენ შუა მოედანი უნდა წავართვათ ჰოლანდიელებს და საქმეც გაგვიიოლდება“, — ფიქრობს დიეგო სიმეონე.

სავარაუდოა, რომ 3-5-2-დან არგენტინელები 4-4-2-ად გარდაიქმნებიან. ამ სქემაში მარჯვენა მცველის პოზიციას დაუდგრომელი ხავიერ ძანეტი დაიჭერს. იმავე ფლანგზე გადმოინაცვლებს დიეგო სიმეონეც, რათა მან და ძანეტიმ წყვილად მოუჭრან გზა სწრაფ და მოხერხებულ მარკ ოვერმარსს“.

„ოვერმარსი კარგი მოთამაშეა, მაგრამ ის ოუენი არ არის“, — აცხადებს სიმეონე — „ის, რაც ოუენმა მოგვიხერხა, მისგან მოსალოდნელი არ არის. არც მივცემთ მსგავსის საშუალებას“.

ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგს ამასწინანდელი სათადარიგო, „რივერ პლეიტის“ მოთამაშე სერხიო ბერტი დაიჭერს. ამ ფლანგზე მშვენივრად მოღვაწე კლაუდიო ლოპესი ძირითადში არ იქნება. ეულად შთენილ მეგოლეს, გაბრიელ ბატისტუტას კი საუცხოოდ მოთამაშე არიელ ორტეგა გაუმაგრებს ზურგს.

ჰოლანდიელი რონალდ დე ბურის აზრით, ეს სწორედ ის განლაგებაა, გუს ჰიდინკის გუნდს რომ აძლევს ხელს.

„არგენტინა ძალიან ტექნიკური გუნდია. ისინი შემტევ სტილს მისდევენ, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ დაცვით თამაშს აირჩევენ, ისევე როგორც ეს იუგოსლაველებმა გააკეთეს. ეს კი საჩვენო თამაშია, ასეთ დროს ორი გოლი მაინც გაგვაქვს ხოლმე“, — მიაჩნია რონალდს.

ტრავმების მხრივ კი ახალი არაფერია.

პასარელა იმედოვნებს, რომ ბოლოს და ბოლოს, გამოიყვანს მრავალნაცად პარმელს, ნესტორ სენსინის და მას დაცვის შუაგულს გაამაგრებინებს. მეთორმეტე დღეა, რაც სენსინი დაშავდა იამაიკელებთან შეხვედრაში და გუშინ კიდევ არ იყო მთლიანად საღი.

ჰოლანდიელებს კი არ ეყოლებათ თავიანთი მარჯვენა მცველი მიხაელ რაიციგერი, რომელსაც უხერხულად გადაუბრუნდა ფეხი იუგოსლაველებთან შეხვედრაში. ჰიდინკი მის ადგილს აარონ ვინტერს ანდობს.

ჰიდინკი მსაჯობის გამოც მსჯელობს, მიაჩნია, რომ ახალი წესების გამო ბევრი ფეხბურთელი პროვოკაციას ახდენს და მსაჯს მეტოქეს ასჯევინებს. ასეთად დაულანდავს ჰიდინკს სიმეონე-ბექემის ინციდენტი, რომლის გამოც ინგლისელი გააძევეს. ასეთად მიაჩნია მწვრთნელს სინიშა მიხაილოვიჩ-დენის ბერხკამპის ორთაბრძოლის ეპიზოდიც, რის გამოც ჰოლანდიელს დისკვალიფიკაციაც კი ემუქრებოდა, ახლა კი დღევანდელი თამაშისთვის ემზადება.

„მეშინია ამის გამო მსაჯები არ გადამეკიდონ და კირკიტი არ დამიწყონ“, — ამბობს ბერხკამპი.

რაც შეეხება წარსულს, 1978 წლის ამბებს და სხვა ასეთს, ჰიდინკი გამორჩეულად არ ფიქრობს ამის შესახებ.

„ჩვენი ერთადერთი საზრუნავი დღევანდელი არგენტინის დამარცხებაა“, — ამბობს ის — „ეს კი ნიშნავს, რომ ძალიან კარგად და სწორად ითამაშო. არგენტინა ფავორიტია, მაგრამ ერთადერთი რეალურად საშიში კაცი ბატისტუტა ჰყავს. ეს ფეხბურთელი გოლებით ლაპარაკობს“.

ასე რომ, „რივერ პლეიტი“ და გელზენკირხენის „პარკშტადიონი“ ყველაფრის მიუხედავად, წარსულად რჩება.

ახლა მთავარი მარსელის „ველოდრომია“, სადაც, ერთმანეთს შეჭამენ ხუან ვერონი და ედგარ დავიდსი, დენის ბერხკამპი და არიელ ორტეგა, არგენტინა და ჰოლანდია. გამარჯვებული კი ფინალისკენ გააგრძელებს სვლას.

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

არგენტინა: როა, ძანეტი, აიალა, სენსინი, შამოტი, სიმეონე, ალმეიდა, ვერონი, ბერტი, ორტეგა, ბატისტუტა

ჰოლანდია: ვან დერ სარი, ვინტერი, სტამი, ფ. დე ბური, ნუმანი, რ. დე ბური, ზეედორფი, დავიდსი, ოვერმარსი, ბერხკამპი

**ირაკლი გამყრელიძე**

### არგენტინა — ჰოლანდია მსოფლიოს ჩემპიონატებზე

**არგენტინა 0:4 ჰოლანდია**

26.06.1974. გელზერკირხენი. „პარკშტადიონი“. 55400 მაყურებელი. II ეტაპი

არგენტინა: კარნევალი, ვოლფი (გლარია 46), პერფიუმი, ერედია, სა, ტელჩი, ბალბუენა, სკეო, აიალა, იასალდე, ჰაუსმანი (კემპესი 63)

ჰოლანდია: იონგბლადი, სურბიერი (იზრაელი 84), ჰაანი, რიისბერგენი, კროლი, იანსენი, ნეესკენსი, ვან ჰანეგემი, რეპი, კრუიფი, რენსენბრინკი

0:1 კრუიფი (10), 0:2 კროლი (25), 0:3 რეპი (73), 0:4 კრუიფი (90)

მსაჯი: რობერტ დევიდსონი (შოტლანდია)

**არგენტინა 3:1 ჰოლანდია**

25.06.1978. ბუენოს აირესი. „რივერ პლეიტი“. 80000 მაყურებელი. ფინალი

არგენტინა: ფილოლი, ოლგუინი, ლ. გალვანი, პასარელა, ტარანტინი, გალიეგო, არდილესი (ლაროსა 65), ორტისი (ჰაუსმანი 74), ბერტონი, ლუკე, კემპესი

ჰოლანდია: იონგბლადი, პოორტვლიე, კროლი, ბრანდტსი, ვ. ვან დერ კერკჰოფი, რ. ვან დერ კერკჰოფი, იანსენი (სუურბიერი 72), ჰაანი, ნეესკენსი, რენსენბრინკი, რეპი (ნანინგა 59)

1:0 კემპესი (38), 1:1 ნანინგა (81), 2:1 კემპესი (105), 3:1 ბერტონი (114)

მსაჯი: სერჯიო გონელა (იტალია)

### არგენტინა — ჰოლანდია საერთაშორისო შეხვედრები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | 26.05.74 | ამსტერდამი | (ა) | 1:4 | ვოლფი; ნეესკენსი, რენსენბრინკი, სტრიკი, ჰაანი |
| 2. | 26.06.74 | გელზენკირხენი | (მჩ) | 0:4 | კრუიფი 2, კროლი, რეპი |
| 3. | 25.06.78 | ბუენოს აირესი | (მჩ) | 3:1 | კემპესი 2, ბერტონი; ნანინგა |
| 4. | 22.05.79 | ბერნი | (ა) | 0:0 | |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური მატჩი; (მჩ) — მსოფლიოს ჩემპიონატი

# რა საზიზღარია გერმანია და ანდი მიოლერი

**მატჩი №60. გერმანია — ხორვატია. ლიონი. 23[00]**

რაც ხორვატია იუგოსლავიას გამოეყო, დიდ შეჯიბრებათა მეოთხედფინალში გერმანიას ხვდება. ასე იყო ორი წლის წინ ევროპის პირველობაზე და ასეა ახლაც მსოფლიოს ჩემპიონატზე.

ორი წლის წინ გერმანელები და ხორვატები 23 ივნისს მანჩესტერში შეხვდნენ ერთმანეთს. მსაჯი შველი სუნდელი იყო. მაშინ, მე-20 წუთზე კლინსმანის გატანილ თერთმეტმეტრიანს, მეორე ტაიმის მე-5 წუთზე დავორ შუკერმა გასცა პასუხი, მაგრამ 8 წუთის შემდეგ მათიას ზამერმა გერმანელთა მეორე და შეხვედრის ბოლო გოლი გაიტანა.

ვისაც შედარება სურს. მაშინ გერმანიამ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: კიოპკე, როიტერი, ჰელმერი, ზამერი, ბაბელი, მიოლერი, შოლი, ციგე, აილტსი, ბობიჩი, კლინსმანი. ხორვატიის გუნდი: ლადიჩი, იურცევიჩი, სტიმაჩი, იერკანი, ბილიჩი, იარნი, ასანოვიჩი, ბობანი, სტანიჩი, შუკერი, ვლაოვიჩი.

მაშინაც ხორვატთა ნაკრებს მიროსლავ ბლაჟევიჩი თავკაცობდა. ბლაჟევიჩს ერთი თავისებური ზნე სჭირს, გერმანელებს ემუქრება ხოლმე. ევროპის პირველობის წინ ლამის ნატრულობდა, ნეტავი ერთი გერმანია შემხვდესო, ახლაც არაა ხორვატთა თავკაცი მეტოქის ავტორიტეტით დაშინებული.

„გერმანელები სულ ერთსა და იმავე ფეხბურთს თამაშობენ. ევრო 96-ზე მათი გამოსვლის მსგავსი საძაგლობა ცხოვრებაში არ მინახავს. სამაგიეროდ ჩვენ ორი წლის გამოცდილება მოგვემატა და შემიძლია ვთქვა, რომ ძალიან კარგი გუნდი გვყავს, თუმცა მეტოქე ფიზიკურად შესანიშნავად არის მომზადებული. მისი დამარცხება უძნელესი საქმეა“ — ეს სიტყვები ბლაჟევიჩისა რომ ყოფილიყო, გასაკვირი არაფერი იქნებოდა, მაგრამ ამჯერად იგორ სტიმაჩის ნათქვამი გაგაცანით.

იგორ სტიმაჩი, როგორც მოგახსენეთ, მონაწილეობდა ორი წლის წინ მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდზე“ გამართულ შეხვედრაში. მაშინ იგი მოედნიდან გააძევეს.

მაგრამ ნუ იფიქრებთ, რომ ხორვატები შურისძიების ჟინით არიან შეპყრობილი. თავად ამბობენ, გერმანული პრესა ცრუობს ამას რომ გვაბრალებსო.

„გამალიზიანა მათი გაზეთების ტონმა“ — თქვა ბლაჟევიჩმა პრესკონფერენციაზე — „ჩემი გუნდის შესახებ რაღაც სისულელეები დაწერეს. ეს სპორტული შეჯიბრებაა, რომელსაც შურისძიებასთან კავშირი არ აქვს. მაგალითად, მე პატივს ვცემ მოწინააღმდეგეს, თუმცა ვიცი, რომ მისი დამარცხება შეგვიძლია“.

სხვა ხორვატებმაც დაახლოებით იმავე სულისკვეთებით ისაუბრეს. მათ განაცხადეს, რომ დღეს ლიონის სტადიონზე გერმანიის ნაკრების დასამარცხებლად ანუ ოქროს თასისკენ სავალი გზის გასაგრძელებლად გავლენ.

დიახ, ორი წლით გავიზარდეთო, თქვა სტიმაჩმა. მას რომ ეთქვა, რვა წლით უფროსნი ვართ, ვიდრე ამ შემადგენლობით პირველად შეკრების დღეს ვიყავითო, ესეც მართალი იქნებოდა, მაგრამ, უბრალოდ, გერმანიასთან წინა თამაშიდან გადაითვალა ორი წელიწადი.

მეოთხედფინალის წინ, მერვედფინალში ხორვატიის გუნდმა რუმინეთს მოუგო 1:0. გოლი თერთმეტმეტრიანი დარტყმით დავორ შუკერმა გაიტანა. ამ მატჩის წინ ბლაჟევიჩი ამბობდა, ოღონდ რუმინეთს გავცდეთ და მერე მსოფლიოს ჩემპიონობისთვისაც შეგვეძლება ბრძოლაო და აჰა, ხორვატიამ რუმინეთი გამოთიშა გათამაშებიდან. ზაგრებში ხალხმა საოცარი დღესასწაული მოაწყო. ეროვნული დროშებით ხელდამშვენებული, სახეშეღებილი 2 ათასამდე ახალგაზრდა ქალაქის ცენტრში ერთხმად ითვლიდა ტრიუმფალური მერვედფინალის ბოლო წამებს.

„სამი...ორი...ერთი...ნული!“ — სიხარული საყოველთაო ექსტაზში გადაიზარდა.

ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციასა და ქვეყნის სხვადასხვა ქალაქთა ხელისუფლებებს ცენტრალურ მოედნებზე, ყველგან დიდი ტელევიზორი ჰქონდათ დამონტაჟებული.

„დიახ, გულწრფელად მწამს, რომ შეგვწევს მსოფლიოს ჩემპიონობის უნარი“ — კიდევ უფრო ააგიზგიზა ცეცხლი ბლაჟევიჩმა — „გერმანელები ჩვენი მეგობრები არიან, ამქვეყნად კი მეგობრების დამარცხებაზე სასიამოვნო არაფერია“. მაშინ, ევროპის პირველობაზე ჩვენი წაგება უსამართლობა იყო. ძალიან კარგად ვიცი გერმანელეთა წამალი“.

ამასობაში, გერმანელთა ბანაკში...

ოლაფ ტონმა მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყო როგორც ქვეყნის პირველმა ლიბერომ, მაგრამ მალე „ბებერი“ ლოთარ მათეუსისთვის ადგილის დათმობა მოუხდა.

„ძალიან უგუნებოდ ვარ. ბერტი ფოგტსს ვუთხარი, ყველა ღონეს ვიხმარ, რათა ისევ გუნდში მოვხვდე, თუნდაც სხვა პოზიციაზე-მეთქი. ვიცი, რომ მან ლიბეროდ მათეუსი მამჯობინა და თან გამორიცხულია, ამიერიდან გადათქვას. ამიტომ, ყველა ღონეს ვხმარობ, რათა ნახევარდაცვაში გამოვძებნო ჩემთვის ადგილი“ — თქვა ტონმა.

შეგახსენებთ, ფოგტსმა რომელიც დღეს ნაკრების მწვრთნელის რანგში მე-100 თამაშს ატარებს 37 წლის მათეუსი მაშინ ჩართო საქმეში, რაც ჯგუფური ტურნირის მეორე შეხვედრაში იუგოსლავიასთან 0:2-ს აგებდა. მათეუსის მოედანზე გასვლის მერე გერმანელებმა ორი გოლის გატანა და გათანაბრება შეძლეს. იმ შეხვედრაში მათეუსმა ნახევარმცველის როლი ითამაშა, შემდეგ კი საბოლოოდ დაიმკვიდრა მწმენდელის ადგილი.

„პირველ სამ შეხვედრაში მათამაშეს, მაგრამ ვგონებ, საშუალოზე მეტი ვერაფერი მოვახერხე. როგორც ჩანს, პლეიოფებისთვის ეს საკმარისი არ არის“ — დაიჩივლა ტონმა.

გერმანულ ფეხბურთში ლიბეროს ფუნქცია ერთ-ერთი ყველაზე პერსტიჟულია. ამას საფუძველი 60-70-იან წლებში დიდმა ფრანც ბეკენბაუერმა ჩაუყარა. გნებავთ ბოლო წლებში, ამ საქმეს საუცხოოდ ასრულებდა 1996 წლის ევროპის საუკეთესო ფეხბურთელი მათიას ზამერი, რომელმაც ნაკრების ევროპული ტრიუმფის საქმეში იმ წელიწადს დიდი როლი ითამაშა, მაგრამ შარშან მძიმედ დაშავდა, საფრანგეთს გამგზავრება ვერ შეძლო. ამიტომაც, ბოლოწამს ფოგტსმა განაცხადში მათეუსი შეიყვანა.

მაშ ასე, მათეუსმა შემადგენლობიდან ტონი ამოაგდო. ო, რა ამბავი ატყდებოდა ბევრ სხვა გუნდში, ასეთი რამ რომ მომხდარიყო! აქ კი...

„ამწუთას ყველაზე მეტად სიმშვიდე გვჭირდება“ — ამბობს ტონი — „ლოთარ მათეუსმა თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. სხვათა შორის, როდესაც მას ნაკრებში არ იწვევდნენ, მაშინაც ვაჟკაცურად იქცეოდა“.

დღეს მათეუსი მსოფლიოს პირველობათა ფინალურ ეტაპებზე, თავის 25-ე შეხვედრას ითამაშებს (ეს ოთხით მეტია მსოფლიო ფეხბურთის უწინდელ რეკორდთან შედარებით). სულ, ნაკრების შემადგენლობაში კი 129-ე მატჩით იგი საკუთარ გერმანულ რეკორდსაც წინ გასწევს.

გერმანელთა რიგებში არის კიდევ ერთი თვალსაჩინო ფიგურა, იმედის ფეხბურთელი გერმანელთა რიგებში არის კიდევ ერთი თვალსაჩინო ფიგურა იმედის ფეხბურთელი — ოლივერ ბირჰოფი. იგი ის კაცია, რომელმაც ევრო 96-ზე, ფინალში, ჩეხეთის ნაკრებს ოქროს გოლი გაუტანა. ბირჰოფი ის მოთამაშეა, რომელსაც ბევრი გადამწყვეტი გოლი აქვს გატანილი. ესაა ფეხბურთელი, რომლის თავურიც ტყვიასავით საშიშია.

ჩემს ერთ-ერთ სპონსორს ძალიან უყვარს, როდესაც მე თავური გოლები გამაქვს — ხუმრობს „მილანში“ გადასული „უდინეზეს“ ყოფილი მოთამაშე, რომელმაც იტალიის ბოლო ჩემპიონატში 27 გოლი გაიტანა და 25 გოლის ავტორ რონალდოს გაასწრო — „მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ ჩემთვის დღეს მთავარია ბურთმა მოწინააღმდეგის კარის ხაზი გადაკვეთოს. ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ნაკრების ძირთადში მუდმივი ადგილი მივილე. ისე აღარ ვარ, ორი წლის წინ ევროპის ჩემპიონატზე რომ ვიყავი, ერთ-ერთი სათადარიგოთაგანი. ბევრ კრიტიკოსს შევაცვლევინე აზრი. დღეს საკუთარ თავში დარწმუნებული ფეხბურთელი გახლავართ. მოედანზე რომ გავდივარ, აღარ ვნერვიულობ. ხორვატებთანაც მშვიდად გავაკეთებ ჩემს საქმეს. რაც შეეხება დაუსრულებელ საუბარს ჩვენი ასაკის შესახებ, მინდა ყველას მოვაგონო მერვედფინალური მატჩი ახალგაზრდა მექსიკელების წინააღმდეგ. საფინალო სასტვენისკენ წასულთ, მექსიკელებს სირბილის არაქათი აღარ ჰქონდათ, ჩვენ კი მყარად ვიდექით ფეხებზე“.

ორი წლის წინ, გერმანია — ხორვატიის ევროპულ მეოთხედფინალს ბირჰოფმა სათადარიგოთა სკამიდან ადევნა თვალი.

„ხორვატია იოლი მეტოქე არ გახლავთ. გუნდს ტექნიკური ფეხბურთელები ჰყავს და ვიცი, რომ ისინი ევროპის საუკეთესო კლუბებში გამოდიან. გარდა ამისა, ხორვატები ამაყი ხალხია, ეროვნული ღირსების გრძნობა აქვთ. მწამს, მოედანზე თავს დადებენ“.

ანდი მიოლერი, აი კიდევ ერთი დიდი გერმანული სახელი, რომელიც ბოლო შეხვედრის გამო საოცარი კრიტიკის ობიექტი გახდა. უცნაური ბედი აქვს თანამედროვე ფეხბურთის ერთ-ერთ საუკეთესო ნახევარმცველად მიჩნეულ ამ ადამიანს, იგი მსოფლიოს ჩემპიონატებზე ვერ ბრწყინავს, არადა, უკვე 30 წლისაა.

1994 წელს მიოლერმა ყველას გაუცრუა იმედი. ჩემპიონატამდე მასზე ძალიან ბევრს საუბრობდნენ. ბევრს ელოდნენ, ჩემპიონატის დამთავრებამ კი ჩაქნეულ ხელთა ტყე გამოაჩინა.

ახლა?

„ჩემი მეუღლე მექსიკელებთან თამაშის დროს სათადარიგოთა სკამიდან სულ ხუთ-ექვს მეტრში იჯდა. მეორე ნახევარში, მოედანზე რომ შევყავდით, ის ბედნიერი იყო, მაგრამ როგორც კი ყური მოკრა, რა სიტყვებით მიხსნიდა მწვრთნელი დავალებას და როგორი ინტონაციით წარმოსთქვამდა ჩემს გვარს მერე მთელი თამაშის განმავლობაში განაწყენდა. მან თამაშის შემდეგ ჯიბის ტელეფონზე დამირეკა და მითხრა: მისმინე საყვარელო, წამოდი სახლში წავიდეთ, ეგეთ მდგომარეობაში მაგ ხალხთან ვერ დაგტოვებ. მე ხუმრობა ვცადე: კარგი იქნებოდა, სახლში წასვლა ამაზე ცუდ დღეში ველარ ჩავვარდები. ყველა მე მაგინებს“ — მოყვა მიოლერმა.

ის ხუმრობა შეგვირცხვენია, სიმართლე რომ არ ერიოს. მერე მიოლერი გამოტყდა, რომ მართლა ფიქრობდა გუნდის მიტოვებას. ალბათ, დღესაც არ ათამაშებენ.

„ველარ ვუძლებ კრიტიკას. ერთმა ჟურნალისტმა ისიც კი დაწერა, რომ მე გერმანულ ფეხბურთს ვარცხვენ. მაკრიტიკონ ბატონო, მაგრამ სამართლიანობის გრძნობას მთლად ნუ დაკარგავენ. ფოგტსს 18 წლიდან ვიცნობ. მისგან ამას არ ველოდი. ისევ ბიჭებმა გამამხნევეს. ზოგი მათგანი ჩემთან მოვიდა და კეთილი სიტყვები მითხრა. 1994-შიც ჩამივარდა მსოფლიოს ჩემპიონატი, მაგრამ შემდეგ წელიწადს დორტმუნდში დიდებული სეზონი გავატარე. მჯერა ახლაც ასე იქნება“ — ხელები გაშალა ნიჭიერმა გამთამაშებელმა.

თუმცა ამ საღამოს ყველაფერი დავიწყებას მიეცემა. საათნახევრით მაინც. დღეს ლიონში მეოთხედფინალია, მსოფლიოს პირველობის მეოთხედფინალი და მასზე დასასწრებად თვისი გერმანიის კანცლერი ჰელმუტ კოლი და ხორვატიის პრეზიდენტი ფრანიო ტუჯმანი აყრილან გზად.

როგორც გერმანელთა ეროვნული გუნდის პრესატაშემ ვოლფგანგ ნირშბახმა განაცხადა, კოლის დასწრება ფეხბურთელებს კარგად აქვთ დაცდილი.

„1986 წლის ფინალის შემდეგ თუკი რომელიმე შეხვედრაში გავიმარჯვეთ, კოლი ყველას ესწრებოდა“ — თქვა პრესატაშემ.

კანცლერს კი რა ენაღვლება, ერთი მხრივ ფეხბურთი უყვარს, მეორე მხრივ სექტემბერში არჩევნები კარს აქვს მომდგარი და ლიონში ჩასვლით იქნებ ამომრჩეველთა გული მოიგოს კიდეც.

ტუჯმანიც დიდი გულშემატკივარია.შინ, ხორვატიაში „კროაციას“ თამაშებზე დადის ხოლმე. აი, ნაკრებისთვის კარგი ფეხი აქვს თუ არა, გამოჩნდება. ნეტავი მასაც თუ სჯერა, რომ ხორვატიას მსოფლიოს ჩემპიონობა შეუძლია?

### გუნდების სავარაუდო შემადგენლობები

**გერმანია:** კიოპკე, ჰაინრიხი, კოლერი, ჰელმერი, ტარნატი, ჰამანი, მათეუსი, ჰესლერი, ბაბელი, ბირჰოფი, კლინსმანი
**ხორვატია:** ლადიჩი, სტანიჩი, სიმიჩი, სტიმაჩი, ბილიჩი, იურჩიჩი, ასანოვიჩი, იარნი, ბობანი, ვლაოვიჩი, შუკერი.

**ბაპუნა ძიდია**



სარბიელის არქივიდან

იყო დრო, ანდი მიოლერს უხაროდა



სარბიელის არქივიდან

ევრო 96-ზე შუკერმა კლინსმანის გოლი კი გაქვითა, მაგრამ გერმანელთაგან მერე მიოლერმა გაიტანა



სარბიელის არქივიდან

მიროსლავ ბლაჟევიჩს გერმანელების დამარცხება ჩირადაც არ უღირს

**გერმანია — ხორვატია საერთაშორისო შეხვედრები**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | 15.06.41 | ვენა | (ა) | 5:1 | ფ. ვალტერი 2, ლენერი 2, ვილიმოვსკი; ვოლფი |
| 2. | 18.01.42 | ზაგრები | (ა) | 2:0 | დეკერი, საკ.კარში |
| 3. | 01.11.42 | შტუტგარტი | (ა) | 5:1 | ვილიმოვსკი 2, ფ. ვალტერი, კლინგერი, იანსენი; ვოლფი |
| 4. | 23.06.96 | მანჩესტერი | (ეჩ) | 2:1 | კლინსმანი, ზამერი; შუკერი |

შემოკლებანი: (ა) — ამხანაგური მატჩი; (ეჩ) — ევროპის ჩემპიონატი

FRANCE 98

## ჩემპიონატის დღიური

**2 ივლისი**

ლაშა გოდუაძე

# ვარსკვლავები ვარსკვლავებზე

### ოსკარი

ყოველწლიურად ამერიკის კინოაკადემია გამორჩეულ ფილმებს, მსახიობებს და სხვათა და სხვათა „ოსკარით" აჯილდოვებს, პრიზით, რომელიც მხოლოდ რჩეულთათვისაა განკუთვნილი, „ოსკარის" გადაცემის ცერემონიალზე უკლებლივ ყველა თუ არა, ცნობილი მსახიობების, რეჟისორების, მთლიანობაში ვარსკვლავების უმრავლესობა იყრის თავს. ერთი სიტყვით, სანახაობა ძალიან კარგია, მთელს მსოფლიოს იზიდავს და ერთადერთი ნაკლი, რაც მას აქვს, ისაა, რომ მხოლოდ რამდენიმე საათს გრძელდება, მერე კი ვარსკვლავები იშლებიან და ხალხსაც ერთი წლით უწევს ცდა.



ჟორჟ ვეა — ოჯახის უპირველესი დამცველი

სარბიელის არქივიდან

საფრანგეთში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატი გარკვეულწილად „ოსკარის" ცერემონიალს ჰგავს, ოღონდ ორ რამეშია განსხვავება. პირველი ის, რომ ჩემპიონატი თითქმის თვეზე მეტი გრძელდება, მეორეც ოთხ წელიწადში ერთხელ იმართება. ამას თავისი ობიექტური მიზეზები აქვს, მაგრამ, მათზე საუბარს აქ აღარ გავაგრძელებთ.

ისევე როგორც „ოსკარების" გადაცემის ცერემონიალზე, მსოფლიოს ჩემპიონატზეც თავს იყრიან ფეხბურთის ვარსკვლავები, თუმცა ცხადია ყველა არა. ახლაც, მსოფლიოს მე-16 ჩემპიონატზეც, ასე მოხდა — კი, არიან ის ფეხბურთელები, რომელთა ნახვაც გულს ახარებს, მაგრამ არ არიან ისინიც, რომელთა ყოფნითაც ტურნირს რამე კი არ დააკლდებოდა, პირიქით, მოემატებოდა კიდეც.

მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე უდავოდ გამორჩეული ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მონაწილეობს, მათ საფრანგეთს მაინც მიაშურეს, პირველ ყოვლისა, დასასვენებლად, ამავდროულად იმ ტურნირზე დასასწრებად, რომელშიც მონაწილეობაც მათ გულით ეწადათ.

### რა გითხრათ, რით გაგახაროთ?

ივლისის პირველ და მეორე დღეს ფეხბურთელებმა შეისვენეს, პირველად მოხდა, თამაში რომ არ გამართულა, თუმცა, მიუხედავად ამისა, საუბარი და ბჭობა ფეხბურთზე მაინც არ შეწყვეტილა. ამაში გასაკვირი არაფერია — მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს, უდიდესი საფეხბურთო ტურნირი, აქედან გამომდინარე, სალაპარაკოს რა დალევს. ასეთი ტურნირებისგან „დასასვენებლად" ქომაგები და სპეციალისტები არ წყვეტენ ფეხბურთით ტკბობას". ამჯერადაც ასეა. ყველა საყვარელ თემას უტრიალებს, მასზე მსჯელობს.

ზემოთ ის ვარსკვლავი ფეხბურთელები ვახსენეთ, მსოფლიოს ჩემპიონატზე რომ არ მონაწილეობენ. ეს ხალხი ჟურნალისტთა შორის ყველაზე პოპულარულნი არიან — დღე არ ჩაივლის ისე, ზოგიერთები ტელერეპორტაჟს არ გაუძღვნენ, ზოგიც ამა თუ იმ შეხვედრაზე გამოთქვამს თავის მოკრძალებულ, მაგრამ მაინც აზრს და ასე გრძელდება მთელი ტურნირის განმავლობაში. ისე, მათი უმეტესობა, თუ ცხადია თამაშის მიმოხილვა ან მსგავსი სერიოზული რამ არ ევალება, დროს ხუმრობა-ლაზღანდარობაში ატარებს, ერთობა.

2 ივლისს საფრანგეთის ერთ-ერთმა უდიდესმა ტელეკომპანია „კანალ +"-მა ფეხბურთის თემაზე გაკეთებულ გასართობ გადაცემამდე რესპონდენტებთან ერთად ჰოლანდიელი რუუდ გულიტიც მიიწვია, კაცი, რომელმაც ერთხელ ითამაშა მსოფლიოს ჩემპიონატზე და ისიც საკმაოდ სუსტად. გულიტი საკმაოდ ჭკუამხიარული კაცი გამოდგა. ამაში გადაცემის წამყვანი და მისი საუბარიც დაგარწმუნებთ:

— რუუდ, თქვენზე ამბობენ, მსოფლიოს ჩემპიონატში მონაწილეობა არ უნდოდაო. მართალია?

— (იცინის) დიახ. ეს ასე იყო. უბრალოდ, მე რომ ჰოლანდიელთა გუნდში ვყოფილიყავი, უკლებლივ ყველა თანაგუნდელს დავჩრდილავდი ჩემი პროფესიონალიზმით და კლასით. ეგ კი არა, უდავოდ ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელიც გავხდებოდი. არ მინდოდა მარადონას მსგავსი რამ ჩამედინა. 86-ში მან ყველა დაჩრდილა, მე კი სხვა ფეხბურთელები შემეცოდა და ნაკრებში თამაშზეც უარი იმიტომ ვთქვი. დიახ, ის, რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩემი სურვილით არ წავედი, სრული სიმართლეა.



კიდევ კარგი, გულიტი მსოფლიოს ჩემპიონატში არ მონაწილეობს, თორემ პირველობას აზრი დაეკარგებოდა

სარბიელის არქივიდან

— ამბობენ, გუს ჰიდინკი ძალიან გაწყრა, მიწვევაზე უარი რომ განუცხადე...

— 9 ივნისს (მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე ერთი დღით ადრე გუსი ლონდონში შემეხმიანა და დახმარება მთხოვა, მაგრამ მივუგე, საჭირო ნივთების თავმოყრას ერთ დღეში ვერ მოვახერხებ და ამიტომ ვერაფრით დაგეხმარები-მეთქი. თან ჩემი გულჩვილობის ამბავიც ხომ მოგეხსენებათ. ვიცოდი, ჩემი განუსაზღვრელი შესაძლებლობები და ამიტომაც ნაკრების მიღმა დარჩენა ვარჩიე.

— ერთი სიტყვით, ქვეყნის პირველ გუნდს ქოში უკუღმა უყარეთ.

— ცხადია. ისე, მშობლებმა დამირეკეს, არ შეიძლება უფროს კაცს თხოვნაზე უარი უთხრაო, მაგრამ მე მაინც წინააღმდეგი წავედი. ბავშვობაში ონავარი გახლდით და სიჯიუტე დაბრძენებისასაც გადმომყვა.

— თქვენ რომ მსოფლიოს ჩემპიონატზე გეთამაშათ, ჰოლანდია ბევრს მიაღწევდა?

— რას ამბობთ! რას ჰქვია რამეს მიაღწევდა? მინიმუმ მსოფლიოს ჩემპიონობა განაღდებული ექნებოდა, მაქსიმუმ კი...თუმცა მაქსიმუმი ჩემპიონობა არ არის? ერთი სიტყვით, ჰოლანდია, მე რომ ვთამაშობდე, პირველი იქნებოდა პირველთა შორის. ისე, ცალი ფეხით მოვიგებდით ამ ჩემპიონატს.

— თავად თქვენ რას იზამდით?

— განა რა უნდა მექნა? ხომ გითხარით მსოფლიოს ჩემპიონი გავხდებოდი-მეთქი. ა, თქვენ ის გაინტერესებთ, პირადად მე რას მივაღწევდი? აბა, რა გითხრათ, ოქროს ბურთები, თუ ოქროს ბუცები, საუკეთესო მოთამაშისთვის და ბომბარდირებისთვის რომაა დაწესებული, ჩემი იქნებოდა. ყველაფერს რომ მიაღწევ, მერე ცხოვრებას აზრი ეკარგება. არ მინდოდა, მე მსოფლიოს ჩემპიონატისთვის აზრი დამეკარგა. რაც არ უნდა იყოს ხალხი, და ფეხბურთელებიც ამ ტურნირს ოთხი წელი ელოდნენ, მე კი მივიდე და ერთი ხელის მოსმით მოვიგო ყველაფერი, ასე არ გამოვა, ასე არ ხდება.

კითხვა-პასუხი კიდევ დიდხანს გაგრძელდა, მაგრამ ინტერვიუზე აზრის შესაქმნელად, ვფიქრობ, ესეც საკმარისია. ხალხიც ფეხბურთით ერთობოდა, გულიტიც, რომლის წყალობითაც მსოფლიოს ჩემპიონატმა ხიბლი და სილამაზე შეინარჩუნა ხუმრობდა. ცხადია, როგორც შეეძლო.



ჯანფრანკო ძოლა — ჟურნალისტთა შორის ყველაზე პოპულარული ფეხბურთელი

სარბიელის არქივიდან

წინა დღით, ანუ 1 ივლისს, იმავე გადაცემაში მიიწვიეს გერმანელი შტეფან ეფენბერგი. ფეხბურთელი, რომელიც ბერტი ფოგთსისგან 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ჩადენილი ერთი სპორტული უსაქციელობის გამო ძალიან დაისაჯა. ალბათ ფიქრობთ, რომ ეფენბერგმაც გულიტის დარად იხუმრა და ხალხი სიცილით დახოცა. არამც და არამც. ამ კაცს იუმორის გრძნობა სულ არ ჰქონია. გადაცემის წამყვანი ეფენბერგს ისეთ კითხვებს უსვამდა, რომელზეც უბრალოდ ხუმრობითვე უნდა უპასუხო. შტეფანს კი ცოტა დააკლდა ფოგთსის საჯაროდ გაკრიტიკებამდე. ამის მერე რაღა გასაკვირია, რომ ის გადაცემა, წესით და რიგით საათს რომ უნდა გაგრძელებულიყო, 29 წუთით ადრე დაასრულეს, თან რეკლამებით გადაჭედეს.

ასეც ხდება. რა უნდა ქნა, დაუჩაგრავს გამჩენს.

### ვეები

ალბათ ბევრი ცნობილი პიროვნებისგან მოგისმენიათ უკვე „დატკეპნილი ფრაზა": „მიხარია, რომ მიცნობენ, მაგრამ რა ვქნა, ხშირად პოპულარობა მბეზრდება". გასაკვირი სულაც არაა. ხალხი გიცნობს, ბევრს გაცნობა სწადია, სურათის გადაღება, ავტოგრაფები და ასე შემდეგ. დგება დრო და ასეთი სიტუაცია მართლაც გბეზრდება. თუ ამას ჟურნალიტებს დავუმატებთ, მაშინ მდგომარეობა საერთოდაც აუტანელი იქნება. ერთი სიტყვით, საქვეყნოდ ცნობილნი განმარტებას ცდილობენ, წყნარი ცხოვრება ურჩევნიათ ყოველდღიური ინტერვიუებსა თუ ტელეკამერების წინ მანჭვა-გრეხვას. ხშირად ჟურნალისტებისგან თავის დაღწევას ძალის საშუალებით ახერხებენ. მოკლედ, ყველანაირად ცდილობენ, მოწყდნენ გარესამყაროს.

ლიბერიელ ჟორჟ ვეა ორიოდ დღის წინ დაახლოებით აღწერილ სიტუაციაში აღმოჩნდა. მარსელში, ზღვისპირა ქალაქში, მსოფლიოს და ევროპის 1995 წლის საუკეთესო ფეხბურთელი ოჯახით ჩასულიყო დასასვენებლად. საფრანგეთს სტუმრობა, ცხადია, მარტო დასვენებით არაა განპირობებული, იქ ხომ მსოფლიოს ჩემპიონატი მიმდინარეობს. ერთი სიტყვით, ხმელთაშუაზღვის სანაპიროზე, სილაში წამოკოტრიალებული ვეები შეამჩნიეს თუ არა ჟურნალისტებმა, ფოტოაპარატებითა და ინტერვიუსთვის საჭირო ყველანაირი ულტრათანამედროვე აპარატურით შეიარაღებულები, დასვენებისთვის განწყობილთ თავს დაესხნენ. წარმოგიდგენიათ? კაცი მზეს ეფიცხება, ბუნების სილამაზით ტკბება, ამ დროს კი სად იყო და სად არა, ათამდე ადამიანი ჩნდება და მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე აზრს ეკითხება. რა მოუვიდოდა ვეას იმ წუთებში? ძნელი წარმოსადგენი არაა — ლიბერიელი დაიბნა, თუმცა იმის თქმა კი მოახერხა, ძალიან საინტერესო ტურნირიაო.

ჟურნალისტები ფეხბურთელს არ მოეშვნენ — ახლა მეოთხედფინალისტებზე სთხოვეს აზრის გამოთქმა. ამის გამგონე ვეას კი ნერვებმა უმტყუნა და მავან ფოტოკორესპონდენტს აპარატი წაჰგლიჯა და სილაში მოისროლა. განერვიულებულ ვეას მეტი სიავე არ ჩაუდენია, ეგ იყო მხოლოდ, ბავშვების უდიდესი წინააღმდეგობის მიუხედავად, ოჯახი შინ წაასხა. ჟურნალისტები კი, ისინი, განსაკუთრებით ფოტოკორესპონდენტები, თავიანთ საქმეს განაგრძობდნენ.

თითქმის იგივე დაემართა შვედ ტომას ბროლინს, რომლის ვარსკვლავიც აგერ უკვე მეოთხე წელია უიმედოდ ჩაქრა. ბროლინი მეგობარ გოგონასთან ერთად სენტ-ეტიენის ქუჩებში დაეხეტებოდა, როცა მავანმა ფოტორეპორტიორმა იცნო. ცხადია, ჟურნალისტმაც შანსი ხელიდან არ გაუშვა, უამრავი ფოტო გადაიღო, მაგრამ მისკენ წამოსულ ბროლინს რომ ჰკიდა თვალი, უკანმოუხედავად მოკურცხლა. საინტერესოა, რატომ?

ასეა ხდება. ზოგს თავი ბედის რჩეულად მიაჩნია.

### სიამოვნებით, სიამოვნებით...

ვარსკვლავები, არა აქვს მნიშვნელობა, რომელი სფეროსი, ჭირვეული ხალხია, ერთი სიტყვა რომ დააცდევინო, ამისთვის ხალხი უნდა შეაწუხო, ჯერ მათ პრეს-ატაშესთან ან ნდობით აღჭურვილ პირებთან უნდა გაჩარხო საქმე, ან თანხა უნდა გადაუხადო. ერთი სიტყვით, გაწამდებით. მაგრამ მათ შორისაც არიან თავმდაბალნი, სულ მცირე ინტერვიუს რომ არ დაგზარდებიან.

ჯანფრანკო ძოლა ჩეზარე მალდინიმთან არ იახლა. თამაში და მიხვრა-მოხვრა დაუწუნა. ჩია იტალიელი, მსოფლიოს ჩემპიონატზე გაბრწყინების შანსი რომ მოესპო, საფრანგეთს მაინც გაემგზავრა, ოღონდ ტურისტის რანგში. შეუძლებელია, გულშემატკივარი იყო და ძოლას ვერ ცნობდე — ამის შემდეგ რაღა გასაკვირია, რომ იგი ჟურნალისტთა შორის ძალიან პოპულარულია. წარმოუდგენლად მოგეჩვენებათ, მაგრამ დღე ისე არ ჩაივლის, ჯანფრანკოსთან სულ მცირე, ერთი ინტერვიუ მაინც არ გამოქვეყნდეს.

ასეც ხდება. ვარსკვლავთა შორისაც არიან თავმდაბალნი.

# ყველაზე საშიში, ყველაზე საჭირო

**დასაწყისი პირველ გვერდზე**

და კიდევ ერთ გამოსვლაზე — საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა, რომ იტყვიან, იდროვა და პირდაპირ მიმართა ფიფას პრეზიდენტს — ოლიმპიური თამაშებიც და ფეხბურთიც ბევრს კარგავს იმით, რომ ოლიმპიადებში დიდი ფეხბურთი არაა ჩართული. გთხოვთ, ეს საკითხი დროზე მოაგვარეთ თქვენ და სამარანჩმაო.

ვაკვირდები ბლატერ-იუჰანსონ-პლატინის ურთიერთობას. ორი პრეზიდენტი ღიმილით ართმევს ხელთ ერთმანეთს, შეხვედრის ბოლოს უეფას პრეზიდენტი კიდევ ერთხელ მიდის ფიფას შეფთან, ხანმოკლე საუბარი და მომავალი შეხვედრის დროც დათქვეს. პლატინიმ თავისი ორი ხანმოკლე გამოსვლისას ყველას, ვინც საჭიროდ მიიჩნია, პერსონალურად მიმართა, იუჰანსონი არ უხსენებია.

შეხვედრის ოფიციალური ნაწილის დამთავრების შემდეგ დარბაზში სამი პატარა „კუნძული" გაჩნდა. ჟურნალისტთა ყველაზე დიდმა ჯგუფმა პლატინი მოიქცია რკალში, უფრო ნაკლებნი ბლატერთან მივიდნენ, რამდენიმე კაცი კი იუჰანსონს „დაეპატრონა".

ძალზე სასიამოვნო იყო მიშელ პლატინის ჟურნალისტებთან საუბრის მანერა — ღიმილიანი, თვალშისაცემი ჟესტიკულაციით, სხარტი და ტემპერამენტიანი. ოდნავ ჩასუქებულია, მაგრამ ძალზე ელეგანტურად გამოიყურება, შუბლს ზემოთ თმაც შეთხელებია. პასუხობდა სწრაფად, თან ავტოგრაფებსაც არიგებდა — ეს ხომ მისთვის ჩვეული პროცედურაა. აშკარად ჩანდა, რომ სიტყვების საძებნელად, რუსები რომ იტყვიან, ჯიბეში არ მიძვრებოდა. მოკლედ, სწრაფად და ენერგიულად იკეთებს კარიერას ლეგენდარული ფეხბურთელი და ნიჭიერი და ერუდირებული კაცი მიშელ პლატინი, ფიფას პრეზიდენტობის ყველაზე სერიოზული, სოლიდური და ანგარიშგასაწევი კანდიდატი. აქ მხოლოდ ერთი „მაგრამაა" — თუ პოლიტიკაში არ ჩაერთო. სიმპტომები კი, როგორც ამბობენ, არის.

რომ ვთქვა, დიდი აჟიოტაჟია-მეთქი მეოთხედფინალების წინ — არაფრის თქმა გამომივა. აბა, სხვანაირად როგორ იქნება. საფრანგეთ — იტალიის დღევანდელ მატჩზე ბილეთების ფასმა ათას ამერიკულ დოლარს გადააჭარბა. გუშინწინ, გვიან საღამოს, ოპერა-ავენიუს ბოლოში, ძვირადღირებულ ოტელ დუ ლუვრის შესასვლელთან, სადაც მხოლოდ, ოდესელებისა არ იყოს, ძააალიან მდიდრები ჩერდებიან, ახალგაზრდა ფრანგმა თავად შემომთავაზა 250-ფრანკიანი (ყველაზე იაფი) ბილეთი 5000 ფრანკად. „ჩვენ ყალბი ბილეთების გამოჩენის არ გვეშინია — ამ მხრივ გარანტირებულნი ვართ. გადამყიდველების საწინააღმდეგო ეფექტური წამალი კი მსოფლიოში ჯერ არ აღმოუჩენიათ და ჩვენ რა ვიღონოთ" — ამბობს ორგკომიტეტის წევრი სერჟ ბერგამელი.

ისე, ცნობილია, რომ კომპანია „არჯო უიგინსის" ექსპერტები ორი წელი მუშაობდნენ ჩემპიონატის ბილეთებზე. შედეგი — ეგრეთ წოდებული ბრწყინვალე კოქტეილი — დაცვის უნიკალური სისტემა.

დღემდე ყველაზე დიდი მოთხოვნილება ბრაზილიის მონაწილეობით გამართულ მატჩებზე იყო. შავ ბაზარზე ბილეთები ყველაზე ძვირი სწორედ მაშინ ღირდა. მაგრამ იყო გამონაკლისიც — თამაშების საზეიმო გახსნასა და იაპონელთა თამაშზე ამომავალი მზის ქვეყნიდან ჩამოსული ჯიბესქელი გულშემატკივრები ბილეთებში 12-15 ათას ფრანკსაც კი იხდიდნენ — ეს კი ორი ათას ამერიკულ დოლარზე მეტია.

სერიოზული პრობლემები შეექმნათ ჟურნალისტებს ბრაზილია — ჩილეს მატჩზე დასწრების საქმეში. ისე მოხდა, რომ განაცხადი წარადგინა 1600-ზე მეტმა ჟურნალისტმა, პრესლოჟაში კი მხოლოდ 533 ადგილი იყო, სამჯერ ნაკლები.

და საერთოდ, ბრაზილია აქ გაფეტიშებულია, ყველას ეს გუნდი აკერია პირზე, ყველა მათზე საუბრობს. ყველას უნდა, რომ ფინალში იხილოს და თითქმის ყველას — გამარჯვებული ნახოს. მოკლედ, იყო 31 გუნდი და იყო ბრაზილიის ნაკრები; ამჟამად არის ბრაზილიის ნაკრები და პლუს 7 გუნდი.

ჩილესთან მოგების შემდეგ ბრაზილიელმა ფანებმა ნამდვილი კარნავალი მოაწყვეს ლუვრის წინ ცეცხლოვანი ლამბადით, თან იმასაც დაგვპირდნენ, ფინალის მოგების შემდეგ მხოლოდ სამბას ვიცეკვებთო.

...ვერსალის კარიბჭესთან, გამოფენათა პარკში კი დუღს და გადმოდუღს ჟურნალისტური ცხოვრება. აქ განსაკუთრებულად იცავენ მთელ ტერიტორიასაც და შენობასაც, პოლიციელთა რამდენიმე მანქანის მუდმივი მორიგეობა, სპეცსამსახური, შენობაში შესვლამდე დაცვის რამდენიმე კორდონი, ბოლოს საგანგებო შემოწმება ელექტრონული სისტემით და თქვენ მთავარ პრესცენტრში ხართ, რომელსაც 9 ათასი კვადრატული მეტრი ფართობი უკავია. თუ მუშაობა გინდა და წერა არ გეზარება, დაჯექი და წერე. ისე, წერის რა მოგახსენოთ — ავტოკალმით თქვენი კორესპონდენტის გარდა კიდევ ერთი-ორი კაცი წერს — ყველანი პერსონალური კომპიუტერებითა და ელექტრონული ფოსტით აწვდიან მასალებს თავიანთ რედაქციებს.

თორმეტი ათასი ჟურნალისტია აკრედიტებული საფრანგეთში — სარეკორდო ოდენობაა. აბა, გამოვიანგარიშოთ — ყოველ ფეხბურთელზე 150 ჟურნალისტი მოდიოდა! როგორ გინდა ჟურნალისტთა ამ არმიისგან თავის დაღწევა! ან რა გამოეპარებათ და გამორჩებათ მათ. საფრანგეთში დღეს რამდენიმე ათასი ფეხბურთის ცოცხალი ენციკლოპედია, ჟურნალისტი-კომპიუტერი დადის. რადგანაც იმ ქვეყნების ჟურნალისტებს, რომელთა გუნდები არ მონაწილეობენ ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე, სერიოზული პრობლემები ექმნებათ მატჩებზე დასასწრები ბილეთების მიღების საქმეში, მრავალრიცხოვან ქართველ სპორტულ ჟურნალისტთა სახელით თხოვნით მივმართავ საქართველოს ნაკრების წევრებს — სხვა სიკეთესთან ერთად ჩვენი მადლიც მოისხით და გადით ჯერ ევროპის, შემდეგ კი მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში. მაშინ ნაღდად გვეშველება და ჩვენც ადამიანებად ვიგრძნობთ თავს.

მთავარ პრესცენტრში ოფისები გაუხსნიათ წამყვან სააგენტოებსა და კომპანიებს, ზოგიერთ ბობოლა გაზეთს. ეს ძალზე ძვირი სიამოვნებაა! ყველაზე დიდი ფართობი უკავიათ „როიტერსა" და „ეკიპს".

24 საათი მუშაობს მთავარი პრესცენტრი და, ფაქტობრივად, 24 საათი გრძელდება სპორტული ჟურნალისტის ქანცგამწყვეტი, ჯოჯოხეთური შრომა, ხშირად დაუნახავი და დაუფასებელი, მაგრამ აგრერიგად აუცილებელი და საჭირო ყველასთვის, ვინც სპორტს საერთოდ, კერძოდ კი ფეხბურთს ეტრფის.

...არ წყდება არგენტინა — ინგლისის ყბადაღებული მატჩის განსჯა. ბევრ გაზეთში ციტირებულია ინგლისის პრემიერ-მინისტრის ტონი ბლერის სიტყვები ფეხბურთელთა ჭეშმარიტ ინგლისურ შემართებასა და სულთან დაკავშირებით, პარალელს ავლებენ 1986 წლის მატჩთან, ისიც მსოფლიოს პირველობის ფინალურ ეტაპზე რომ გაიმართა და დიეგო მარადონამ ინგლისელთა კარში ბურთი ხელით შეაგდო. ბრიტანული გაზეთი „სანი" ყველა ინგლისელ ფეხბურთელს ამ მატჩში ათბალიანი სისტემით 9-ს უწერს, გამონაკლისი ერთია — ბექემი, ის 0-ს იმსახურებს. არგენტინელთა გუნდის წევრები საშუალოდ 7-8 ბალს ეღირსნენ, ორტეგამ კი 9-მდე გაქაჩა. ნიშანდობლივია მატჩის მსაჯის, დანიელი ნილსენის შეფასება — 6 ქულა. ყველას მიაჩნია, რომ 8 მილიონ გირვანქა სტერლინგად შეფასებული ინგლისელი ნახევარმცველის დევიდ ბექემის გაძევებამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. „ინტერნეიშნლ ჰერალდ ტრიბუნი" კი კითხულობს — „მაინც ვერ გაგვირკვევია, ბექემი მზაკვრული წიხლისთვის გააძევეს თუ მსაჯთან შეკამათებისთვის".

და კიდევ ერთი: გაუთავებელი ლაპარაკია მაიკლ ოუენზე, აღნიშნავენ, რომ მატჩში მის მიერ გატანილი მეორე გოლი — ეს რონალდოს სტილია, რომ ის არის „ბავშვი სასწაული", „ინგლისელთა გმირი" და ა.შ. ინგლისის ნაკრების ყოფილ მწვრთნელს ბობი რობსონს მიაჩნია, რომ ოუენი გენიოსია, მის მიერ გატანილი გოლი ერთ-ერთი საუკეთესო იქნება ჩემპიონატში. ინგლისელთა ასევე მწვრთნელყოფილი ტონი ვენეიბლზი კი ამბობს — ოუენის გოლი სენსაციურია, ის კი ფენომენალური მოვლენაა ფეხბურთში.

მაგრამ ინგლის — არგენტინის მატჩი უკვე ისტორიის კუთვნილებაა; ფეხბურთი გრძელდება. რვა გრანდი მზადაა, იბრძოლოს XX საუკუნის ჩემპიონის ტიტულის მოსაპოვებლად.

მაიკლ ოუენის რიგი ჯერ არ დამდგარა — იგი XXI საუკუნის ფეხბურთელია.

ასე ამბობენ სპეციალისტები. მათ უნდა დავუჯეროთ.

*ფიფას, უეფას და მსოფლიოს ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელებთან შეხვედრის შემდეგ ჟურნალისტებმა ზეპ ბლატერი, ლენარტ იუჰანსონი და მიშელ პლატინი „დაჰკითხეს". შემკითხველთა შორის იყო „სარბიელის" საგანგებო კორესპონდენტიც. გაეცანით ზოგიერთ პასუხს, კითხვას კი, იმედია, თავად მიხვდებით*



**მიშელ პლატინი**

— ფიფას მომავალ არჩევნებში კენჭს ვიყრი თუ არა, ჯერ ამაზე ლაპარაკი ადრეა. პრეზიდენტი ახალარჩეულია.

— ჩემპიონატის ორგანიზაციაზე ვერაფერს ვიტყვი, დაინტერესებული პირი ვარ. ეს ჟურნალისტებმა ჰკითხონ საკუთარ თავს, სად უკეთესია, აქ თუ ამერიკაში, აქ თუ ინგლისში.

— ინგლის-არგენტინის შეხვედრისას მსაჯის შეცდომებზე არ ვილაპარაკებ. ეს არაა ჩემი განსაჯელი. ბექემის გაძევებით არგენტინელებს ფორა მიეცათ.




**ლენარტ იუჰანსონი**

— მე არც ბლატერის და არც აველანჟის მეგობარი არა ვარ. ჩემთვის ფეხბურთის ინტერესებია უზენაესი. ჩემი მეგობარი ფეხბურთია. ურთიერთობა ბლატერთან ნორმალურია. ფიფას მომავალ არჩევნებში კენჭს არ ვიყრი.

— ჩემთვის ყველა დროის საუკეთესო ფეხბურთელი პელეა. დღეს — რონალდო.

— ევროპა თუ ამერიკა? ჯერჯერობით ანგარიშია 6:2. თუ ეს პროპორცია დავიცავით, კარგია. ჩვენი კონტინენტის გუნდი ჩემპიონი უნდა გახდეს.

— მე ფიფას მოდერნიზაციის მომხრე ვიყავი. ჩემი პროგრამა არ გავიდა. ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ.



**იოზეფ ბლატერი**

ევროპა თუ ამერიკა? ჩემთვის მთავარია, ძლიერმა გაიმარჯვოს და მან ბიძგი მისცეს ფეხბურთის განვითარებას. ისე კი, საუკეთესო ვარიანტი ის იქნება, თუ ფინალში ევროპული და სამხრეთამერიკული გუნდები ითამაშებენ.


# სარბიელი

## სპორტული ლატარია "CROCO"

FRANCE 98

მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში თბილისში, კინოთეატრ რუსთაველის მეოთხე სართულზე, კროკოს კლუბში შეგეძლებათ თამაშების პირდაპირი რეპორტაჟების ნახვა და ფსონების დადება.

**კროკო ფეხბურთის ყველაზე აზარტულ მოყვარულებს თბილისში, ქუთაისში, ბათუმში და რუსთავში მოემსახურება.**

ფსონების მიმღები „კროკოს" ახალი ბიუროები გაიხსნა თბილისის №2, №63 და №67 ფოსტის განყოფილებების შენობებში

№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე

№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი

№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი

**მსოფლიოს ჩემპიონატი.** მეოთხედფინალი

4 ივლისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| გერმანია — ხორვატია | (1,2-3,5) | 1,5 | 3,4 | 5,6 |
| არგენტინა — ჰოლანდია | (1,5-2,0) | 1,9 | 2,8 | 3,5 |

**ინტერტოტოს თასის გათამაშების მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი. 4-5 ივლისი**

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ვერდერი (გერმანია) — ინკარასი (ლიტვა) | (1.05-7.5) | 1.15 | 5.0 | 9.0 |
| ტურკუ (ფინეთი) — შინიკი (რუსეთი) | (7.5-1.05) | 2.5 | 2.8 | 2.5 |
| ბობი (ბრნო, ჩეხეთი) — ესპანიოლი (ესპანეთი) | (7.5-1.05) | 3.3 | 3.0 | 1.9 |
| აბ კოპენჰაგენი (დანია) — ვორსკლა (უკრაინა) | (1.7-1.7) | 1.8 | 3.0 | 3.6 |
| ზალცბურგი (ავსტრია) — სენტ გალენი (შვეიცარია) | (1.6-1.8) | 1.7 | 3.0 | 4.2 |
| იონიკოსი (საბერძნეთი) — ნაციონალი (რუმინეთი) | (1.7-1.7) | 1.7 | 3.0 | 4.2 |
| ლომელი (ბელგია) — ტორპედო (საქართველო) | აგნარიში — 5.0 | | | |
| ვოევოდინა (იუგოსლავია)— ერებრუ (შვედეთი) | (1.6-1.8) | 1.7 | 3.0 | 4.2 |
| მაკედონია (სკოპიე, მაკედონია) — ბასტია (საფრანგეთი) | (5.0-1.1) | 3.6 | 3.0 | 1.8 |
| ტვენტე (ჰოლანდია) — კონგსვინგერი (ნორვეგია) | (1.4-2.3) | 1.4 | 3.5 | 6.0 |
| სამპდორია (იტალია) — ტაურისი (სლოვაკეთი) | (1.05-7.5) | 1.1 | 5.6 | 10.0 |
| სამსუნსფორი (თურქეთი) — ლუნგბიუ (დანია) | (1.6-1.8) | 1.8 | 2.9 | 3.8 |
| დებრეცენი (უნგრეთი) — ჰრადეც კრალოვე (ჩეხეთი) | (1.7-1.7) | 1.8 | 2.9 | 3.8 |
| ალთაი (თურქეთი) — დიოშდიორი (უნგრეთი) | (1.6-1.8) | 1.7 | 2.9 | 4.4 |
| ორგრიტე (შვედეთი) — რუხი (პოლონეთი) | (1.6-1.8) | 1.7 | 2.9 | 4.4 |
| ოზეტა (ტრენჩინი, სლოვაკეთი) — ბალტიკა (რუსეთი) | (5.0-1.1) | 2.6 | 2.9 | 2.3 |

პირველი ტაიმი/საბოლოო შედეგის გამოცნობაზე და სხვა კოეფიციენტებს ფსონების მიღების ადგილზე გაეცნობით

ფსონები მიიღება ყოველდღე 13-დან 16 საათამდე.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ — კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
№63 ვარკეთილი. I მიკრორაიონი, XV კორპუსი;
№67 გლდანი. I სავაჭრო ცენტრი;

ᲥᲣᲗᲐᲘᲡᲨᲘ — პუშკინის ქუჩა 16, ტელერადიოკომპანია „ივერიონის" შენობაში;

ᲑᲐᲗᲣᲛᲨᲘ — გორგასლის (ყოფილი ცხაკაიას) ქუჩა 4, ყოფილ კომისარიატთან;

ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲨᲘ — კინოთეატრი „რუსთაველი"; XVI მიკრორაიონი 2; კოსტავას გამზირი 17.

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

# ინგლისის სიზარმაცემ დაღუპა

## აცხადებს როი ჰოჯსონი



როი ჰოჯსონი

ინგლისის ნაკრების წლევანდელი მსოფლიოს ჩემპიონატის ადრეული ეტაპიდან გამოვარდნა წარმოუდგენელი რამ გახლდათო, ვერ ვიტყვით, მაგრამ ტურნირის დაწყებამდე იმას, რომ ბრიტანელები მეოთხედფინალში ვერ გააღწევდნენ, ძნელად თუ იწინასწარმეტყველებდა ვინმე. მერვედფინალში არგენტინელებთან დამარცხების დღიდან მთელი მსოფლიოს ჟურნალისტები დაწვრილებით აშუქებენ ინგლისელი ფეხბურთელების ყოველ მოქმედებას. რაღა არ მოხდა ამ რამდენიმე დღის განმავლობაში. ინგლისელი ფანების გაწბილება, ბექემის ბოდიში თუ ლონდონის აეროპორტში გუნდის წევრთა გმირებად შერაცხვა — ეს მოვლენები უპირველესი ჟურნალ-გაზეთების განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში გახლდათ. თუმცა, ვგონებთ, გლენ ჰოდლის ნაკრების წარუმატებლობა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე იმდენად საგულისხმო მოვლენა იყო, რომ მასზე, ალბათ, კიდევ დიდხანს ისაუბრებენ.

„ბლექბერნ როვერსის“ მთავარმა მწვრთნელმა როი ჰოჯსონმა ხუთშაბათს პარიზში გამართულ მწვრთნელთა საერთაშორისო სიმპოზიუმზე ინგლისელი ფეხბურთელები მკაცრად გააკრიტიკა და ისინი საქმისადმი არაპროფესიონალურ მიდგომაში დაადანაშაულა.

— ნაკრების მოთამაშეებს, რომლებიც ზღაპრულ ანაზღაურებას ღებულობენ, ჰგონიათ, რომ მათთვის ყველაფერი დასაშვებია. დილით ვარჯიშზე მისულნი მხოლოდ ორი საათით, მსუბუქად იტვირთავენ თავს და ამით მთელი დღის გეგმას შესრულებულად თვლიან. ბევრი მათგანი კი საწვრთნელ ბაზაზე იმ განზრახვით მიეშურება, რომ შუადღით გათავისუფლდეს და სხვა საქმეებსაც მიჰყოს ხელი — განაცხადა ჰოჯსონმა, რომელიც ერთი ხანობა შვეიცარიის ნაკრების თავკაცადაც მუშაობდა.

ბლექბერნელთა დამრიგებლის უკმაყოფილება ძირითადად იმით ყოფილა გამოწვეული, რომ მაღალი ხელფასებით გაყოყოჩებულ ფეხბურთელებს თავი დიდად მოაქვთ და არავის შენიშვნას ყურად არ იღებენ.

— დილის ვარჯიშის შემდეგ ინგლისის ნაკრების წევრები შინ რომ არ გაუშვა და შუადღით განმეორებითი წვრთნის ჩატარება მოსთხოვო, ცხვირს აგიბზუებენ და წასასვლელად გამზადებულნი ისეთ უმნიშვნელო მიზეზს დაგისახელებენ შეიძლება ყურებს არ დაუჯერო. ზოგს საღამოსთვის მეუღლის მაგივრად საყიდლებზე წასვლა აქვს დჰგეგმილი, ზოგი ბავშვების სკოლიდან გამოსაყვანად მიიჩქარის, ხოლო დანარჩენები კი ბიზნესს ეწევიან. ასეთ ვითარებას ჩვენ დიდხანს ვერ ავიტანთ. ინგლისის ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა აუცილებლად უნდა აუხსნან, ფეხბურთელებს, რომ მოთამაშე, რომელიც მაღალ ანაზღაურებას იღებს, ვალდებულია, დილის ცხრა საათიდან საღამოს ხუთამდე მაინც იმყოფებოდეს, სამსახურში. ნაკრების წევრებმა უნდა შეიგნონ, რომ ისინი, უბრალოდ, საწვრთნელ შეკრებაზე არ მიდიან. მათი გარჯით მხოლოდ სპონსორები არ არიან დაინტერესებულნი და არც ის გახლავთ მთავარი, სარეკლამო აგენტებისგან რამდენს იჯიბავენ. აქ სულ სხვა რამეზეა' საუბარი. მათ სანახავად სტადიონებზე ხომ ძირითადად ის ხალხი დადის ვისაც კატასტროფულად დაბალი ხელფასები აქვს, მაგრამ ფეხბურთის საყურებლად ყველაფერს იღებს. არის შემთხვევები, როდესაც თავგადაკლული ქომაგები სტადიონზე შესასვლელი ბილეთის საფასურად საკუთარ სახლებს აქირავებენ და ხანდახან ოჯახის წევრებს უკანასკნელ ლუკმა-პურსაც აკლებენ, ამ დროს ნაკრების წევრები თავს უფლებას აძლევენ, არ ივარჯიშონ და გულშემატკივართა გრძნობები არად ჩააგდონ — აღშფოთება ვერ დამალა მწვრთნელმა.

ჰოჯსონმა გვერდი ვერც მერვედფინალური მატჩის შემდეგ ფანების განრისხების საბაბად ქცეულ დევიდ ბექემის მართლაც გაუგონარ საქციელს აუარა. საქმე ისაა, რომ მანჩესტერელი დამარცხებიდან მეორე დღესვე თავის მილიონერ საცოლე ვიქტორია 'ადამსთან ერთად ნიუ იორკს გაფრინდა და მიუხედავად იმისა, რომ წყვილძს „კრუიზი“ არცთუ ხანგრძლივი გახლდათ, ამან წაგებით გულდათუთქული ქომაგების იარა კიდევ უფრო გაამწვავა.

— მწვრთნელებსა და მოთამაშეებს შორის უნდა არსებობდეს ელემენტარული შეთანხმება, რომლის თანახმადაც ნაკრების თითოეულ წევრს ამა თუ იმ კონკრეტულ სიტუაციაში შესაბამისად გარჯა დაევალება და თუ რომელიმე ფეხბურთელს შოუ-ბიზნესში მონაწილეობა სურს, მისთვის გზა ხსნილია. ოღონდ ერთი პირობით — თავიანთი საქმიანობა გუნდის ინტერესებს არ უნდა ანაცვლონ — ჰოჯსონი სრულიად მართალია და ძნელია, მას არ დაეთანხმო.

ბლექბერნელთა თავკაცმა ხუთშაბათს სხდომაზე მწვრთნელებს ერთი მეტად საინტერესო მოსაზრება გაანდო. ჰოჯსონს თურმე მიაჩნია, რომ ინგლისის პრემიერლიგის სეზონებს შორის რჭაკვირიანი შესვენება უსაშველოდ გაწელილია და მოთამაშეებზე მეტად უარყოფითად მოქმედებს.

— პრემიერლიგის თამაშების განრიგი ისედაც ძალიან გადატვირთულია. ხშირად ფეხბურთელებს კვირის განმავლობაში რამდენიმე შეხვედრის ჩატარება უწევთ, რაც მათ ფიზიკურ კონდენციებს საგრძნობლად აუარესებს. ამ სიტუაციის თავიდან ასაცილებლად უბრალო გამოსავალი არსებობს. სეზონებს შორის თითქმის ორთვიანი შესვენება უნდა შემცირდეს, რაც ყველასთვის მომგებიანი იქნება. ახლა კი რა გამოდის, გუნდის ხელმძღვანელები არდადაგებზე მყოფ ფეხბურთელებს კლუბში მაინც ვადაზე ადრე აბრუნებენ და ახალი სეზონის დაწყებამდე დარჩენილ დროს სრულიად არაფრისმომტანი ამხანაგური თამაშების გამართვით კლავენ. ასეთი ვითარება ხელს არავის აძლევს და იგი უნდა შეიცვალოს — განაცხადა როი ჰოჯსონმა.

**ირაკლი ხმელიძე**

# შარო, საიდან მოდიხარ?

ფიფას წარმომადგენელმა გუშინწინ კატეგორიულად უარყო გავრცელებული ხმები იმის შესახებ, რომ ორმა არგენტინელმა ფეხბურთელმა წლევანდელ მსოფლიოს ჩემპიონატზე დოპინგ-კონტროლის წარმატებით ვერ გაიარ. როგორც ერთ-ერთმა დიდმოხელემ განაცხადა, 10 ივნისიდან 3 ივლისამდე გამართული პირველი და მეორე ეტაპის ორმოცდათექვსმეტივე შეხვედრის შემდეგ შემოწმებულმა ყველა ფეხბურთელმა დოპინგ-ტესტი უპრობლემოდ გაიარა და არც ერთ შემთხვევაში ექიმებს რომელიმე აკრძალული ნივთიერების კვალი არ აღმოუჩენიათ.

— რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს, უკვე რამდენიმე დღეა, მთელი საფრანგეთი ლაპარაკობს მსოფლიოს პირველობის მონაწილე ფეხბურთელების მიერ დოპინგის გამოყენებაზე. ყველაზე გასაკვირი კი ის არის, რომ ეს მოარული ხმები სრულიად უსაფუძვლოა და მავანნი მაინც დაჟინებით ცდილობენ, არგენტინის ნაკრებს სახელი გაუტეხონ. სრული პასუხისმგებლობით მინდა მოგახსენოთ, რომ მოთამაშეთა მხრივ თაღლითობას ჯერჯერობით ადგილი არ ჰქონია — განაცხადა ფიფას პრეს-ატაშე კეით კუპერმა.

შეგახსენებთ, რომ დოპინგ-ტესტზე მოთამაშეები ასე გაჰყავთ: თითოეული თამაშის შემდეგ მონაწილე გუნდებიდან ორ ნებისმიერ ფეხბურთელს ირჩევენ და საგანგებოდ მოწყობილ ოთახში მიჰყავთ, სადაც უბრალო პროცედურა ტარდება და ტესტის პასუხებიც რამდენიმე წუთში მზადაა.

არგენტინელი გულშემატკივრების აზრით, მათი ნაკრების წინააღმდეგ ის პირები ილაშქრებენ, ვინაც 1994 წელს ამერიკაში გამართულ პირველობაზე დიეგო მარადონას სკანდელი გამოიგონა და უდიდესი ფეხბურთელი ტურნირს ჩამოაშორა. მართალია, სამხრეთამერიკელი ქომაგები დიეგოს მიერ დოპინგ-კონტროლს ჩაგდებას წინასწარგანზრახულ სკანდალს უწოდებენ, მაგრამ ფაქტი ერთია: მარადონას შემოწმებამ აჩვენა, რომ მოთამაშეს ორგანიზმში აკრძალული ნივთიერება — ეფედრინი ერია, რის გამოც იგი 15 თვით სამართლიანად მოკვეთეს.

საგულისხმოა, რომ ზედ ჩემპიონატის დაწყების წინ არგენტინის ნაკრების ექიმმა ლუის სევესომ განაცხადა, საფრანგეთში მოხვედრილ ფეხბურთელთაგან ერთ-ერთმა ნაკრების საწვრთნელ ბაზაზე სავალდებულო დოპინგ-კონტროლი წარმატებით ვერ გაიარა და შემოწმებამ მის ორგანიზმში მარადონას მსგავსად აკრძალული ნივთიერება აღმოაჩინაო. თუმცა ამ მოთამაშის ვინაობის გამხელისაგან მაშინ ექიმმა თავი შეიკავა.

**ირაკლი ხმელიძე**



# ჰოდლს დარჩენა სთხოვეს

ინგლისური ფეხბურთის მამებმა მიიღეს გადაწყვეტილება, რომ ნაკრების ამჟამინდელ თავკაც გლენ ჰოდლს კონტრაქტი 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატამდე გაუხანგრძლივონ. მის ამჟამინდელ ხელშეკრულებას ძალა მხოლოდ 2000 წლის ივნისამდე ჰქონია. მართალია, ეროვნული ნაკრების წარუმატებელი გამოსვლით ინგლისში ყველა გულდაწყვეტილია, მაგრამ იქაური პრესა და სპეციალისტები არც იმას ივიწყებენ, რომ გუნდმა ბოლომდე, ვაჟკაცურად და საკმაოდ მობილიზებულად იბრძოლა და არგენტინელებთან მხოლოდ თერთმეტმეტრიანი დარტყმების სერიაში წააგო. ინგლისის ფეხბურთის ასოციაციის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა კეიტ ვაისმანმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ჩვენი ნაკრები საიმედო ხელშია, ყველა პატივს ვცემთ გლენ ჰოდლს და ვაფასებთ მის ღვაწლს. დარწმუნებული ვარ, მომავალში ინგლისელები მისი ხელმძღვანელობით შეძლებენ მსოფლიოს ჩემპიონობას, რადგან იგი ნამდვილად დიდი მწვრთნელია. ახლა ყველაფერი გლენზეა დამოკიდებული, თუ იგი მოისურვებს თანამდებობაზე დარჩენას, მზად ვართ, მოლაპარაკებებს დღესვე შევუდგეთ.

თავად ჰოდლის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია, თუმცა დაირხა ხმები, რომ იგი კონტრაქტს გააგრძელებს. ვნახოთ, ყველაფერი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

# დიეგომ, მაინც გავიტანო

დიეგო მარადონა საკმაოდ სკანდალურ პიროვნებად ითვლება — ფეხბურთს თამაშობდა თუ აქტიურ სპორტს ემშვიდობებოდა, მის ირგვლივ მითქმა-მოთქმა არასოდეს შეწყვეტილა. ერთ-ერთი ყველაზე გახმაურებული ისტორია, რომელიც მარადონას სახელს უკავშრდება, 1986 წელს მექსიკის მსოფლიოს ჩემპიონატზე ინგლისელთა კარში გატანილი პირველი გოლია. როგორც გახსოვთ, მაშინ საჰაერო ბურთისთვის ბრძოლაში მან პიტერ შილტონს წამით დაასწრო და ბურთი ხელით გადაგზავნა მოწინააღმდეგის კარში. შემდგომში მარადონამ განაცხადა, ის გოლი ღმერთის ხელით გავიდაო. და აი, 12 წლის შემდეგ დიეგოს კვლავ გაუხსენეს ის ამბავი და მანაც ბუენოს აირესის რადიოსთვის მიცემულ ინტერვიუში ასეთი რამ თქვა: „შანსი რომ მომეცეს, ასეთ გოლს კვლავ გავიტან, ინგლისელებთან აღარ, მაგრამ სხვა გუნდებს ნამდვილად არ დავინდობ. ინგლისელ ხალხს უკვე ავუხსენი, რომ ხელით თამაში დედის რძესთან ერთად შევითვისე. ბავშვობაში, მთელი დღის განმავლობაში ქუჩაში ვიყავი, რაღა თქმა უნდა, სულ ფეხბურთს ვთამაშობდი და ხელითაც ხშირად გამქონდა. რაც შეეხება ინგლისელებს, ისინი ამგვარი გოლის გატანას ვერასოდეს მოახერხებენ, რადგან ამას სამხრეთამერიკელთათვის დამახასიათებელი ეშმაკობა სჭირდება“.

როგორც კი „ღმერთის ხელზე“ მოგონებები დაასრულა, მარადონამ აღნიშნა, რომ აუცილებლად გაემგზავრება საფრანგეთში არგენტინისა და ჰოლანდიის ნაკრებების მატჩზე დასასწრებად. ამის შემდეგ კი ინგლისს ეწვევა, სადაც მოლაპარაკებას გამართავს „კრისტალ პალასის“ ხელმძღვანელობასთან ამ კლუბში მოთამაშე მწვრთნელად გადასვლის თაობაზე.



დღემდე გაურკვეველია — ეს გოლი ღმერთის ხელით გავიდა თუ მარადონასი?

# ახია ყვითელთავაზე!

რუმინეთის ნაკრების ფეხბურთელები მსოფლიოს ჩემპიონატის ჯგუფური ტურნირის პირველ ორ შეხვედრაში იმდენად დამაჯერებლად გამოიყურებოდნენ, რომ ბევრმა გულშემატკივარმა ეს აღმოსავლეთ-ევროპული გუნდი ჩემპიონობის ერთ-ერთ უპირველეს კანდიდატადაც კი შერაცხა. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ინგლისელებთან წარმატებამ და საყოველთაო აღიარებამ რუმინელებს თავბრუ დაახვიათ. შემდგომი თამაშებისთვის მათ არასერიოზული საქციელისთვისაც მოიცალეს და იმის მაგივრად, რომ მერვედფინალს სრულ მზადყოფნაში, მობილიზებული შეხვედროდნენ, თავები ყვითლად გადაიღებეს. შეუძლებელი იყო, მსოფლიოს უპირველეს სპორტულ ასპარეზობაზე საქმისადმი ასეთ ზერელე დამოკიდებულებას შედეგი არ მოჰყოლოდა და მართლაც, ტუნისელებთან უფერულად ჩატარებული მატჩის შემდეგ ანგელ იორდანესკუს ქვეშევრდომებმა ძალის მოკრება ველარ შეძლეს და ხორვატებთან მერვედფინალში ყოვლად უსუსური თამაში აჩვენეს. 0:1 წაგებულ შეხვედრაში რუმინელი ფეხბურთელები ისე უგერგილოდ ირჯებოდნენ, მათი შემხედვარე ვერაფრით იფიქრებდი, რომ ამ გუნდმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი დაუმარცხებლად განვლო და არც საფრანგეთში გამართულ სასტარტო მატჩებში შეურცხვენია თავი. მოკლედ, ყვითლად თმაშეღებილმა გუნდმა თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა. ხორვატიის ნაკრებთან რუმინელებს ღირშესანიშნავი არაფერი ჩაუდენიათო, ვთქვით, მაგრამ მთლად ასეც არ არის. შეცვლაზე შესულმა გეორგე კრაიოვეანუმ, რომლის თამაშიც იმ დღეს თანაგუნდელების დარად დიდი ვერაფერიშვილი სანახავი გახლდათ, რომ იხილა, სამართლიან ბრძოლაში არაფერი გამოგვივიდაო, სულ მთლად გათავხედდა. დამარცხებით გამწარებული შეხვედრის დამთავრების შემდეგ მთავარ არბიტრს მიეჭრა და კარგა გვარიანი მუჯლუგუნიც უთავაზა.

რასაკვირველია, ფიფას წარმომადგენლებს კრაიოვეანუს საქციელი არ გამოჰპარვიათ და ჩხუბისთავი სათანადოდაც დასაჯეს. როგორც უპირველესი საფეხბურთო ორგანიზაციის პრეს-ატაშე კეიტ კუპერმა განაცხადა, რუმინელ ფეხბურთელს ჯარიმის სახით 5 ათასი შვეიცარიული ფრანკის გადახდა მოუწევს. გარდა ამისა, მას ფიფამ ორი საერთაშორისო თამაშით დისკვალიფიკაციაც მიუსაჯა და რადგან რუმინეთის ნაკრები მსოფლიოს პირველობიდან გავარდა და საფრანგეთში მეტ მატჩს აღარ ჩაატარებს, კრაიოვეანუს ვალის მოხდა სხვა ეგიდით გამართულ შეხვედრებში დაეკისრება. იგი სავარაუდოდ 2000 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში რუმინელთა მონაწილეობით გამართულ პირველ ორ თამაშს გამოაკლდება.

**ირაკლი ხმელიძე**





გიო ახვლედიანის

# ხუთი გოლის იმედით

რაც უფრო ახლოვდება მსოფლიო ჩემპიონატის ფინალური მატჩი, მით უფრო დიდია საფრთხე იმისა, რომ ამ ფინალურმა მატჩმა ვერ ივარგოს. ამის მწარე გამოცდილება საერთაშორისო ფეხბურთის გულშემატკივრებს აქვთ.

თორმეტი წელიწადია, გემრიელი ფინალი არ ყოფილა. თორმეტი წელიწადია, ფინალში თამაშიდან გოლი არ გასულა. სინამდვილეში, ეს თორმეტი წელიწადი ბოლო ორი ჩემპიონატის ფინალურ მატჩებს გულისხმობს. 1994 წელს, ლოს ანჯელესის „როუზ ბოულზე“ ბრაზილიელები და იტალიელები ორ საათს ებრძოდნენ ერთმანეთს, მაგრამ არაფერი გამოვიდა. გოლი არ გასულა და სანამ ფრანკო ბარეზიმ და მაშინ კიკინიანმა რობერტო ბაჯომ პენალტები არ ააცილეს, თამაში არ დამთავრდა.

არსებობს გამორჩეულად ლამაზი ფრეები. ასეთი ამ კვირის დასაწყისშიც იყო სენტ ეტიენში. ასეთ დროს მღელვარება საოცრად ეხმარება ოსტატობას და სანახაობას. „როუზ ბოულზე“ კი სანახაობა ვერ შედგა. ერთ-ერთი თემა, რომელიც სახალხოდ გამოიკვეთა ფინალის შემდეგ, იყო შეხვედრის 106-ე წუთზე ბრაზილიელთა რიგში შემოსული პაულუ სერჟიო როზას თამაში. პაულუ სერჟიო როზა — იგივე, ვიოლა. ხომ გახსოვთ? ახლა, მგონი, ლიგა პაულისტაში თამაშობს. ვიოლა რა მაგარიაო, საჯარიმოში რარიგ დატრიალდაო. აი, ეს იყო სალაპაარუკო. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალი უფრო სხვა რამით უნდა დაამახსოვრდეს კაცს. არც ის არის ბევრი, რომ მაშინ პალიუკამ ძელიდან ასხლეტილი ბურთი დაიჭირა.

განა არ ვიცი? „როუზ ბოულზე“ ორი ძალიან ძლიერი გუნდი იდგა ერთმანეთის პირისპირ. მაგრამ ამ გუნდებმა ფინალის ღირსი თამაში ვერ გასწიეს. ფინალი ხომ მაშინ გამოდის საინტერესო, როცა იქ რამდენიმე ამბავი შეეხამება ერთმანეთს და გუნდის თამაშში თანაბარძალოვნად გახმიანდება. და არა მაშინ, როცა ყველა სხვა ფაქტორი რომელიმე ამათგანის სამსახურში ჩადგება. ვთქვათ, სიფრთხილისა. როცა მთელი გუნდური ენერგია, ცოდნა და ოსტატობა სიფრთხილეს დაექვემდებარება, თამაშიც უფერულია.

როგორც გინდათ ისე გაიგეთ, და 0:0 სამარცხვინო ანგარიშია ფინალისთვის. ნებისმიერ სიტუაციაში.

ეს ამხელა მსოფლიო ჩემპიონატი იმიტომ არ იმართება, რომ ფინალში ერთი ვერ მოიქნიონ ისეთი, რომ ბურთი კარის ხაზს გადასცილდეს.

გამიგონია, ფეხბურთის ერთგვარი სილამაზე ნულოვანი ფრეც არისო, მაგრამ თუ ეს ასეა, ძალიან და ძალიან იშვიათად უნდა იყოს ასე. 0:0 დამთავრებული თამაშებიც არის მაღალი დონის და საინტერესო, რა თქმა უნდა, მაგრამ, აბა, რომელი ჯობია — საინტერესო და მაღალი დონის 0:0, თუ ასეთივე 2:2?

ის კი არა, მე თუ მკითხავთ, ფინალი ერთი გოლისთვისაც ცოდოა. ცოტაა ერთი გოლი ფინალურ მატჩში. აი, რვა წლის წინათ რომის ოლიმპიურ სტადიონზე გაიტანა ანდრეას ბრემემ პენალტი და გადაწყვიტა ჩემპიონობის ბედი. ლამაზი და შთამბეჭდავი ფინალი იყო? მე თუ მკითხავთ, 1990 წლის ჩემპიონატის ფინალს მისი ორივე ნახევარფინალი სჯობდა. ორივე ფრედ დასრულდა, მაგრამ ეს სწორედ ის შემთხვევაა, როცა ფრე იმას გამოხატავს, რასაც უნდა გამოხატავდეს. ორივე ნახევარფინალი, არგენტინა — იტალია და გერმანია — ინგლისი დაუვიწყარი იყო.

ბოლო ორი ჩემპიონატია, რაც მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურმა მატჩმა გოლების მხრივ, სულის ღაფვა დაიწყო. მანამდე კი ფინალში არასოდეს გასულა სამ ბურთზე ნაკლები. ასე იყო 1934 წელს, როცა იტალიამ 2:1 მოუგო ჩეხოსლოვაკიას. ასე იყო, როცა 1974 წელს გერმანიამ ასეთივე ანგარიშით სძლია ჰოლანდიას და ასე იყო, როცა 1950 წელს, „მარაკანაზე“ ურუგვაის ნაკრებმა მასპინძელი ბრაზილიელები დაამარცხა არა ფინალურ, არამედ უბრალოდ გადამწყვეტ შეხვედრაში.

ამ შემთხვევათა გარდა, ფინალში გამარჯვებულებს, ანუ მსოფლიოს ჩემპიონებს, ფინალურ მატჩში ყოველთვის გაჰქონდათ სამი და მეტი გოლი. ყველაზე მეტი ბურთი ფინალურ შეხვედრებში ბრაზილიელებმა გაიტანეს. მათი მონაწილეობით, 1958 წელს შვედეთში გამართულ ფინალში შვიდი გოლი გავიდა. ბრაზილიამ 5:2 მოიგო და საერთოდ, ბრაზილია ერთადერთი გუნდია, რომელმაც არა ერთხელ, არამედ ორჯერ (1970 წელსაც) სამი ბურთის სხვაობით მოიგო ფინალური შეხვედრა. ასეთი რამისთვის ჯერ არავის მიუღწევია.

განთქმულ 2:1-თან ერთად ფინალის სხვა ასევე პოპულარული ანგარიშებია 3:1 და 4:2. 3:1 დასრულებულა 1962, 1978 და 1982 წლების ფინალური მატჩები, შესაბამისად ბრაზილიასა და ჩეხოსლოვაკიას, არგენტინასა და ჰოლანდიას და იტალიასა და გერმანიას შორის. 4:2 კი პირველ ჩემპიონატში ურუგვაელებს მოუგიათ არგენტინელებისთვის, მესამეში — იტალიელებს უნგრელებისთვის, 1966 წელს კი ინგლისელებს გერმანელებისთვის. ასე რომ, ფინალს გარკვეული ადათი გააჩნდა, ვიდრე 1990 წელი არ დადგებოდა. კიდევ, ორი შეხვედრა 3:2 დასრულდა. ასეთი ანგარიშით მოუგო გერმანიამ უნგრეთს 1954 წელს და არგენტინამ გერმანიას 1986 წელს.





მას ერქვა გარინჩა. მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ მატჩებში გოლი არ გაუტანია, თუმცა, სწორედ ის აწვდიდა ბურთს ბრაზილიელ მეგოლეებს

მაშ, რა ეტაკა ფინალურ თამაშს?

ამბობენ, ფეხბურთი განვითარდაო, მაგრამ თუ ისე განვითარდა, რომ ფინალურ შეხვედრაში გოლები აღარ გავიდა, ეგ რაღა განვითარებაა? ფეხბურთი კი მართლაც განვითარდა, უსწრაფესი გახდა. იმგვარად ჩაერია მძლეოსნობა და ძალოსნობა, რომ ფეხბურთის თამაში თითქმის შეუძლებელი გახდა.

წლევანდელ ჩემპიონატზე ვერ იტყვი, საცქერად უვარგისიაო. მის საერთო დონესაც დიდად ვერ დაიწუნებ. გუნდების რაოდენობის გათვალისწინებით, იმაზე მაღალიც კია, რასაც კაცი ელოდა. გოლებიც უხვად გადის. ამიტომ უნდა გამოველოდეთ, რომ ფინალშიაც ერთი ამბავი მოგველის. მაგრამ აქ ერთია — ამ ჩემპიონატზე მართლაც ბევრი და ლამაზი გოლი გადის. ჯერ მარტო ის რად ღირს, რომ 2:2 ყველაზე პოპულარული ანგარიშია. მაგრამ ძალიან ბევრი გოლი გადის სტანდარტული მდგომარეობიდან. ეს, რა თქმა უნდა, გუნდების დიდ მომზადებაზე მეტყველებს, მაგრამ ფეხბურთის ერთ-ერთი უდიდესი სილამაზე ისიც ხომაა, რომ მომენტი მოძრავი ბურთით იწყება. გაჩერებული ბურთი კი — ძალიან ლამაზია, მაგრამ მაინც სტანდარტულია. ჩემპიონატის ულამაზესი გოლები ამჯერად უფრო ინდივიდუალურ გარღვევათა შედეგია. ასე გაიტანეს თითო ლამაზი გოლი ტორე ანდრე ფლომ, მუსტაფა ჰაჯიმ, ადრიან ილიემ და პიერ ნჯანკამ. ეს ოთხი ლამაზი გოლი საოცრად ჰგავდა ერთმანეთს. ფლანგიც და დასარტყმელი პოზიციაც კი ერთიდაიგივე იყო. ისე რომ, აბა და კომბინაცია, ერთი-ორი და ამბავი, იშვიათად რომ სილამაზით თვალი მოეწყვიტა. და კიდევ, ძალიან ბევრი პენალტი. პენალტიც გოლია. მაგრამ უაღრესად სტანდარტული.

ჩემპიონატის ჯერჯერობით საუკეთესო შეხვედრაში ინგლისსა და არგენტინას შორის ოთხი გოლი გავიდა. აქედან ორი პენალტი გახლდათ. თუნდაც ერთი თვის წინათ, მსაჯი ამ პენალტებიდან არც ერთს არ დანიშნავდა. სამაგიეროდ დანიშნავდა ორ სხვას, რომლებიც კიმ ნილსენმა არ დანიშნა. მაგრამ ახლა მთავარი ეს არ არის. კიდევ ერთი გოლი გავიდა მახვილგონივრულად გათამაშებული ჯარიმის წყალობით. ესეც სტანდარტული სიტუაციაა. და მხოლოდ მაიკლ ოუენის გარღვევამ გაგვახსენა იმ მატჩში, რომ ფეხბურთში ჯერ კიდევ შესაძლებელია გადაირბინო ნახევარი მოედანი და გოლიც გაიტანო. მაგრამ ეს გოლიც ვარსკვლავის შესაძლებლობებსა და თვისებებზე იყო დაფუძნებული. ინდივიდუალური იყო, მოკლედ რომ ვთქვათ.

საგოლე კომბინაცია, ბურთის საგოლედ გათამაშების სილამაზე, მაშინ თუღა ჩანს, როცა თამაში ღიაა, ან ძლიერი სუსტს ეთამაშება. თუ გუნდი დაცვაში ჩაგიდგა და თავს კვალიფიციურად იცავს, ძალიან ძნელია, რომ საგოლედ წამოწყებული საქმე ბოლომდე მიიყვანო. ასე დაემართა საფრანგეთს პარაგვაისთან და ასე დაემართა არგენტინას ინგლისთან. არგენტინელთა ზღაპრული ტექნიკა ინგლისელთა საჯარიმოსთან გაუვალ ჯებირს აწყდებოდა. გამოსავალი ერთია, მცველს უნდა შეემალოს. თანაც არა პოზიციურად, ან ოსტატობის ამბავში, არამედ, სრულიად მექანიკურად. ისე, როგორც მექსიკელი მცველი შეცდა გერმანელებთან შეხვედრაში.

მოკლედ, მთელი ამბავია, წინ კიდევ ფინალი.

მოვლენათა არსიდან გამომდინარე, ჩვენ გოლებს უნდა ველოდეთ. სამზე ნაკლები არაფრით უნდა იყოს. თუ სამზე ნაკლები იქნა და, მაშინ მთელ ამდენ სირბილსა და ჭაპანწყვეტას შესაფერისი დაბოლოება ვერ ექნება. მიუხედავად ყველაფრისა, იმიტომ, რომ ფინალი ყოველთვის ბევრ გოლს და მრავალფეროვან თამაშს ნიშნავდა. ასე იყო, თუ არ ჩავთვლით, „როუზ ბოულს“ და ენდი ბრემეს მოქნეულს.

წელს რაღა ასეთი ჭირი უნდა ეტაკოს?

გოლის გამტანი ხალხი ჩემპიონატს არ აკლია. ორი ასეთი კაცი ფინალშიც უნდა მოხვდეს. ამიტომ, გოლების იმედით ფინალის ლოდინიც შეიძლება. მით-უმეტეს, მთელი ჩემპიონატია გვიმტკიცებენ, გოლის გატანა აღარ არის პრობლემა, პრობლემა კომბინაციის დასრულებაა.

გუნდებმა კი აუცილებლად უნდა მიბაძონ არცთუ შორეულ წინაპრებს. ფინალში გოლების გატანა ღირსების საქმეა, თორემ ჩემპიონობა რომ პენალტებითაც ისევე სასიხარულოა, როგორც ადამიანური გოლებით, ყველამ ვიცით.

მე ხუთი გოლის იმედი მაქვს.

გაუშვი, იყოს ექვსიც.



## ფეხბურთის რუკასთან



ინგლისური „მანჩესტერ იუნაიტედის“ ყოფილი კაპიტანი სტივ ბრიუსი მომავალი სეზონიდან „შეფილდ იუნაიტედში“ გადაბარგდება და იქ მოთამაშე მწვრთნელის ფუნქციებს შეასრულებს. ბრიუსმა თავის ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა და ეს მისი პირველი ამგვარი სამუშაო იქნება „ბირმინგემ სიტის“ დატოვების შემდეგ. 37 წლის მოთამაშე მწვრთნელმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „ეს დიდი შანსია ჩემთვის, რათა ახალ სამყაროში წარმატებებს მივაღწიო. ამ გარიგებამდე ბევრი კლუბი მეპატიჟებოდა, მაგრამ არ ვიჩქარე და ყველაზე კარგი ვარიანტიც გამოჩნდა. შეფილდი დიდი ქალაქია და დიდებული გუნდიც ჰყავს, მისი ხელმძღვანელობა ყოველგვარ დახმარებას მპირდება, მეც ჩემის მხრივ მზად ვარ, გუნდს წარმატებები მოვუტანო“.

ესპანეთის ნაკრების მცველ ივან კამპოს ირგვლივ ატეხილ აურზაურს როგორც იქნა, ბოლო მოეღო. ჩემპიონთა ლიგის წლევანდელი გამარჯვებულის, მადრიდის „რეალის“ ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ ფეხბურთელმა სამედიცინო ტესტი წარმატებით გაიარა და მათ კლუბში სავარაუდოდ მომავალ კვირაში გადავა. ამ ტრანსფერზე უკვე დიდი ხანია, დისკუსიები მიმდინარეობს „რეალის“ და კამპოს ამჟამინდელი გუნდის — „ვალენსიის“ წარმომადგენელთა შორის. საქმე იმაშია, რომ ამ უკანასკნელის პრეზიდენტმა პედრო კორტესმა კამპო ინტერტოტოს თასის გათამაშებისთვის შედგენილ განაცხადში შეიყვანა, რაც იმით ახსნა, რომ „რეალს“ „ვალენსიისთვის“ არ გადაუხდია ფეხბურთელის კონტრაქტის გამოსასყიდი თანხა — 800 მილიონი პესეტა (5,2 მილიონი დოლარი). თუმც, როგორც „სამეფო“ კლუბის უფროსობამ განაცხადა, ყველაფერი რიგზეა და საჭირო თანხას უახლოეს დღეებში გადაიხდიან.

ირლანდიელი ფეხბურთელი სტივ სტაუნტონი შვიდი წლის განშორების შემდეგ კვლავ თავის ყოფილ კლუბ „ლივერპულს“ დაუბრუნდა. 29 წლის მცველი 1988-91 წლების სეზონში ასპარეზობდა ამ გუნდის სახელით და ინგლისის ასოციაციის თასსაც დაეუფლა. ამის შემდეგ „ლივერპულის“ მაშინდელმა თავკაცმა გრემ სუნესმა იგი „ასტონ ვილას“ მიჰყიდა. „ენფილდ როუდელთა“ ამჟამინდელმა მწვრთნელმა როი ევანსმა სტაუნტონის მის კლუბში გადასვლით გამოწვეული კმაყოფილება ვერ დამალა და აღნიშნა: „ეს დიდებული ამბავია, სტივი კვლავ „ლივერპულშია“. დარწმუნებული ვარ, ის გამოცდილება, რომელიც დღესდღეობით მას გააჩნია, მომავალ სეზონში ძლიერ გამოგვადგება, მისი დახმარებით ჩვენ კიდევ უფრო ბევრს მივაღწევთ“. სტაუნტონი ლივერპულში უახლოეს მომავალში ჩავა ფრანგ მცველ ერიკ სიკორასთან ერთად, რომელიც ადრე მშობლიური „ლანსში“ გამოდიოდა, ახლა კი ინგლისურ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტის გაფორმებას აპირებს. ამისთვის საჭირო სამედიცინო დათვალიერება მას უკვე გაუვლია.

ინგლისური „ბლექბერნ როვერსის“ ხელმძღვანელობამ გაავრცელა ინფორმაცია, რომ გუნდის შოტლანდიელი ლეგიონერი და კაპიტანი კოლინ ჰენდრი არ იყიდება. კლუბის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა ჯონ უილიამსმა ამასთან დაკავშირებით განაცხადა: „კოლინს არანაირ ფასად არ დავუთმობთ არავის, ამაზე ლაპარაკიც კი ზედმეტია. მას ჩვენთან ჯერ კიდევ სამწლიანი კონტრაქტი აკავშირებს და ამ ხნის განმავლობაში კლუბის გეგმების ერთ-ერთი მთავარი ფიგურაა. როი ჰოჯსონს („ბლექბერნის“ მთავარი მწვრთნელი) მისი დიდი იმედი აქვს“. შოტლანდიის ნაკრების ცენტრალური მცველი საფრანგეთის მსოფლიოს ჩემპიონატზე სამივე მატჩში მონაწილეობდა, თანაც საკმაოდ მაღალ დონეზე ითამაშა და შედეგად „გლაზგო რეინჯერსის“ ინტერესთა სფეროში მოექცა, თუმცა ამ გუნდმა „ბლექბერნისგან“ მტკიცე უარი მიიღო.

ესპანეთის წლევანდელი ჩემპიონის და თასის მფლობელის „ბარსელონას“ ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ არგენტინული წარმოშობის ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელი ხუან პიცი მომავალ სეზონში „რივერ პლეიტში“ იასპარეზებს. კონტრაქტი სავარაუდოდ სამწლიანი იქნება, ხოლო სატრანსფერო თანხა 400 მილიონი პესეტას (2,59 მილიონი დოლარი) შეადგენს. პიცი კატალონიურ კლუბში 1996 წლის ზაფხულის ბოლოს გადავიდა, მაგრამ ჯერ რონალდოს, ხოლო შემდეგ რივალდოსა და სონი ანდერსონის ჩრდილში მოექცა და ძირითადად სათადარიგოთა სკამზე უხდებოდა ჯდომა. მანამდე კი, 1995-96 წლების სეზონში, როდესაც იგი „ტენერიფეს“ ღირსებას იცავდა, ესპანეთის ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი გახდა 31 გატანილი გოლით.

გერმანიის ნაკრებისა და უეფას თასის შარშანდელი მფლობელის „შალკეს“ მეკარე იენს ლემანი მომავალი სეზონიდან სერია A-ში, კერძოდ კი „მილანში“ იასპარეზებს. 28 წლის გოლკიპერმა თავის ახალ კლუბთან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. სატრანსფერო თანხა 5 მილიონ გერმანულ მარკას (2,8 მილიონი დოლარი) შეადგენს. ლემანი გერმანიის ნაკრების მესამე მეკარეა, ანდრეას კიოპკესა და ოლივერ კანის შემდეგ, თუმცა იგი საფეხბურთო სამყაროში საკმაოდ მაღალი დონის მოთამაშედ ითვლება. მას თავისი ნაკრების შემადგენლობაში მხოლოდ ორი შეხვედრა აქვს ჩატარებული. „ძალიან ბედნიერი ვარ იტალიაში გადაბარგებით, იქ ხომ მსოფლიოს ერთ-ერთი უძლიერესი ლიგაა. მილანში რამდენჯერმე ვარ ნამყოფი, „სან სიროზეც“ მითამაშია და ვიცი, რომ აქ დიდებული ატმოსფეროა, „მილანი“ ყოველთვის იყო და დარწმუნებული ვარ, იქნება მსოფლიო ფეხბურთის გრანდი. ამავე დროს ძლიერ მწყდება გული „შალკეზე“, სხვა თუ არაფერი, ამ კლუბში მთელი 11 წელი გავატარე“ — განაცხადა პრესკონფერენციაზე ლემანმა, რომელიც „მილანში“ მესამე გერმანელი ლეგიონერი იქნება კრისტიან ციგესა და ოლივერ ბირჰოფის შემდეგ.

იტალიის სერია A-ს „ლაციომ“ „ბარსელონასაგან“ ესპანელი ივან დე ლა პენია და პორტუგალიელი ფერნანდო კოუტო შეიძინა. ორივე ფეხბურთელმა ახალ კლუბთან ოთხ-ოთხ წლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი, თუმცა „ბარსელონას“ ორი წლის შემდეგ დე ლა პენიას გამოსყიდვის უფლება აქვს. ესპანეთის ჩემპიონმა მათ სანაცვლოდ 36 მილიონი მარკა მიიღო, აქედან 30 მილიონი 22 წლის ესპანელ გამთამაშებელში, 6 მილიონი კი პორტუგალიელ ლიბეროში. ამ ტრანსფერის შემდეგ თავხოტორა დე ლა პენია ესპანეთის ყველა დროის უძვირფასესი ფეხბურთელი გახდა. აქამდე ასეთი სოლიდური თანხა არც ერთ ესპანელ ფეხბურთელში არ გადაუხდიათ.

**გერმანიის ბუნდესლიგაში ხელახლა ამხედრებულ „ნიურნბერგს“ ახალი სპონსორი გამოუჩნდა ძლიერი ტელესაკომუნიკაციო ფირმის „ფიაგ ინტერკომის“ სახით, რომელიც კლუბის სასარგებლოდ ყოველწლიურად 5,5 მილიონ მარკას გაიღებს. ეს თანხა ბევრად აღემატება წინა სპონსორის, ფირმა „აროს“ მიერ ჩადებულ ფულს. იგი ყოველწლიურად 2,5 მილიონ მარკას შეადგენდა. „ფიაგ ინტერკომსა“ და „ნიურნბერგს“ შორის კონტრაქტი სამწლიანია.**

გერმანიაში, „ნიურნბერგის“ მსგავსად, ახალი სპონსორით დაიწყებს მომავალ სეზონს ფრანკფურტის „აინტრახტი“, რომელიც ერთწლიანი შესვენების შემდეგ დაუბრუნდა ბუნდესლიგას. ერთ დროს გერმანიის უძლიერეს კლუბს ძველ სპონსორთან, მსოფლიოში სახელგანთქმულ იაპონურ ფირმა „მიცუბიშთან“ 2000 წლამდე ჰქონდა კონტრაქტი, მაგრამ მისი გაუქმება გადაწყვიტა. ამ გადაწყვეტილების მიზეზი კლუბის პრეს-ატაშე კატია კრაუსს არ გაუმხელია, ისევე, როგორც ახალი სპონსორის ვინაობა, რომელიც ხუთშაბათს საგანგებოდ მოწყობილ პრეზენტაციაზე გახდება ცნობილი.

## დინამო

საბოლოო ადგილი
პირველი

ეროვნული სტადიონი: ბორის პაიჭაძე — 75 000
1990, 91, 92, 93, 94, 95, 96, 97, 98 წლების ჩემპიონი
1992, 93, 94, 95, 96, 97 წლების თასის მფლობელი
1990 წლიდან თამაშობს ეროვნული ჩემპიონატის A ჯგუფში. ჩაატარა 281 მატჩი. მოგება — 223. ფრე — 34, წაგება — 26. ბურთების შეფარდება: 894:240.
რეკორდული მოგება — 11:0. 26.03.94 — სამგურალი, თასი და 09.11.95 — დურუჯი
რეკორდული წაგება — 1:5. 18.06.94 — კოლხეთი 1913
ყველაზე მეტი გოლი A ჯგუფში — იამჩილი 84
ყველაზე მეტი მატჩი A ჯგუფში — ჩიქოვანი 131

## 30 ტური

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 30 | 24 | 4 | 2 | 86:15 | 71 |
| ბათუმი | 30 | 18 | 7 | 5 | 58:19 | 61 |
| კოლხეთი | 30 | 17 | 6 | 7 | 56:27 | 57 |
| ტორპედო | 30 | 15 | 9 | 6 | 51:30 | 54 |
| ოდიში | 30 | 15 | 4 | 11 | 43:51 | 49 |
| ლოკომოტივი | 30 | 12 | 8 | 10 | 34:37 | 44 |
| მერანი | 30 | 13 | 7 | 10 | 39:33 | 39 |
| თსუ | 30 | 11 | 6 | 13 | 35:33 | 39 |
| დილა | 30 | 11 | 4 | 15 | 31:36 | 37 |
| ვიტ ჯორჯია | 30 | 9 | 9 | 12 | 27:37 | 36 |
| რუსთავი | 30 | 10 | 4 | 16 | 32:41 | 34 |
| სამგურალი | 30 | 9 | 7 | 14 | 31:50 | 34 |
| სიონი | 30 | 10 | 6 | 14 | 49:47 | 31 |
| გურია | 30 | 6 | 9 | 15 | 30:58 | 27 |
| მალაროელი | 30 | 7 | 5 | 18 | 25:59 | 26 |
| მარგვეთი | 30 | 2 | 7 | 21 | 21:75 | 13 |

„მერანს" დაკლებული აქვს 7 ქულა, „დინამოს" და „სიონს" — 5-5

## «დინამოს» შედეგები მეცხრე ჩემპიონატში

| | შ | ს |
|---|---|---|
| რუსთავი | 2:0 | 1:0 |
| დილა | 4:0 | 2:1 |
| მარგვეთი | 6:0 | 5:2 |
| მერანი | 4:0 | 5:0 |
| ტორპედო | 3:0 | 4:1 |
| ოდიში | 4:0 | 5:1 |
| ბათუმი | 2:0 | 0:1 |
| კოლხეთი | 3:0 | 1:3 |
| თსუ | 5:2 | 1:0 |
| სიონი | 2:1 | 4:0 |
| მალაროელი | 2:0 | 1:1 |
| ლოკომოტივი | 4:0 | 0:0 |
| გურია | 6:0 | 4:0 |
| ვიტ. ჯორჯია | 0:0 | 2:0 |
| სამგურალი | 2:2 | 2:0 |

| | თ | გ | ყ | წ |
|---|---|---|---|---|
| ალექსიძე | 29 | 6 | 2 | 0 |
| მუჯირი | 29 | 18 | 1 | 0 |
| კიკნაძე | 26 | 4 | 0 | 0 |
| ცქიტიშვილი | 26 | 1 | 2 | 0 |
| ხომერიკი | 26 | 23 | 1 | 0 |
| ჯელაძე | 25 | 0 | 3 | 0 |
| დიდავა | 24 | 2 | 1 | 0 |
| გუჩუა | 20 | 0 | 6 | 0 |
| გ. ჭანტურია | 19 | -6 | 2 | 0 |
| ლობჟანიძე | 17 | 0 | 3 | 0 |
| აშვეთია | 15 | 11 | 0 | 0 |
| გოგობერიშვილი | 15 | 3 | 1 | 0 |
| გელაძე | 12 | 1 | 0 | 0 |
| კალაძე | 12 | 0 | 1 | 0 |
| ჩიხრაძე | 12 | 0 | 2 | 0 |
| ზოიძე | 11 | -8 | 0 | 0 |
| ლ. ბურდული | 10 | 4 | 0 | 0 |
| ა. სახვაძე | 10 | 0 | 0 | 0 |
| გ. კვარაცხელია | 9 | 2 | 1 | 0 |
| ჩხაიძე | 9 | 2 | 0 | 0 |
| ნიტაიშვილი | 9 | 0 | 0 | 0 |
| კ. გოგიჩაიშვილი | 8 | 0 | 2 | 0 |
| პეტრიაშვილი | 6 | 1 | 0 | 0 |
| არსოშვილი | 5 | 0 | 0 | 0 |
| დემეტრაძე | 4 | 1 | 0 | 1 |
| იაშვილი | 4 | 6 | 0 | 0 |
| ქემოკლიძე | 4 | 0 | 1 | 0 |
| ხუციშვილი | 3 | 0 | 0 | 0 |
| ო. გველესიანი | 2 | 0 | 0 | 0 |
| მაჭავარიანი | 2 | 1 | 0 | 0 |
| აბრამიძე | 1 | 0 | 0 | 0 |
| გონჩაროვი | 1 | 0 | 0 | 0 |
| დავითნიძე | 1 | 0 | 1 | 0 |
| ლომაია | 1 | -1 | 0 | 0 |
| მიქაძე | 1 | 0 | 0 | 0 |
| მამიაშვილი | 1 | 0 | 0 | 0 |

შ-შინ; ს-სტუმრად; თ-თამაში; გ-გოლი; ყ-ყვითელი, წ-წითელი ბარათი

# ძალაწართმეული

### მარად მებრძოლი

„დინამოს" საკლუბო ისტორიაში დავით ყიფიანს მუდამ გამორჩეული ადგილი ექნება. ქართული ფეხბურთისთვის ცოტა როდი უშრომია, როგორც მოთამაშეს, ასევე მწვრთნელსაც.

არაერთხელ განშორებია ყიფიანი „დინამოს", მაგრამ გარკვეული დროის შემდეგ უბრუნდებოდა. ახლაც წავიდა და ვფიქრობ, უკვე საბოლოოდ. ყიფიანი „დინამოს" მწვრთნელის რანგში ალბათ, აღარ დაუბრუნდება...

ყველას ახსოვს ყიფიანის ბოლო მობრუნება. მანამდე მწვრთნელი კარგა ხანი კვიპროსში იღწვოდა. მაშინ დაიწყო „დინამოში" რადიკალური ცვლილებები. ჩემპიონები ახლებურ რეჟიმზე გადაეწყვნენ, გუნდი რიცხობრივად გაიზარდა, პირობები უფრო გაუმჯობესდა, რეჟიმი გამკაცრდა.

გულშემატკივარი უეცარ შედეგს მოითხოვდა, თითქოს ამის წინაპირობაც არსებობდა, მაგრამ სინამდვილეში „ბოტევი", „ბოავიშტა" და „ბრაგა" შეგვრჩა. კლუბში, სადაც დღის წესრიგი ძირფესვიანად იცვლება, სწრაფ შედეგზე საუბარიც ზედმეტია.

ყიფიანის არყოფნის დროს საქართველოში ბევრი რამ შეიცვალა. პირველ ყოვლისა, ადამიანების ფსიქოლოგია. წარსული დამსახურებებისთვის მუდამ ქედს არავინ მოგიხრის. სხვა თაობა მოვიდა, რომელიც ისტორიას მაინცდამაინც არად დაგიდევთ.

სწორედ მათთან ურთიერთობა გაუჭირდა ყიფიანს. კრიტიკაც იუცხოვა და ერთ მშვენიერ დღეს ჩარხიც უკუღმა დატრიალდა.

ყიფიანი დაბრუნების დღიდან იბრძოდა. იბრძოდა შინაურ ჩემპიონატში, ევროთასებზე, ებრძოდა ფეხბურთის ფედერაციას და პირველ რიგში საკუთარ თავს.

სწორედ ამ ბრძოლებმა დაღალა, ვეღარ გაუძლო და წავიდა იმ დროს, როცა ფაქტობრივად „დინამოს" მორიგი გაჩემპიონება უნდა ეზეიმა.

ჩვენში არ მეგულება კაცი, ნერვები რომ არ ღალატობდეს. გამონაკლისი ვერც ბატონი დავითი იქნებოდა და ერთი ორჯერ ისიც აფეთქდა. პირველად ჭიათურაში, როცა თანამსაჯს იდაყვი ჰკრა სახეში, მეორედ მცხეთაში, როცა ზოგიერთი ვაიგულშემატკივრის გინება ვერ აიტანა. მაშინ ყიფიანი თანაშემწეებმა შეაკავეს.

ყიფიანი წავიდა ძალიან გადაღლილი. მოერია საკუთარ თავს და არავის მისცა უფლება, მისი წლობით ნაშენები იმიჯი გაეთელა. წავიდა ისე, რომ ქართველ ხალხში მუდამ დარჩება ქართული ფეხბურთისთვის შეწირულ დავით ყიფიანად.

„დინამომ" კი თავისი ყოველდღიური ცხოვრება განაგრძო. თავად ყიფიანსაც არაერთხელ უთქვამს, არა აქვს მნიშვნელობა მწვრთნელი მე ვიქნები, თუ სხვა, მთავარია, „დინამო" იყოს მუდამო. ყოფნასაც გააჩნია, აბა დაუძლურებულის ხილვა ვის უნდა, ჰოდა, მწვრთნელიც დარწმუნებული წავიდა, დარწმუნებული, თავისი ნაბიჯის სისწორეში.

### ჩაიბარეთ ესტაფეტა

„დინამოს" გასული ჩემპიონატი მურთაზ ხურცილავამ ჩაამთავრებინა, ჩემპიონის გვირგვინი დაიდგა, მაგრამ თასის ფინალი პირველად სწორედ მან წააგო.

ხურცილავა აუცილებლად იმსახურებდა შანსი მიეცათ. დირექტორატმაც, ალბათ, სწორი გადაწყვეტილება მიიღო, მაგრამ მის მისვლამდე გახლდათ ნოდარ აკობია, კაცი, რომელიც „დინამოს" სამზარეულოში კარგად იყო ჩახედული. აკობიამ ყველაზე უკეთ უწყოდა „დინამოს" ავ-კარგისა და დარწმუნებული ვარ, მისი თავკაცობით გუნდი თასის ფინალს არ წააგებდა.

დიდხანს დამოუკიდებლად მუშაობის საშუალება აკობიას არ მისცემია, ძირითადად ყიფიანს უწევდა ასისტენტობას და, შეიძლება თამამად ვთქვათ, ამ რანგში საქართველოში ერთ-ერთი უძლიერესია.

აკობიას შანსი არ მიეცა, ასეთი იყო დირექტორატის გადაწყვეტილება და დადგა ხურცილავას ჟამი.

ვისაც ხურცილავასთან უმუშავია, თავის თავზე ექნება გამოცდილი მისი რკინისებური დისციპლინა. რეჟიმის დარღვევაზე ლაპარაკი ზედმეტია. უბრალოდ, უწმაწური სიტყვისთვისაც მკაცრად ისჯება.

ამ პრინციპის დამკვიდრება ხურცილავამ „დინამოში" მწვრთნელად მისვლის დღიდანვე დაიწყო და დაუდევრობას უმალ ორი ფეხბურთელიც ემსხვერპლა. ნიტაიშვილი და პეტრიაშვილი გუნდიდან დაითხოვეს. ხურცილავამ თავის პრინციპს არ უღალატა. პეტრიაშვილზე რომ არა ვთქვათ, თავისივე გამოწრთობილი ნიტაიშვილიც არ დაინდო. ასევე მისივე დავაჟკაცებულ გუჩუას უკანასკნელი გაფრთხილება მიეცა.

სხვა რამის დასამტკიცებლად ხურცილავას დროც არ ჰქონდა. ვნახოთ, ახალი სეზონიდან როგორი „დინამო" გვეყოლება. ჩემპიონებს პირველი გამოცდის ჩაბარება ივლისშივე მოუწევთ, როცა ჩემპიონთა თასის საკვალიფიკაციო მატჩებს გამართავენ. ხურცილავას გუნდის ძალაც მაშინვე გამოჩნდება და გულშემატკივრებიც უმალ მიხვდებიან, რისი იმედიც უნდა იქონიონ.

მანამდე კიდევ ცოტა ხნით ლოდინი მოგვიწევს, ჯერაც იმედიანი ლოდინი.

### ძირითადი პრობლემა

ჩვენს ფეხბურთს პრობლემები არ აკლია და ვერც „დინამო" იქნება გამონაკლისი. დირექტორატის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ გუნდში საყოფაცხოვრებო პრობლემები ასე თუ ისე მოხსნილია. ვარჯიში, კვება, ხელფას-პრემიები — სხვა კლუბებთან შედარებით ამ მხრივ „დინამოში" იდეალური პირობებია. აბა, რაღაა საკითხავიო, იტყვის მავანი, არადა, საკითხავ-დასაფიქრებელი მართლაც ყოფილა.

საქმე „მრეტებ" — „დინამოს" ცნობილ სკანდალს ეხება, რომლის შესახებ თურმე ყველამ უწყოდა...

კონფლიქტი ისე გართულდა, ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გასცდა და გასარჩევად ფიფა-უეფას ჩაუვარდა ხელთ.



დავით მუჯირი წელს თბილისის „დინამოს" ნამდვილი ლიდერი იყო

ეს იყო პირველი შეცდომა. მსგავსი რამ არც „დინამოს" უნდა დაეშვა და არც ფედერაციას. მეორე შეცდომად კონფლიქტის არსის დამალვა მიგვაჩნია. საზოგადოებამ მაშინ შეიტყო სინამდვილე, როცა დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია.

მესამე შეცდომა დირექტორატის იყო. მართალია, ჟორდანიამ და კომპანიამ ქინქლაძის კონტრაქტის შესახებ არა უწყოდა რა, მაგრამ, ჩვენი აზრით, ვალდებული იყო, სცოდნოდა.

დავის გაჭიანურებამ „დინამოზეც" იმოქმედა. ვინ იცის, რითი არ ემუქრებოდნენ ჩემპიონებს, ევროთასებიდან გარიცხვით, ქვედა ჯგუფში დაქვეითებით, დიდი ფულადი ჯარიმებით. ერთ მომენტში ამან ფეხბურთელებზეც იმოქმედა, რაც მათ თამაშსაც დაეტყო. ყველამ გასაქცევად იწყო მზადება, მაინც ვილუპებითო, ფიქრობდნენ.

დირექტორატმა დიდი ძალისხმევის ფასად შეაჩერა შიში და პანიკა, ცოტა ხანში კი თითქმის დავიწყებას მიეცა. ახსოვთ მხოლოდ ფეხბურთის ფედერაციაში და არ გვავიწყდება ჟურნალისტებს, რადგან საქმე ქვეყნის ჩემპიონის ბედ-იღბალს ეხება.

დირექტორატის პოზიცია ასეთია, ამ საქმეში ნათელი წერტილები გამოჩნდა, და-ვის ჩვენს სასარგებლოდ გადაწყვეტის დიდი შანსია. ქართული კლუბის კუთვნილი ფული გერმანელებს არ უნდა მიეცეთ, საქართველოდან ამხელა თანხა არ უნდა გავიდეს. თუ საქმე ისე დატრიალდა, რომ ბრძოლა წავაგეთ, მაშინ, რა თქმა უნდა, ფულსაც დროულად გადავიხდით, მაგრამ ვიმეორებთ, უკვე დიდი იმედებია, დავაში გამარჯვებულები დავრჩეთო.

თუ „დინამომ" „მრეტებთან" საქმეები მოაგვარა, მაშინ ფაქტობრივად ყველა პრობლემა მოიხსნება და კლუბს წინსვლის გარდა არაფერი დარჩენია. ტელეტრანსლაციებიდან მიღებულ ფულს ფეხბურთელთა ტრანსფერიდან და რეკლამიდან შემოსული თანხები მიემატება. თანაც, ალბათ, დიდი ხნის შეპირებული „დინამოს" შოკოლადის გამოსვლასაც დაადგება საშველი და საჭირო თანხებიც დაგროვდება. ფინანსურად წელში გამართულს კი გაცილებით მეტის უფლება გეძლევა, ვიდრე ჯიბეგაფხეკილს.

### რთული სეზონი

გასულ სეზონში „დინამოს" ჩემპიონობის მოპოვება შედარებით გაუჭირდა. არა, ძნელი ჟამიც გამოუცდიათ, როცა ქვეყნის უცვლელი ჩემპიონები სამტრედიელებმა ლამის ცარიელზე დატოვეს, მაგრამ წლევანდელი პირველობა რატომღაც მაინც მარილმოუყრელი გამოუვიდათ.

გუნდი ისე შთამბეჭდავად ვერ თამაშობდა, როგორც ადრე. თითქოს არც არის გასაკვირი, „დინამო" ხომ ყოველ წელს თავიდან კოწიწდება. მთავარი მაინც ისაა, რომ არავის უნდა ჩვენს ჩემპიონატში ბურთაობა, ჯერაც უწვერულ ფეხბურთელსაც უცხოეთში სურს წასვლა.

„დინამოს" მაისური მორგებაც ფეხბურთელებს ადრინდელივით არ აღაფრთოვანებთ. ბიჭები მინდორზე მოვალეობის მოხდის მიზნით გადიან. აკი ამიტომაც თქვა ხურცილავამ, დასაბმელ-დასაკავებელი ფეხბურთელი არ მჭირდება, ვისაც წასვლა სურს, გაუშვით, ოღონდ ყველამ იცოდეს, რომ უკან დასაბრუნებელი გზა არ იარსებებსო.

გამოვტყდეთ და ვაღიაროთ, ჩვენში „დინამოსთან" მებრძოლ ბევრ კლუბს თამაში გასახდელშივე აქვს წაგებული. მოედანზე მუხლების კანკალით გადიან და „დინამოსთან" უმოწყალოდ მარცხდებიან.

ჩემპიონებთან ნაღდი ბრძოლა თითოოროლას თუ გაუმართავს. „ბათუმი", „კოლხეთი", „ტორპედო"- მეტიც არ გვაგონდება. შიში ხომ სიკვდილზე უარესია, შეშინებულ-გაქცეულს აბა, ვისთვის მოუგია „დინამოს" რომ გაუმკლავდეს, მაგრამ თანდათან კლუბები შოკიდან გამოდიან. აგერ „ბათუმმა" სულაც თასის ფინალი მოუგო ჩემპიონს, ნანატრ ჯილდოსაც პირველად დაეუფლა.

ვერაფრით დავაკნინებთ ბათუმელთა გამარჯვებას, პირიქით, მათი თავგანწირვა გმირობის ტოლფასი იყო, მაგრამ მაინც უცნაური შეგრძნება დაგვიტოვა თასის ფინალმა, არ მოგვერიდება და აქვე ვიტყვით კიდეც, მოგვეჩვენა, რომ „დინამომ" საკადრისად არ მოინდომა. გამარჯვებისთვის ყველაფერი არ ან ვერ გაიღო.

და მაინც, „ბათუმა" ის გზა გაკვალა, რომელზეც ამის შემდეგ არაერთი ქართული კლუბი შედგება და „დინამოს" უშიშრად შეებმება.

ჩემპიონებს წინ რთული სეზონი ელით. ადრინდელებზე ბევრად უფრო ძნელი და ეს კარგია, იქნებ კონკურენციაში გაიზარდოს ჩვენი გუნდების სათამაშო კლასი.

„დინამოს" გასულ ჩემპიონატშიც გაუჭირდა, სულ უფრო იშვიათად გამოსდიოდა იოლი გასეირნება. ბევრმა იფიქრა, ეგ არის, ჩვენი გუნდების სათამაშო დონე თანაბრდება და აწი წინსვლაც დაიწყებაო.

წინსვლის რა მოგახსენოთ, მაგრამ უკუსვლა რომ დაგვეწყო, ნაღდია. სხვების დონე კი არ ამაღლდა, „დინამო" გაგვიხდა ძალაწართმეული. ჩემპიონები დასუსტდნენ. ლონე გამოელიათ და ახალ სისხლს ითხოვენ.

ვნახოთ, რა მოელის „დინამოს". გასულ ჩემპიონატში 36-მა ფეხბურთელმა მოსინჯა ძალა. არა მგონია, ხურცილავამ ეს დაუშვას. ახალ მწვრთნელს სტაბილური გუნდი და სტაბილური ფეხბურთი იზიდავს.

ბევრის აზრით, სწორედ მურთაზ ხურცილავა გადაუსხამს ახალ სისხლს ჩემპიონებს. მისი რკინისებური დისციპლინა ყველას და ყველაფერს თავის ადგილზე დააყენებს. ვნახოთ, აღდგომა და ხვალეო, ნათქვამია. მოვიცადოთ კიდევ, ჩვენ ხომ არსად გვეჩქარება. ჩვენი მატარებელი ჯერაც სადგურშია და ადგილიდან დაძვრა უჭირს.

**მამუკა ქვანტალიანი**



ჰორიზონტალურად მოცემულია ტურის ნომერი, ვერტიკალურად — ადგილი გათამაშების ცხრილში

## კალათბურთი

# ნაცვლიშვილი „კარშიაკაშია“



საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების კაპიტანი და ერთ-ერთი ლიდერი, ბოლო სეზონში ბულგარულ „ჩერნომორეში“ და პორტუგალიურ „კასაროლაში“ მოთამაშე ვატო ნაცვლიშვილი საკონტროლო ვადის გასრულების შემდეგ ერთი ხანი უგუნდოდ დარჩა. ნაცვლიშვილით ბევრი კლუბი იყო დაინტერესებული და ვატომაც სულ ახლახან უკეთესი ვარიანტის ძიებაში თურქეთში ამოყო თავი. იზმირის „კარშიაკა“ — სწორედ ამ გუნდის ღირსებას დაიცავს ჩვენებური მომავალი წლის მაისის ჩათვლით.

— თურქეთის ვარიანტი ჩემმა მენეჯერმა გამიხერხა. უკვე მოვაწერე ხელი ერთწლიან კონტრაქტს. ასე რომ, რაიმე ცვლილებები გამორიცხულია, ახლა ამ გუნდის საკუთრება ვარ — გვითხრა ვატომ.

**— რა გუნდია „კარშიაკა“? ანდა რატომ მაინცდამაინც თურქეთი?**

— „კარშიაკა“ თურქეთის უმაღლესი ლიგის საშუალო გუნდია, რომელიც შარშან პლეი ოფშიც კი გავიდა, მაგრამ პირველივე რაუნდში დამარცხდა. თურქეთის პირველობაც დღესდღეობით ერთ-ერთი მოწინავეა ევროპაში, რასაც ლეგიონერების სიმრავლე განაპირობებს. დიდი როლი ითამაშა ფინანსურმა მხარემაც — მათ კარგი პირობები შემომთავაზეს და მეც დავთანხმდი. რაც მთავარია, ნაკრებში თამაშში არანაირად არ შემეშლება ხელი. მოკლედ, კმაყოფილი ვარ, თუმცა ეს ჩემი შესაძლებლობების მაქსიმუმად არ მიმაჩნია და შევეცდები, „კარშიაკაც“ ერთგვარ ტრამპლინად გამოვიყენო.

**გიორგი ბიკაშვილი**

## წყალბურთი

# ჯერ გაიტანეს, მერე ბლომად გაუშვეს

სტამბოლში, წყალბურთელთა ევროპის ჩემპიონატი „ბ“ ჯგუფში მოასპარეზე საქართველოს ნაკრები პირველ შეხვედრაში დამარცხდა სლოვენიელებთან 5:8, არადა, ჩვენები მეორე პერიოდში 4:0 იგებდნენ — გვაცნობა სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი ჩოლარიამ.

## კრივი

# კანდელაკს ინგლისელი პროფი შემოელახა

2 ივლისს ლონდონის მახლობლად მძიმეწონოსანმა მსოფლიოს ჩემპიონმა გიორგი კანდელაკმა პირველი შეხვედრა გამართა პროფესიულ რინგზე და იოლადაც გაიმარჯვა: ინგლისელ მეტოქეს სამჯერ ნოკდაუნი აგემა და მსაჯმაც მეოთხე რაუნდში ბრძოლა გააჩერა ჩვენებურის აშკარა უპირატესობის გამო.

## ოლიმპიზმი

# საბანი არ დაგრძელებულა

1998 МОСКВА

ამ ერთი თვის წინათ გამოვაქვეყნეთ ინტერვიუ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალურ მდივან ემზარ ზენაიშვილთან. იმ ინტერვიუში, რომლის სათაური იყო „ჩვენი საბანი ძალიან მოკლეა“, ვსაუბრობდით კარსმომდგარ პირველ მსოფლიოს ახალგაზრდულ თამაშებზე, მოსკოვში რომ უნდა გაიმართოს. საბნის სიმოკლეში, რა თქმა უნდა, ვგულისხმობდით ჩვენს სიღარიბეს, რის გამოც საქართველო მსოფლიოს ახალგაზრდობის ამ დიდ თავყრილობაზე ვერ წარდგება



შოთა ხაბარელი, ჯანო ბაგრატიონი და მედეა ჯუღელი ახალგაზრდებს გზას ულოცავენ

მურაზ დოლიძეაშვილის ფოტო

ვერც საჩვენებელ გამოსვლებში და ვერც კულტურული პროგრამით.

რა თქმა უნდა, ამ ერთი თვის განმავლობაში საბანი ვერ დაგრძელდებოდა და ვერც დაგრძელდა, რის გამოც მოსკოვში საჩვენებელი პროგრამით ვერ ვიასპარეზებთ ვერც ჭადრაკში, ვერც სამბოში, სადაც ჩვენ მდიდარი ტრადიციები და თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს. ეს კიდევ ერთხელ სინანულით აღნიშნა გუშინ სეოკ-ის შტაბ-ბინაში გამართულ პრეს-კონფერენციაზე სეოკ-ისავე პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა. თუმცა, პრეზიდენტმა გვამცნო, რომ საჩვენებელი პროგრამით ერთ სახეობაში მაინც გამოვალთო.

— მოსკოვის სათვისტომოდან შემოგვითვალეს, აქ გვყავს ახალგაზრდა მორაგბეები, მათი მწვრთნელები, გვაქვს სარაგბო კლუბიც. ძალიან გვინდა მოსკოვის მსოფლიო თამაშებზე გამოსვლა თუ გუნდს რამდენიმე მოთამაშით მაგედან გაგვიძლიერებთ, მაშინ საქართველოს სახელით საკუთარი ხარჯებით ვიასპარეზებთო. რა თქმა უნდა, სიხარულით დავთანხმდით, — გვიამბო ჯანო ბაგრატიონმა.

**— მსოფლიო თამაშების ძირითადი პროგრამით მოასპარეზეთათვის მოსკოვის საორგანიზაციო კომიტეტი თავის თავზე იღებს ყველა ხარჯებს, რაც რუსეთის დედაქალაქში ცხოვრებას, კვებას თუ ასპარეზობას უკავშირდება. ასე რომ არ ყოფილიყო, ჩვენი ფინანსური გაჭირვების გამო მსოფლიო თამაშების მიღმა დავრჩებოდით? — დავინტერესდით ჩვენ.**

— არავითარ შემთხვევაში! — ამბობს ჯანო ბაგრატიონი — ამ თამაშებს გამოკლება არ შეიძლება. მას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება. ამიტომაც მოსკოვი არანაირ ხარჯებს არ ერიდება. თუ საჭირო გახდებოდა, მონაწილეობისთვის მეტ ხარჯებზე არც ჩვენ დავიხევდით უკან. ახლა თუ ვიშოვეთ 300 ათასი, საჭიროების შემთხვევაში ნემსის ყუნწში გავძვრებოდით და მეტსაც ვიშოვიდით ისევე როგორც ეს მოხდა შარშან ლისაბონში, ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიურ დღეებზე. ახლა ჩვენი დელეგაცია ბიუჯეტიდან ფინანსდება ნაწილობრივ საქართველოს სპორტის დეპარტამენტის, ნაწილობრივ ჩვენი ქვეყნის განათლების სამინისტროსა და ნაწილობრივ საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის მეშვეობით. მოსკოვში 15 სახეობაში გაიმართება შეჯიბრებები. ესენია: ფეხბურთი, კალათბურთი, ხელბურთი, ფრენბურთი, თავისუფალი და ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, ძიუდო, ფარიკაობა, მშვილდოსნობა, ცურვა, სინქრონული ცურვა, სპორტული და მხატვრული ტანვარჯიში, ჩოგბურთი, მაგიდის ჩოგბურთი. ჩვენი სპორტსმენები ფრენბურთის, ხელბურთისა და ცურვის გარდა ყველაფერში იასპარეზებენ. თითქმის ყველა სახეობის წარმომადგენლებს ორ-ორი შეკრება ჩაუტარდათ.

სეოკ-ის პრეზიდენტის იმედი, უწინარეს ყოვლისა, უკავშირდება თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობას, ძიუდოს. „არ გამოვრიცხავთ სასიამოვნო სიურპრიზებს, უწინარეს ყოვლისა, სათამაშო სახეობებში, მათ შორის ჩოგბურთშიც — ამბობს სეოკ-ის პრეზიდენტი — აქ იასპარეზებს ირაკლი ლაბაძეც, ვინც თავის ასაკში მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია.

პრესკონფერენციამდე კი სეოკ-ის მუზეუმში იყო ჩვენს ახალგაზრდა სპორტსმენებთან შეხვედრა. იყო ჯანო ბაგრატიონისგან, ოლიმპიური ჩემპიონების მედეა ჯუღელისა და შოთა ხაბარელისაგან გზის დალოცვა.

იყო ტრადიციული ოლიმპიური ფიცი, რომელიც მთელი დელეგაციის სახელით წარმოთქვა ჩვენი კალათბურთელთა ახალგაზრდული ნაკრების წევრმა ნიკა ცქიტიშვილმა.

**ავთანდილ ბუჩიშვილი**

## ჩოგბურთი

# მოიგებს ხორვატია, მოიგებს გორანი...

ვაჟთა ნახევარფინალი: **გორან ივანიშევიჩი (14, ხორვატია) — რიჩარდ კრაიჩეკი (9, ჰოლანდია) 6:3, 6:4, 5:7, 6:7 (5:7), 15:13; პიტ სამპრასი (1, აშშ) — ტიმ ჰენმანი (12, ინგლისი) 6:3, 4:6, 7:5, 6:3.**

როგით პირველი კაცების ნახევარფინალი გორან ივანიშევიჩსა და რიჩარდ კრაიჩეკს შორის არაჩვეულებრივი სანახავი გამოდგა. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი მონსტ-მომწოდებელთა ამ მატჩში ოთხ ტაი-ბრეიკსა (მეხუთეში უიმბლდონზე ტაი-ბრეიკს არ თამაშობენ) და ოხრად ეისებს ვარაუდობდა, თამაში არცთუ ცოტა თვალსასეირო გათამაშება და სიუჟეტის იმდენჯერ მიტრიალ-მოტრიალება აღინიშნა, მისტერ დოილსაც შემშურდებოდა.

ივანიშევიჩმა პირველი ორი სეტი თამაშ-თამაშ მოიგო და მაშინ, როცა ყველაფერი იოლი გამარჯვებისკენ მიდიოდა, ამდენი ნაჯაფი ქარს გაატანა — მესამე ხელის უკანასკნელ გეიმში სამი ისეთი შეცდომა დაუშვა, მწვრთნელი თავის აქეთ-იქეთ ქნევასა და „ნწუ-ნწუს“ ძახილში დალალა და საკუთარი მოწოდება და მასთან ერთად სეტიც წააგო. მაგრამ ეს ჯერ კიდევ დასაწყისი იყო.

ხორვატი მეოთხე ხელში თავიდანვე ბრეიკით დაწინაურდა და 40:15-ზე საკუთარ მოწოდებაზე ორი მატჩ-პოინტიც ჰქონდა. გორანმა მეტოქეს გახედა, თავი ჩაღუნა და მორიგი ყუმბარა გაუშვა ჩოგნიდან. ბურთი ხაზზე დაეშვა, ყოველ შემთხვევაში, კრაიჩეკს ასე ეგონა: „აუტ“ თუ დაიძახეს, არ გამიგონია და ბადისკენ წავედი გორანისთვის ხელის ჩამოსართმევად, მეგონა, ყველაფერი მორჩა-მეთქი“. მაგრამ ჰოლანდიელისგან განსხვავებით, მთავარი მსაჯი სხვანაირად ფიქრობდა და კრაიჩეკსაც რაღა დარჩენოდა, ერთი მატჩ-პოინტი ბადესთან თავზეხელაღებული გავარდნით გადაარჩინა, მეორეზე მხსნელად გირანი მოევლინა დროული ორმაგი შეცდომით, მერე ერთი მარჯვნიდან, ერთი მარცხნიდან მოსცხო, ტაი-ბრეიკი გაახერხა და სეტებით ანგარიშიც გათანაბრდა.

გადამწყვეტ ხელში მეტოქეს მოწოდება პირველმა უკვე ჰოლანდიელმა აართვა და თითქოს კარიერის მეორე უიმბლდონურ ფინალშიც შედგა ფეხი, მაგრამ აქ, როგორც იქნა, ივანიშევიჩმაც გამოიღო ხელი, მტკიცე ხასიათი გამოიჩინა და მეტოქეს ვალი დაუბრუნა. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლამ მეხუთე სეტში თითქმის საათნახევარს გასტანა, ერთმაც და მეორემაც უამრავი ეისი მოაწოდა, მუშტებიც მრავალჯერ მოიღერა და ჩოგნებიც არაერთხელ დაანარცხა ცენტრალური კორტის შეთხელებულ ბალახს, სანამ ნერვების ჭიდილში, ყველას გასაკვირად, ცივმა ჩრდილოელმა კი არა, ფეთქებადმა სამხრეთელმა არ იმარჯვა და სეტის 28-ე (!) გეიმში მეტოქეს მოწოდება აართვა. გორანმა კრაიჩეკის ბადეში გახვეულ ბურთს მიწაზე დავარდნა დაასწრო და ღმერთს მადლობაც შესწირა: „ფსიქოლოგიურად დღეს ძალიან ძლიერი გამოვდექი, რაც აქამდე არასოდეს მომხდარა. ვიცოდი, რომ ნერვებს თუ ვერ მოვთოკავდი, მატჩსაც წავაგებდი, ამიტომ შევეცადე საკუთარ თავზე კონტროლი არ დამეკარგა და ის მეკეთებინა, რაც მართლაც საჭირო იყო.“

გადაჭედილმა ტრიბუნებმა ორივე ჩოგბურთელი ფეხზე წამოდგომითა და ოვაციებით გააცილა, გორანმა კი, რომელსაც დიდი სლემის ტურნირებზე არასოდეს უმარჯვია, დაიქადნა, კვირას ამ ტრადიციას შევცვლიო. ისე, ივანიშევიჩის ფინალური მატჩის ბედი, მე თუ მკითხავთ, ხვალ კი არა, დღეს გადაწყდება, გერმანიისა და ხორვატიის ნაკრებების შეხვედრაში. თუ გორანისებმა მოიგეს, მისი გამჩერებელი კაცი არ უნდა იყოს, თუ წააგეს, მაშინ გამხდარა პიტ სამპრასი ჩემპიონი მეხუთედ.



გორან ივანიშევიჩი: ფინალში ვარ!

სამპრასის მეტოქე ნახევარფინალში ინგლისელი ტიმ ჰენმანი იყო, ალბიონელთა უკანასკნელი იმედი სხვაფრივ ნაცრისფერი ზაფხულის გადასარჩენად. ლონდონური გაზეთებიც გუშინ დილით პირველ გვერდზე 23 წლის ოქსფორდელის სურათებითა და ხმაურიანი სათაურებით იყო აჭრელებული. „ჰენმანი ჩვენი ახალი ლომია“, „შენ შემდეგი ხარ, პისტოლ პიტ“, „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკას“ და ა.შ. მაგრამ, მარტო გაზეთის სტატიები რომ შველოდეს საქმეს, ზოგ-ზოგიერთები...

მოკლედ, მოსახდენი მოხდა, ჰენმანმა ცოტა გაიფართხალა და თავისიანებით შეგულიანებულმა მეორე სეტიც კი მოიგო, მაგრამ სამპრასის გასაჩერებლად ძალა მაინც არ ეყო, მესამე-მეოთხე პარტიებში მოწოდება თითოჯერ წააგო და პიტის ფინალისტობისთვის ესეც საკმარისი გამოდგა.

*ირაკლი ლაბაძე კი უკვე აღარ ხუმრობს — საქართველოს შარშანდელი ჩემპიონი უიმბლდონის იუნიორთა პირველობაზე ნახევარფინალში გავიდა. მერვედფინალში ირაკლიმ მეთორმეტედ განთესილ პაკისტანელ აისამ-ულ-ჰაკ კურეშის აჯობა მეტად დაძაბულ ბრძოლაში 6:7 (7:9), 7:6 (7:2), 6:4. გუშინ საღამოს კი მეათედ განთესილ ვენესუელელ ხოსე დე არმასს მოუგო 1:6, 7:6 (7:5), 6:3. ასე რომ, ორი მოგებაც და დიდი სლემის ტურნირის გამარჯვებული ჩვენც გვეყოლება.*

**ავთანდილ სვანიძე**

| გორან ივანიშევიჩი — რიჩარდ კრაიჩეკი 6:3, 6:4, 5:7, 6:7 (6:7), 15:13 | | |
|---|---|---|
| | ივანიშევიჩი | კრაიჩეკი |
| პირველი მოწოდების % | 57 | 61 |
| ეისები | 28 | 42 |
| ორმაგი შეცდომები | 16 | 5 |
| I მოწოდებაზე მოგებული ქულები | 90/108-დან — 83 % | 98/118-დან — 83 % |
| II მოწოდებაზე მოგებული ქულები | 58/91-დან — 63 % | 38/73-დან — 52 % |
| სუფთად მოგებული ქულები | 145 | 137 |
| ბრეიკ პოინტების გამოყენება | 516-დან | 317-დან |
| სულ მოგებული ქულები | 203 | 187 |
| დრო | 3 საათის და 22 წუთი | |

## ნატაშა ზვერევა მატჩის შემდეგ

# გაიხადე, ნატაშა!

როდესაც აშშ-ის უდიდესმა საჩოგბურთო ჟურნალმა „ტენის მეგაზინმა“ თავის მკითხველებში გამოკითხვა მოაწყო ყველა დროის საუკეთესო მეწყვილე ქალის გამოსავლენად, ამერიკელებმა უპირატესობა ჯიჯი ფერნანდესს ან მარტინა ნავრატილოვას კი არა, ბევრისთვის გასაკვირად სწორედ ნატაშა ზვერევას მიანიჭეს. 20 დიდი სლემის ტიტულოსანი ბელარუსი ვეტერანების ყბადაღებული მობრუნებისა და ვუნდერკინდების წამოჩიტვის ხანაშიც გამორჩეულ და კოლორიტულ პერსონად რჩება ქალთა ჩოგბურთში. მასზე ამბობენ ქარაფშუტა, მოლაყბე და ენამწარეაო. იგი წვეულებებზე პირველი გადის საცეკვაოდ და ბოლო ბრუნდება. 1995 წელს ავსტრალიის ღია პირველობაზე მაყურებელი თამამი ჟესტით გააოგნა — მოგებით გახარებულმა მაისური (რომლის შიგნით არაფერი ეცვა) თავზე წამოიცვა და განრისხებულ WTA ტურის ხელმძღვანელობას თავისი საქციელი იმით აუხსნა, კაცები თუ გეიმებს შორის ტანთ პირდაპირ კორტზე იცვლიან, ჩვენ რითი ვართ ნაკლებიო.

კარიერის განმავლობაში 7 მილიონი დოლარის დამგროვებელმა წლევანდელ უიმბლდონზე საჩოგბურთო სამყაროს შტეფი გრაფისა და მონიკა სელეშის, ერთი კვირით ადრე კი ვინუს უილიამსის დამარცხებით და ნახევარფინალში გასვლით შეახსენა თავი, თუმცა იქ ნატალი ტოზიასთან 6:1, 6:7(1:7), 3:6 წააგო.

**— მარცხი ნერვიულობის ბრალი ხომ არ იყო?**

— არა, მატჩის დასაწყისში ცოტათი ვღელავდი, მაგრამ ამან მალევე გადამიარა, ერთ-ორ გეიმში. ჩემი აზრით, ჩემზე მეტად თავიდან ნატალი ნერვიულობდა.

**— ერთ-ერთ ინტერვიუში თქვით, რომ არც ერთი მატჩისთვის სპეციალურად არ ემზადებით და წინასწარ გეგმასაც არ ადგენთ, მაშინ, როცა ყველა ამბობს, რომ შერჩეული ტაქტიკის ქონა ძალიან მნიშვნელოვანია. რატომ?**

— უპირველესად იმიტომ, რომ ამჟამად მწვრთნელი არ მახლავს თან. ისე კი, მატჩის მიმდინარეობისას თავად ვხვდები, რა უნდა ვაკეთო, მიუხედავად იმისა, ვაგებ, ვიგებ თუ ძალიან დაძაბული სიტუაციაა. მოკლედ, ვენდობი საკუთარ თავს.

**— ბევრი ჩოგბურთელი ამჟამად მთელი ამალით მოგზაურობს — მწვრთნელები, მრჩევლები, მშობლები... თქვენ მარტო ყოფნა გირჩევნიათ?**

— ზოგჯერ კი, ზოგჯერ არა. როცა არა, სპარინგ-პარტნიორი მახლავს ხოლმე, მაგრამ მთლიანობაში მარტოსული უფრო მქვია.

**— ამ ჩემპიონატამდე არც შტეფი დაგემარცხებინათ და არც მონიკა, ახლა კი ორივეს მოუგეთ. ამით მეტად კმაყოფილი უნდა იყოთ.**

— მართლაც ასეა, მე მგონი, ეს შესანიშნავია, განსაკუთრებით ამდენი წაგების შემდეგ.

**— სატურნირო ბადის და მეტოქეების გათვალისწინებით თუ გეგონათ, რომ აქამდე მიღწევის რეალური შანსი გქონდათ?**

— მეგონა, მარტო პირველი წრის მატჩს მოვიგებდი, მეტზე არც ვფიქრობდი.

**— გაოცებული ხართ?**

— აბსოლუტურად განცვიფრებული. ასეთ წარმატებას საერთოდ არ ველოდი და ეს ორმაგად მსიამოვნებს.

**— ნახევარფინალში ოთხი ჩოგბურთელიდან სამი ვეტერანი იყავით. ამ შედეგებით ძველი თაობის წარმომადგენლები ახალბედებს ხომ არ აფრთხილებთ?**



— ტელეპათიურად თუ როგორ? მე არავის არანაირ შეტყობინებას არ ვუგზავნი, უბრალოდ, ჩემი საუკეთესო თამაშის ჩვენება მინდოდა, მეტი არაფერი.

— როგორც ამბობენ, მინსკის პროვინციის საუკეთესო ფერმერობას ესწრაფვით. ამ წარმატებების შემდეგ ცოტა სხვანაირი ამბიციები ხომ არ გაგიჩნდათ?

— ამ ამბიციას რეალურად საჩოგბურთო კარიერის დასრულების შემდეგ განვახორციელებ. ახლა ამაზე არ ვფიქრობ. ფერმერობაზე ყოველთვის ვოცნებობდი და იმედია, ამისთვის ადრე თუ გვიან მოვიცლი კიდეც.

**— მატჩების დროს სათვალეს რატომ ხმარობთ?**

— უბრალოდ, კონტრაქტი მაქვს დადებული „ოუქლისთან“. რომ იცოდეთ, როგორ ვიტანჯები, როცა მოიღრუბლება და ჩამობნელდება ხოლმე. მართალია, სხვადასხვა ფერის ლინზები მაქვს და ზოგჯერ თავს ვაიძულებ, ყვითლებით ვითამაშო, მაგრამ ხანდახან არც ეს არის საკმარისი და მოხსნა მიხდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

### გოლები

5 — კრისტიან ვიერი (იტალია), გაბრიელ ბატისტუტა (არგენტინა)

4 — მარსელო სალასი (ჩილე), ლუის ერნანდესი (მექსიკა)

3 — სეზარ სამპაიო (ბრაზილია), რონალდო (ბრაზილია), იურგენ კლინსმანი (გერმანია), ოლივერ ბირჰოფი (გერმანია), დავორ შუკერი (ხორვატია), ბებეტო (ბრაზილია), რივალდო (ბრაზილია)

2 — ტიერი ანრი (საფრანგეთი), მარკ ვილმოტსი (ბელგია), არიელ ორტეგა (არგენტინა), რობერტო ბაჯო (იტალია), აბდელჯილილ ჰადა (მაროკო), სალაჰედინ ბასირი (მაროკო), შონ ბარტლეტი (ს. აფრიკა), ფერნანდო იერო (ესპანეთი), ფრანსისკო მორიენტესი (ესპანეთი), კიკო (ესპანეთი), ფილიპ კოკუ (ჰოლანდია), რონალდ დე ბური (ჰოლანდია), თეოდორ უიტმორი (იამაიკა), ვიორელ მოლდოვანი (რუმინეთი), დენის ბერხკამპი (ჰოლანდია), სლობოდან კომლიენოვიჩი (იუგოსლავია), მაიკლ ოუენი (ინგლისი), ალან შირერი (ინგლისი), ბრიან ლაუდრუპი (დანია)

1 — ჯონ კოლინზი (შოტლანდია), დან ეგენი (ნორვეგია), მუსტაფა ჰაჯი (მაროკო), პიერ ნჯანკა (კამერუნი), ტონი პოლსტერი (ავსტრია), მარკ რიპერი (დანია), კრისტოფ დიუგარი (საფრანგეთი), რაული (ესპანეთი), მუტიუ ადეპოჟუ (ნიგერია), სანდი ოლისე (ნიგერია), ჰა სეკ ჯუ (კორეა), რიკარდო პელაესი (მექსიკა), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია), მარიო სტანიჩი (ხორვატია), რობერტ პროსინეჩკი (ხორვატია), რობი ერლი (იამაიკა), პოლ სქოულზი (ინგლისი), ადრიან ილიე (რუმინეთი), ანდრეას მიოლერი (გერმანია), ჰავარდ ფლო (ნორვეგია), კრეიგ ბარლი (შოტლანდია), ივიცა ვასტიჩი (ავსტრია), ლუიჯი დი ბიაჯო (იტალია), ბენედიქტ მაკართი (ს. აფრიკა), ალან ნილსენი (დანია), დავიდ ტრეზეგე (საფრანგეთი), ბიქსენტე ლისარასუ (საფრანგეთი), მიქაელ ლაუდრუპი (დანია), ვიქტორ იკპება (ნიგერია), გარსია ასპე (მექსიკა), კვატემოკ ბლანკო (მექსიკა), მარკ ოვერმარსი (ჰოლანდია), პიერ ვან ჰოიდონკი (ჰოლანდია), პრედრაგ მიატოვიჩი (იუგოსლავია), დრაგან სტოიკოვიჩი (იუგოსლავია), ჰამიდ ესტილი (ირანი), მეჰდი მაჰდავიკია (ირანი), ბრაიან მაკბრაიდი (აშშ), ლიდერ პრესიადო (კოლუმბია), დან პეტრესკუ (რუმინეთი), ანდრეას ჰერცოგი (ავსტრია), პატრიკ მბომა (კამერუნი), ხოსე სიერა (ჩილე), ტორე ანდრე ფლო (ნორვეგია), კეტილ რეკდალი (ნორვეგია), იური ჯორკაეფი (საფრანგეთი), ემანუელ პეტი (საფრანგეთი), სამი ალ ჯაბერი (საუდეთი), იუსუფ ალ ტინიანი (საუდეთი), ლუის ენრიკე (ესპანეთი), ემილ კოსტადინოვი (ბულგარეთი), სელსო აიალა (პარაგვაი), მიგელ ბენიტესი (პარაგვაი), ხოსე კარდოსო (პარაგვაი), ვილსონ ორუმა (ნიგერია), რიკარდო პელაესი (მექსიკა), ლუკ ნილისი (ბელგია), იუ სენგ ჩუი (კორეა), ექტორ პინედა (არგენტინა), მასაში ნაკაიამა (იაპონია), სკანდერ სუია (ტუნისი), დარენ ანდერტონი (ინგლისი), დევიდ ბექემი (ინგლისი), ლორან ბლანი (საფრანგეთი), პეტერ მიოლერი (დანია), ებე სანდი (დანია), ტომას ჰელვეგი (დანია), ტიჯანი ბაბანგიდა (ნიგერია), ედგარ დავიდსი (ჰოლანდია), ხავიერ ძანეტი (არგენტინა), მარტინ იორგენსენი (დანია)

### ავტოგოლები

2 — პიერ ისა (სამხრეთ აფრიკა)

1 — ტომი ბოიდი (შოტლანდია), იუსუფ ჩიპო (მაროკო), ანდონი სუბისარეტა (ესპანეთი), სინიშა მიჰაილოვიჩი (იუგოსლავია)

### ყვითელი ბარათები

*ხორვატია* — სოლდო, ბობანი, ბილიჩი
*ბრაზილია* — კაფუ 2, სეზარ სამპაიო, ლეონარდო, რობერტო კარლოსი, ალდაირი
*გერმანია* — ბაბელი, მათეუსი, ტარნატი, ჰამანი
*არგენტინა* — ვერონი, სიმეონე, ალმეიდა, როა
*საფრანგეთი* — გივარში, დეშამპი


REUTERS ნანტიდან

ამ „ტანწერწეტა“, ლამის ორ ადგილზე ვერდატეული ბრაზილიელი ქომაგის გოლებით დაპურება ოთხგზის მსოფლიოს ჩემპიონებსაც ძალიან გაუჭირდებათ. ისე, საინტერესოა, რამდენ ბილეთს ყიდულობს ეს კაცი სტადიონზე შესვლის წინ?


REUTERS ნანტიდან

*ნანტის სტადიონზე მეგობრებში ჩამდგარი რონალდოს სატრფო სიამაყით ყელმოღერებული გასცქერის რჩეულის ბურთაობას*

## ჭირი ლხინის შამს

საფრანგეთის ჯანმრთელობის სამინისტროს წარმომადგენლების განცხადებით, მსოფლიოს ჩემპიონატის დღეებში ოთხ შოტლანდიელ გულშემატკივარს მეტად მწვავე სენი შეეყარა, რამაც ერთ-ერთი მათგანის სიცოცხლეც კი შეიწირა. აღსანიშნავია, რომ ამ ურთულეს დაავადებას ფრანგები „ლეგიონერის ჭირს“ უწოდებენ და ერთ-ერთ ყველაზე საშიშ ავადმყოფობად თვლიან. ბრიტანელი ქომაგების გასაჭირი ტურნირის ორგანიზატორების მიერ საგანგებოდ დაქირავებულ ფრანგ ექიმებს 29 ივნისს აღმოუჩენიათ. ყველაზე საინტერესო ის არის, რომ ოთხივე დაზარალებული შოტლანდიელი ფანი გამოდგა და მათი დაავადებაც აბსოლუტურად ერთნაირია.

როგორც ფრანგი მედიკოსები იტყობინებიან, ერთ-ერთი სქოთი იმდენად სერიოზულად დაავადებულა, რომ მისი გადარჩენა ვერ მოხერხებულა. მეორე სენშეყრილი ამჟამად პარიზის საავადმყოფოში იმყოფება, ხოლო კიდევ ორი შინ გაამგზავრეს.

ისე, უნდა ითქვას, რომ ჩემპიონატის ორგანიზატორებს თავიდან გაუჭირდათ იმის დადგენა, დაზარალებულნი მართლა ფეხბურთის საცქერლად იყვნენ ჩასული მათ ქვეყანაში თუ სხვა მიზნები ამოძრავებდათ. შოტლანდიის ნაკრებმა ხომ ჯგუფური ტურნირის გასრულების შემდეგ დატოვა ჩემპიონატი და საეჭვოა, მათი ერთგული ფანები საფრანგეთს სხვა გუნდების თამაშის სანახავად 29 ივნისამდე შემორჩენილიყვნენ. თუმცა ამას თავად ავადმყოფებისთვის რა მნიშვნელობა აქვს. ოთხიდან სამი გადარჩენილის მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ ოცდაოთხი საათის განმავლობაში ექიმების ყურადღებას ითხოვენ.

ბრიტანელმა გამომძიებლებმა სცადეს იმ ადამიანების მოძებნა, რომლებთან ერთადაც შესაძლოა ეს ოთხი დამავებული ჩასულიყო საფრანგეთში. თუმცა ამ პირების სავარაუდო მეგობრებისა და ნათესავების ძიებამ ჯერჯერობით შედეგი ვერ გამოიღო.

## ნუ გაუღიმებთ ინგლისელს, გაილახებით

გუშინ საფრანგეთში დაჭერილმა ერთმა ხულიგანმა (ეროვნებას მითითება არც კი სჭირდება, ისედაც გასაგებია, რომ ინგლისელია) აღიარა, რომ ცემით კინაღამ მოკლა ვიღაც საბრალო ფრანგი. მიზეზი: არგენტინელი ჰგონებია.

პოლიციის ცნობით ხულიგანი 43 წლისაა. მას პოლ ბირჩი ჰქვია და აცხადებს, რომ ლონდონელი გულშემატკივარია. ეს ვინმე ბირჩი ქალაქ ბურგონ-ჟალოს მოსამართლეების წინაშე წარდგა.

ნაცემი ფრანგი 33 წლის ერიკ ფრანშე გახლავთ. მისი შეცდომა მხოლოდ და მხოლოდ ის იყო, რომ გრენობლ-ლიონის მატარებლით იმგზავრა მაშინ, როდესაც მასში პირუტყვი ბირჩი იჯდა.

მსხვერპლი და აგრესორი ერთ კუპეში მოხვდნენ.

ბირჩმა განმარტა, რომ ფრანშე ღიმილმა დაღუპა. დამცინის ეს არგენტინელიო, უფიქრია ლონდონელ სულელს და კუნთები აუთამაშებია. შემდეგ კი უახლოეს გაჩერებაზე მატარებლიდან ჩასულა.

და როდის დაიჭირეს ბირჩი, არ გაინტერესებთ? მაშინ, როდესაც გრენობლის სასტუმროს პორტიეს ცემაც დააპირა.


REUTERS რიო დე ჟანეიროდან

შინ, რიო დე ჟანეიროში დარჩენილი ბრაზილიელები ფეხბურთის სახლში, განმარტოებით ყურებას კოლექტიურ განცდას ამჯობინებენ და ქუჩაში თავშეყრილნი ერთად ქომაგობენ თავისიანებს


## სარბიელი

სპორტული გაზეთი
გამოდის: სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს
მსოფლიო ჩემპიონატის დღეებში — კვირაში შვიდჯერ

**მთავარი რედაქტორი**
ზურაბ ფოცხვერია
**რედაქტორი**
თამაზ მიგრიაული
**ტექნიკური რედაქტორი**
გურამ ხელაშვილი
**სარედაქციო კოლეგია:**
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
**ფეხბურთის განყოფილება:**
ლაშა გოდუაძე, პაატა თოთაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, დავით კოვზირიძე, ონისე შინჯიკაშვილი, ირაკლი ხმელიძე
**სხვა სახეობათა განყოფილება:**
გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ავთანდილ გურასაშვილი, სოსო კოტორეიშვილი, ავთანდილ სვანიძე
**კორესპონდენტი ქუთაისში**
იუზა კაციტაძე
**ფოტორეპორტიორები:**
გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
**სტილისტები:**
მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი
**კომპიუტერული ცენტრი:**
ელენე გელუტაშვილი, ნინო დევაძე, სვეტა დევაძე, მარიკა ტაბიძე, გია ცარციძე, გიორგი ხარატიშვილი, ბელა ხატიაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი

**დირექტორი**
გიორგი ოქრომჭედლიძე

**დამფუძნებელი:** შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი“
**რედაქციის მისამართი:** თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29